პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 6—43.

ხუთშაბათი, 23 დეკემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 6 კაპ. № 294 (1749)

დღიური

- ხელმოწერილია ოსმალეთ-უნგრეთის სავაჭრო ხელშეკრულება.
- პარიზში შესდგება ბალკანეთის სახელმწიფოების კონფერენცია.
- გლეხთა პარტიის წევრების ჟლეტა ბულგარეთში.
- ახლო ხანში მოხდება პოლიტიკურ პატიმართა გაცვლა - გამოცვლა ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის.
- ინგლისის ზოგიერთ სამთამადნო რაიონებში მემაღაროები კვლავ გაიფიცენ.
- აჯანყებული მაროკოელები ამარცხებენ ესპანეთის ჯარებს.
- შეტაკება ფაშისტებსა და ჯარებს შორის გენუაში.

პროფკავშირები და სამეურნეო მუშაობა

საბჭოთა კავშირის მეურნეობის შეუჩერებელ ზრდასთან ერთად იზრდება პროფესიულ კავშირებში დარაზმულ მუშათა კლასის რიცხვი. ამასთან დაკავშირებით პროფესიულ ორგანიზაციების როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული გავლენა ჩვენს მეურნეობაზე ბუნებრივათ უნდა გადიდებულიყო. ეს ასედაც ხდება, მაგრამ არის მთელი რიგი დაბრკოლებებისა, რომელნიც წინ ეღობებიან პროფესიულ კავშირების ნორმალურ მონაწილეობას სამეურნეო აღმშენებლობაში.

დღემდი პროფორგანოების საქმიანობა უმთავრესად და ზოგჯერ თითქმის მთლიანად, მუშა - მოსამსახურეთა ეკონომიურ, კულტურულ და ჯანმრთელობის ინტერესებზე ზრუნვით განისაზღვრება. ამავე დროს პროფკავშირები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ სამეურნეო აღმშენებლობაში უშუალო მონაწილეობას.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენციას არ შეეძლო ამ საკითხის გვერდის ავლა, როცა ის იხილავდა პროფკავშირების მუშაობას და მის მორიგ საკითხებს. ხსენებულ კონფერენციის რეზოლიუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პროფკავშირების მუშაობა და ყურადღება სამეურნეო - ეკონომიურ საკითხებისადმი **„აშკარათ არასაკმარისი და სუსტია“.**

ცხადია, აქ დანაშაულობა ორივე მხარეს მიუძღვის: პროფესიულ კავშირებსა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებსაც. პროფესიული ორგანოები თავიანთი მოუცლელობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო საჭიროდ არ რაცხდენ მონაწილეობა მიეღოთ წარმოება-დაწესებულების მუშაობის გაუმჯობესებაში. სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, იმიტომ, რომ თვით პროფკავშირი არ იჩენდა სამისო ხალისს, თუ იმიტომ, რომ მათ სძლევდა ერთგვარი ადმინისტრატიული მედიდურობა, მაინც და მაინც თავს არ იტკივებდენ თუ პროფორგანიზაცია არ ჩაერეოდა წარმოების გაუმჯობესება - გამოკეთების საქმეში.

ამგვარ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო. ჩვენ გვაქვს პარტიის ორი ყრილობის: მე-11 და მე-14 ყრილობის დადგენილება, ჩვენ გვაქვს ამ დადგენილების განმეორება მეხუთმეტე პარტკონფერენციის მიერ, სადაც ვკითხულობთ:

„ყველა პარტიულ, პროფესიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ რუს. კომ. პარ. მე-11 ყრილობის და საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობის რეზოლიუციები პროფორგანიზაციების ენერგიულ მონაწილეობის შესახებ ყველა საგეგმო და მომწესრიგებელ ორგანოებში“.

აქ კიდევ უნდა დაუბრუნდეთ საწარმოო თათბირების და ეკონომიურ კომისიების მუშაობას. ამ საკითხზე ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ, მაგრამ საქმე ამდენადვე ბევრად წინ არ იძვრის. ზოგიერთ შემთხვევებში ჯერ კიდევ შეგნებულიც არა აქვთ საწარმოო თათბირების მთელი მნიშვნელობა საბჭოთა აღმშენებლობისათვის. ზოგან შეგნებულ წინააღმდეგობასაც აქვს ადგილი მუშაობის ასეთი ფორმების წინააღმდეგ. ბევრგან კი საწარმოო თათბირები არსებობენ, მაგრამ ძლივს ღაფავენ სულს. საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე პარტკონფერენცია, საწარმოო თათბირების მუშაობის მოდუნების შესახებ თავის რეზოლიუციაში სწერს: „შეფერხებანი, რომელთაც ადგილი აქვთ საწარმოო თათბირების მუშაობაში, აიხსნება საქმეების გაჭიანურებით სამეურნეო ორგანოების მხრივ, უგულო განწყობილებით საწარმოო თათბირების მიმართ სამეურნეო მუშაკების და ფაბრიკა - ქარხნის ადმინისტრაციის ერთი ნაწილის მხრივ და ზოგჯერ მუშების წინადადებისადმი შეშურებით“...

მაგრამ არა მარტო სამეურნეო მუშაკებს მიუძღვის ამაში ბრალი. ცხადია, აქ საყვედურს ვერ ასცდება პროფესიულ კავშირების ორგანოებიც. საკავშ. კომპ. კონფერენციის რეზოლიუციაში ვკითხულობთ, რომ საწარმოო თათბირების მუშაობის შეფერხება აიხსნება აგრეთვე: „პროფკავშირების ცალკე ორგანოების საწარმოო თათბირებისადმი უყურადღებობით და ზოგჯერ ზერელე დამოკიდებულებით, პროფკავშირების მხრივ საწარმოო თათბირების მიერ წამოყენებულ ტეხნიკურად შესაძლო და წარმოებისათვის მიზანშეწონილ წინადადების ცხოვრებაში ენერგიულად გატარების შეუგნებლობით; საქმეების გაჭიანურებასთან საბრძოლველათ გამოაშკარავების და პროლეტარულ დემოკრატიის (კედლის გაზეთები, კორესპონდენციები, მოხსენებები საზოგადო კრებებზე) გამოყენების არცოდნით; საწარმოო თათბირების მიერ წამოყენებულ წინადადებათა ცხოვრებაში გატარების შეუმოწმებლობით“.

ამრიგათ პარტიულ კონფერენციის დადგენილებაში კონკრეტიულად ჩამოთვლილია ის მთავარი დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ეღობებიან როგორც პროფკავშირების, ისე სამეურნეო ორგანოების მხრივ. საწარმოო თათბირების მუშაობის წარმატებითი მსვლელობას. ამავე მიზეზებზე შეაჩერა თავისი ყურადღება პროფესიულ ორგანიზაციათა ამ დღეებში დასრულებულ საკავშირო ყრილობამ.

დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს. საჭიროა ამ დამაბრკოლებელ გარემოებათა აღმოფხვრა პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების ყოველდღიურ მუშაობიდან. სოციალისტური აღმშენებლობის წინსვლა წარმოუდგენელია ამ აღმშენებლობაში ფართე მშრომელი მასის მონაწილეობის გარეშე. საწარმოო თათბირები კი მასის საზოგადოებრივი აქტივის ერთი უძლიერესი იარაღთაგანია სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ამიტომ მათ მუშაობას უნდა მიექცეს გეგმითი და სისტემატიური ხასიათი. პროფკავშირებმა და სამეურნეო მუშაკებმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები საწარმოო თათბირების და ეკონომიურ კომისიების მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ეს არის არა მარტო სააგიტაციო და საპროპაგანდო ლოზუნგი, რომელსაც ერთხელ კიდევ აყენებს ჩვენს წინაშე პარტიული კონფერენცია და პროფკავშირთა ყრილობა, ესაა უაღრესათ პრაქტიკული სამეურნეო ამოცანა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიური წინმსვლელობისათვის.

იტალიის იმპერიალიზმი ბალკანეთში

ტელეგრაფი გადმოგვცემს, რომ, იტალია-ალბანეთის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, მოკლე დროში შესდგება პარიზში ბალკანეთის ქვეყნების კონფერენცია იტალიის მონაწილეობით. მოხერხდება თუ არა ამ კონფერენციის მოწვევა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ, რომ ის ვერ შესძლებს ბალკანეთის სადაო საკითხების მოწესრიგებას, ეს ამთავითვე აშკარაა. ბალკანეთის ნახევარი კუნძული ყოველთვის ატარებდა ომის საშიშროებას, იქ (სერბიაში) გავარდნილი ტყვია გახდა 1914—18 წ. მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის საბაბად და დღესაც ბალკანეთის ატმოსფერა გაჟღენთილია საერთაშორისო ომის სუნით. იტალია-ალბანეთის ხელშეკრულებამ და მის გარშემო ატეხილმა განგაშმა ეს ერთხელ კიდევ ცხადყვეს.

პირველ შეხედვით თითქო ბევრი არაფერი მომხდარა. ორ ქვეყანას შორის დაიდო „მეგობრობის და უშიშროების“ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ისინი ვალდებულებას კისრულობენ არ შეკრან სხვა ქვეყნებთან ერთი მეორის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური და სამხედრო შეთანხმებას. საქმის უცოდინარი კაცი კიდეც იფიქრებს, რომ იტალიას და ალბანეთს ისეთი ნაბიჯი გადაუდგამთ, რომლის მიზანია მშვიდობიანობის განმტკიცება. სინამდვილე სულ საწინააღმდეგოს მეტყველებს. რა თქმა უნდა, „მეგობრობის და უშიშროების“ ხსენებული ხელშეკრულება არსებითად და ფაქტიურად არის იმპერიალისტურ იტალიის მიერ უმწეო ალბანეთის დაპყრობა, თავის კოლონიად გადაქცევა. იტალიის სამხედრო ფლოტის გაგზავნა ალბანეთის ნავთსადგურებში, მისი ჯარების თავმოყრა ალბანეთის საზღვრებთან, რაც წინ უძღოდა ხელშეკრულების დადებას, აშკარად ამბობს, თუ რა ხასიათისაა ის.

რატომ ეტანება იტალიის იმპერიალიზმი ალბანეთს? ეს ქვეყანა საკმაოდ მდიდარია ნავთის წყაროებით, ხე-ტყით და ბამბის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობით, ე. ი. ისეთი რამეებით, რაც იტალიას აკლია და ძალზე ესაჭიროება. მაგრამ ალბანეთზე გაბატონების მნიშვნელობა ამით როდი განისაზღვრება. ალბანეთი პირველ ყოვლისა საყურადღებოა თავისი ტერიტორიული და სტრატეგიული მდებარეობით. ადრიატიკის ზღვის დასავლეთის ნაპირები ეკუთვნის იტალიას, ხოლო აღმოსავლეთის ალბანეთს, რომელსაც აქ საუკეთესო ნავთსადგურები მოეპოვება. მათი იტალიის მიერ დაუფლება მას ხელში ჩაუგდებს მთელ ადრიატიკის ზღვას, აქედან ხმელთა შუა ზღვაში გასასვლელ გზას. ამგვარად, იტალიის გავლენის ქვეშ და მის დამოკიდებულებაში ძალაუნებურად მოექცევიან ბალკანეთის ყველა სახელმწიფოები, რომელთაც ადრიატიკის ზღვით უხდებათ სარგებლობა. ეს კიდევ ცოტაა. ალბანეთი ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს და მისი დაპყრობა იტალიის მიერ დიდ საშიშროებას შექმნის ალბანეთის მეზობლების — სამხრეთ სლავიის და საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის.

ამიტომაცაა, რომ იტალიის იმპერიალიზმი დიდი ხანია, რაც არაფერს იშურებს ალბანეთის დასაპყრობად. მას უკვე ფეხი აქვს მომაგრებული ეკონომიურად; ბანკები, ნავთის და სარკინისგზო კონცესიები მეტ წილად იტალიელების ხელშია. ეხლა ამას უკვე „მეგობრობის“ ხელშეკრულებაც დაემატა, ე. ი. ალბანეთზე იტალიის პროტექტორატი ფაქტი შეიქნა.

აქედან გასაგებია, რომ იტალიის იმპერიალიზმის ამ მორიგ აქტს გულგრილად ვერ შეხვდებიან ის ქვეყნები, რომელთა ინტერესები ამით შეილახა, პირველ რიგში კი სამხრეთ - სლავია, რომელიც ბოლო დრომდე გაბატონებული იყო ალბანეთში და მასზე პრეტენზიას აცხადებს. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ნახევარ მილიონამდე ალბანელი ცხოვრობს სამხრეთ-სლავიის საზღვრებში, მაშინ, როცა თვით ალბანეთის მოსახლეობის რიცხვი უდრის დაახლოვებით 840.000 კაცს. სამხრეთ-სლავია ცდილობს ალბანეთის შემოერთებას, ყოველ შემთხვევაში, მასზე თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის განმტკიცებას. იტალიამ კი უცერემონიოდ გააძევა ის ამ ქვეყნიდან.

მაგრამ ყველაზე უფრო ხაზგასასმელი აქ ის არის, რომ იტალიის გაფართოება ალბანეთის ხარჯზე ლახავს საფრანგეთის იმპერიალიზმის სასიცოცხლო ინტერესებს. სამხრეთ-სლავია საფრანგეთის მოკავშირეა და პირველის დაქვეითება უკანასკნელის დამცირებას ნიშნავს. ალბანეთზე გაბატონებით იტალია მთელ ბალკანეთზე გაავრცელებს თავის გავლენას, ბალკანეთზე, სადაც საფრანგეთი ყოველი ზომით ისწრაფვის შეინარჩუნოს ან მოიპოვოს ჰეგემონის როლი. მაგრამ აშკარად სჩანს, რომ იტალია იმარჯვებს. გარდა ზევით ნათქვამისა, მან მოკავშირეები გაიჩინა ბალკანეთის ზოგიერთ სახელმწიფოს სახით, რომლებსაც, როგორც ამას წინად ცნობა იყო, იარაღს უგზავნის, თუ ომი ატყდა.

საფრანგეთის იმპერიალიზმის პოზიციებს არყევს ის გარემოება, რომ იტალიას ამ შემთხვევაში ზურგს უმაგრებს ინგლისი, რომელიც მოწადინებულია საფრანგეთის სიძლიერის შესუსტებას. ამით აიხსნება, რომ ინგლისის ოფიციალური წრეები და პრესა იტალია-ალბანეთის ხელშეკრულების დადებას შეხვდენ დუმილით, აქა-იქ კმაყოფილებითაც კი. ცხადია, რომ მუსოლინიმ თავისი გალაშქრება ალბანეთის წინააღმდეგ ჩემბერლენის დასტურით მოახდინა.

ბალკანეთის განზრახული კონფერენცია, თუ ის შესდგა, რამდენად მას მოუხდება საფრანგეთ-იტალიის და ინგლის-საფრანგეთის გადაულახავ წინააღმდეგობათა შერიგების ცდა, ბალკანეთის კონკრეტულ მაგალითზე ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამის შეუძლებლობას და ახალი მსოფლიო ომის შესაძლებლობის რეალურ მუქარას.

მ. ლ—ძე.

კანტონის რევოლიუციონური მთავრობის გავლენა მტკიცდება

ინგლისის და იაპონიის დამოკიდებულება მწვავდება ჩინეთის საკითხის გამო

ავსტრიის მუშები მოითხოვენ მთავრობისაგან კრედიტის მიცემას საბჭოთა კავშირისათვის

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

იმპერიალისტურ ინტერესთა წინააღმდეგობა ჩინეთში

იაპონიაში აღშფოთებული არიან ინგლისის პოლიტიკით

ტოკიო, 22 დეკემბერი. ინგლისის მოულოდნელმა წინადადებამ პეკინისათვის 2½ პროცენტიანი შემოზიდულ საქონელზე, გადასახადის აკრეფის ნებართვის მიცემის შესახებ, დიდი აღშფოთება გამოიწვია ტოკიოში (ლაპარაკია ინგლისის პეკინელი რწმუნებულის მემორანდუმზე, რომელიც დაეგზავნა პეკინის დიპლომატიური კორპუსის წევრებს).

მთავრობის ორგანო „ხოცი“ და ლიბერალური „ძი-ძი“ შკიცხავს ინგლისის გამოსვლას და აღნიშნავენ, რომ ინგლისის ასეთი თავისუფალი გამოსვლა ჩინეთში არღვევს ვაშინგტონის კონფერენციის 1922 წელს გამოტანილ დადგენილებას.

„იაპონიის მთავრობა, — სწერს „ძი-ძი“, დიდათ უკმაყოფილოა ინგლისის წინადადებით. ეს წინადადება სასარგებლოა მხოლოდ ინგლისისათვის, რომელიც ჩინეთში გზავნის უმაღლესი ხარისხის საქონელს, მაგრამ საზარალო იაპონიისათვის, რომელსაც გააქვს ჩინეთში დაბალი ხარისხის საქონელი“.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიის მთავრობა იძულებული გახდება მიმართოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ხაზის გატარებას ჩინეთში (ადს).

კანტონელი გენერალი ფუ-ჩჟოუ-ში

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. „ასოშიეტედ პრეს“-ის ცნობით, ამოიდან (ფუ-ძიანის პროვინციის ნავთსადგური) 13 დეკემბერს ფუ-ჩჟოუში (ფუ-ძიანის დედა-ქალაქი) ჩავიდა კანტონელი გენერალი ხოი-ინ-ჩინი, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდა მოსახლეობა. ფუ-ჩჟოუში საერთო წესრიგი აღდგენილია. (ადს).

კანტონელების გამარჯვება

პეკინი, 21 დეკემბერი. „ტოხო“-ს სააგენტოს ცნობით, ფუ-ძიანის მთელი პროვინცია ამჟამად კანტონელების ხელშია. ხდება ფუ-ძიანის პროვინციის იმ ჯარების რეორგანიზაცია, რომელნიც კანტონელების მხარეზე გადავიდენ. ფუ-ძიანსა და კანტონს შორის კავშირი აღდგენილია. (ადს).

არ ჩქარობენ

პეკინი, 22 დეკემბერი. იაპონიის ელჩმა პეკინში იოშიზავამ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ კანტონის მთავრობის ცნობის საკითხი ჯერ არ განუხილავთ დიპლომატებს.

იოშიზავამ დაუმატა: „არსებული მდგომარეობა არ გვაიძულებს დავაჩქაროთ ამ საკითხის გადაწყვეტა“. (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემას მოითხოვენ

ვენა, 21 დეკემბერი. უმუშევრობის შეუჩერებელი ზრდა და კომპარტიის გავლენის გაძლიერება უმუშევართა შორის სოციალ-დემოკრატებს აიძულებს მხარი დაუჭირონ კომპარტიის და უმუშევრების ლოზუნგს საბჭოთა კავშირისათვის სამრეწველო კრედიტების მიცემის შესახებ. მაგალითად, პარლამენტის სხდომაზე სოციალ-დემოკრატები კვლავ დაჟინებით მოითხოვდენ იმ კანონის მიღებას, რომელიც გაადვილებს ექსპორტს საბჭოთა კავშირში. (ადს).

პოლიტპატიმართა გაცვლა ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის

რიგა, 22 დეკემბერი. ლატვიის სეიმმა მიიღო კანონი პოლიტიკურ პატიმართა გაცვლის შესახებ ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის. პატიმართა გაცვლა ამ მოკლე ხანში მოხდება. (ადს)

მტრებიც კი აღიარებენ

ვარშავა, 21 დეკემბერი. ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემების შემსწავლელ ინსტიტუტში შესდგა დისპუტი. კამათის საგანი იყო ებრაელთა კოლონიზაცია საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში. მოხსენება გააკეთა პოლონეთის დელეგატმა ებრაელთა მიწადმოწყობის ყრილობაზე გაფტკამ. სიონისტმა გრინბაუმმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კამათში, ხაზი გაუსვა კოლონიზაციის არაჩვეულებრივ განვითარებას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ახდენს.

„საბჭოთა მთავრობამ, განაცხადა სიონისტმა გრინბაუმმა, ებრაელებს საშუალება მისცა ქალაქიდან სოფლებში გადასახლდენ“. (ადს).

ლატვიის ახალი მთავრობის პროგრამა

რიგა, 22 დეკემბერი. ლატვიის საგარეო საქმეთა საქმეთა ახალმა მინისტრმა ცელენსმა (სოციალ - დემოკრატი) პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„სერიოზული ყურადღება მიექცევა სამეურნეო და პოლიტიკურ თანამშრომლობას ბალტიის სახელმწიფოებთან, პირველ რიგში ესტონეთთან და, აგრეთვე, ფინეთთან და ლიტვასთან. საგარეო საქმეთა სამინისტრო ეცდება საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებას ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ, ამას თანავე ერთად ესტონეთსა და ფინეთს სამინისტრო მიაწვდის ცნობებს მოლაპარაკების შესახებ. მოლაპარაკებამ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ კონკრეტიული ფორმა უნდა მიიღოს. ამ ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს ურთიერთისათვის უდიდეს უპირატესობათა პრინციპი“. (ადს).

ტერორი გრძელდება

ბულგარეთის გლეხთა პარტიის დევნა

ვენა, 21 დეკემბერი. ბულგარეთში ტერორს ბოლო არ ელება. ამ დღეებში მოჰკლეს გლეხური პარტიის წევრები პიორგი არისტოზაროვი (ხასკოვში) და ნიკოლაევი (იზვორში). კონარში მოჰკლეს ვექილი გეორგიევი.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნაროდ“ იტყობინება, რომ მთავრობას განზრახული აქვს გლეხური პარტია კანონს გარეშე გამოაცხადოს, რადგან უკანასკნელ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ის სერიოზულ საფრთხეს უმზადებს მმართველ პარტიას.

ბულგარეთის მთავრობამ ხელმეორედ აკრძალა გლეხურ ახალგაზრდობის ყრილობა, რომელიც ამ დღეებში უნდა შემდგარიყო. (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვის შემდეგ

კლასობრივი „მშვიდობიანობა“ სპენსერის რეცეპტით

ლონდონი, 21 დეკემბერი. ნოტინგემში შესდგა ადგილობრივ მაღაროს მეპატრონეთა და „ნოტინგემშირის სამთამადნო მუშათა საწარმოო კავშირის“ პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა. „ნოტინგემშირის სამთამადნო მუშათა საწარმოო კავშირი“ დაარსეს ნოტინგემშირის სამთამადნო მუშათა ფედერაციიდან გამორიცხულებმა მემაღაროებმა მემარჯვენე ბელადის სპენსერის მეთაურობით.

სხდომაზე განხილულ იქნა გეგმა ნოტინგემშირის რაიონის ხანში შესულ ს.-მად. მუშების საპენსიო ფონდის დაარსების შესახებ. სპენსერმა განაცხადა, რომ ახალმა კავშირმა გადასწყვიტა ყოველ კვირეულ საწევრო გადასახადისაგან 50 პროც. გადარიცხოს საპენსიო ფონდში და მაღაროს მეპატრონეებს მიმართა თხოვნით გაიღონ 10.000 გირ. სტერლინგი იმ მიზნით, რომ კავშირს შესაძლებლობა მიეცეს ახლო მომავალში დაურიგოს პენსიები მოხუც მემაღაროებს. მაღაროს მეპატრონეები თანახმა არიან დანიშნულ იქნეს კომისია, რომელიც დეტალურად განიხილავს კავშირის წინადადებას. (ადს).

კაპიტალისტები განაგრძობენ შეტევას

ლონდონი, 21 დეკემბერი. ხიკლეტონში, იორკშირის ერთ-ერთ მსხვილ მაღაროში, **გაიფიცა 5.000 მემაღარო.** გაფიცვა გამოიწვია მაღაროების მეპატრონეების თავხედურმა საქციელმა, უკანასკნელნი საუკეთესო ადგილებს შტრეიკბრეხერებს აძლევენ. დღემდე **მარტო იორკშირში სამუშაო ჯერ კიდევ არ მიუღია 30.000 მემაღაროეს.** (ადს).

მუშათა პარტიის კანდიდატის გამარჯვება

ლონდონი, 21 დეკემბერი. სმეტუიკში (ბირმინგამის მუშათა რაიონი) დამატებით საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც მოხდა იმის გამო, რომ თემთა პალატის ეხლანდელმა წევრმა სმეტუიკიდან მუშათა პარტიის დეპუტატმა დევისონმა ავადმყოფობის გამო უარი განაცხადა დეპუტატობის მანდატზე, გაიმარჯვა მუშათა პარტიის დეპუტატმა მოსლიმ (კერზონის სიძე), რომელმაც მიიღო 16.077 ხმა. კონსერვატორების კანდიდატებმა პაიკმა მიიღო 9.495 ხმა, ლიბერალების კანდიდატმა მიიღო 2.500 ხმა. (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკება გენუაში

პარიზი, 21 დეკემბერი. „პტი ჟურნალ“ იუწყება, რომ გენუაში ფაშისტებსა და არტილერიის ოფიცრებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. მოკლული და დაჭრილია რამოდენიმე კაცი. ინციდენტი გამოიწვია იმან, რომ არტილერიის ერთმა ოფიცერმა სამხედრო სალამი არ მისცა ფაშისტურ მილიციის ოფიცრებს.

კომინტერნის მიმართვა

ჰოლანდიის პროლეტარიატისადმი

მოსკოვი, 22 დეკემბერი. კომუნისტურ ინტერნაციონალის გაფართოებულ პლენუმის მიმართვაში ჰოლანდიის პროლეტარიატისადმი ნათქვამია:

„ჰოლანდიის კომპარტიის უკანასკნელ ყრილობის მიერ პარტიიდან გამორიცხული ვინკოპი ბოროტად იყენებს კომუნისტურ ინტერნაციონალის რევოლიუციონურ სახელს და მის მიერ ამ ცოტა ხნის წინედ დაარსებულ ახალ პარტიას კომუნისტურ ინტერნაციონალის სექციას უწოდებს.

კომუნისტურ ინტერნაციონალის გაფართოებული პლენუმი თავის მოვალეობათ სთვლის განაცხადოს, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალს არაფერი საერთო არა აქვს ვინკოპის პარტიასთან. კომუნისტურ ინტერნაციონალს ჰოლანდიაში ჰყავს მხოლოდ ერთი სექცია—ეს არის ჰოლანდიის მოძმე კომუნისტური პარტია. (ადს).

საპროტესტო მიტინგები

პრაღა, 21 დეკემბერი. შესდგა კომპარტიის მიერ მოწყობილ მასიური საპროტესტო მიტინგები იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ჩინეთში ეროვნული ბრძოლის წარმატებისა და საბჭოთა კავშირთან დაახლოვების საკითხის შესახებ კომპარტიამ მოაწყო მთელი რიგი კრებები, რომელნიც დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. კრებაზე გამოსულმა ორატორებმა განაცხადეს, რომ ჩეხო-სლოვაკია თავისი პოზიციით საბჭოთა კავშირის მიმართ, თავის თავს აყენებს საბჭოთა კავშირის სასტიკი მტრების რიგებში. (ადს).

ვალების საკითხი

ამერიკელ პროფესორების მოწოდება

ვაშინგტონი, 21 დეკემბერი. კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 42 პროფესორმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც შეერთებულ შტატებს ურჩევენ მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციაზე სამხედრო ვალების საკითხის გადასასინჯათ. მოწოდების ავტორები ქადაგებენ სამხედრო ვალების გაუქმებას და ამტკიცებენ, რომ შეერთებულ შტატების ეხლანდელი პოლიტიკა ამ საკითხში არავითარ ნაყოფს არ იძლევა, ზიანს აყენებს ევროპას, აძლიერებს სიძულვილს ამერიკელებისადმი და შესაძლებელს ხდის ევროპაში კარტელების შექმნას შეერთებულ შტატების წინააღმდეგ. (ადს).

ოსმალეთში

ოსმალეთ-უნგრეთის ხელშეკრულება

ანგორა, 21 დეკემბერი. ხელი მოაწერეს ოსმალეთ-უნგრეთის ხელშეკრულებას ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა იმ მოქალაქეების სავაჭრო უფლებების შესახებ, რომელნიც მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ახალი ბონების გამოშვება

ანგორა, 21 დეკემბერი. მეჯლისმა მიიღო კანონი, რომელიც უფლებას აძლევს მთავრობას გამოუშვას ბონები 200 მილ. ოსმალურ გირვანქის რაოდენობით. ეს ბონები გამოყენებულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ რკინის გზების და ნავთსადგურების ასაგებათ. ბონები დაფარულ უნდა იქნეს 10 წლის განმავლობაში. (ადს).

„ლოტიუსის“ საქმე

ანგორა, 21 დეკემბერი. ოსმალეთის ყოფილ გარეშე საქმეთა მინისტრს იუსუფ-ქემალს მიენდო ოსმალეთის წარმომადგენლობა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში იმ საქმის გარჩევის დროს, რომელიც წარმოიშვა ოსმალეთის გემის საფრანგეთის გემ „ლოტიუსთან“ დაჯახების გამო. (ადს).

ოსმალეთის ბუნებრივი სიმდიდრენი

ანგორა, 21 დეკემბერი. ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე“ მოწინავეში, რომელიც ეხება ახალი შაქრის ქარხნების გახსნას, განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა უცხოეთის კაპიტალის დამოკიდებულება ოსმალეთისადმი.

„ანატოლიის ფაბრიკები და რკინის გზები, სწერს გაზეთი, გადასწყვეტენ ოსმალეთის ფინანსიურ ბრძოლას უცხოეთის კაპიტალთან. სანამ მსოფლიოში არსებობს კაპიტალი და ოსმალეთში კი —ბუნებრივი სიმდიდრენი, მანამ ეს ორი ძალა აუცილებლად უნდა შეხვდენ ერთმანეთს“. (ადს).

„ერთიანი ფრონტი“

რეფორმისტების გაერთიანება

ვენა, 21 დეკემბერი. გამოქვეყნებულია ცნობა ბულგარეთის მბეჭდავთა რეფორმისტულ და დამოუკიდებელ პროფკავშირების გაერთიანების შესახებ.

გაერთიანება მოხდა დამოუკიდებელ პროფკავშირთა აღმასკომის სურვილის წინააღმდეგ და წარმოადგენს მბეჭდავთა დამოუკიდებელ პროფკავშირების მემარჯვენე ნაწილის და რეფორმისტების მემარცხენე ნაწილის შეთანხმების შედეგს. (ადს).

პოლონელები ლიტვაში

ვარშავა, 22 დეკემბერი. პოლონელების 12 მემარჯვენე ორგანიზაციებმა ვილნოში სამხედრო უფროსს რაშკევიჩს გაუგზავნეს დელეგაცია, რომელმაც განუცხადა მას, რომ „პოლონელების მდგომარეობა ლიტვაში აუტანელი გახდა გადატრიალების შემდეგ“. რაშკევიჩი შეპირდა დელეგაციას, რომ მათ მიერ წარდგენილ მემორანდუმს გადასცემს მთავრობას. (ადს).

ლეიპციგის ბაზრობა

ბერლინი, 21 დეკემბერი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გერმანიის წარმომადგენლობას უცხოეთში, რომ ლეიპციგის საზაფხულო ბაზრობაზე მომავალთ უფასო ვიზები მისცენ იმავე პირობებში, როგორც ეს საშემოდგომო ბაზრობაზე ხდებოდა. (ადს).

ბალკანეთის ქვეყნების კონფერენცია

ვენა, 21 დეკემბერი. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ იტალია-ალბანეთის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, ახლო მომავალში პარიზში შესდგება ბალკანეთის ქვეყნების კონფერენცია იტალიის მონაწილეობით. (ადს).

ესპანეთის ჯარების დამარცხება

პარიზი, 21 დეკემბერი. ესპანეთის ჯარები მაროკოში უკანასკნელ დროს რამოდენიმეჯერ დამარცხდენ აჯანყებულ ტომების რაზმებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით სერიოზული დამარცხება ესპანელმა ჯარებმა განიცადეს ბენი-ვარფეს, ბენი-დებრის და ანჯერის მიდამოებში. (ადს).

სირიის „დაწყნარება“

ანგორა, 21 დეკემბერი. დამასკიდან იუწყებიან, რომ გენერალ გამელენის განცხადების მიუხედავად, რომელმაც სთქვა: „სირია დაწყნარებულია“,—საგანგებო ტრიბუნალს მაინც არ შეუწყვეტია მოქმედება. დამასკსა და ბეირუტში საგანგებო ტრიბუნალმა უკანასკნელ დღეებში კვლავ გამოიტანა 5 სიკვდილით დასჯის განაჩენი. (ადს).

გამფლანგველი პრემიერი

ზივარ-ფაშა—გამფლანგველი

ანგორა, 21 დეკემბერი. ქაირიდან იუწყებიან, რომ ეგვიპტეს ყოფილ პრემიერს ზივარ-ფაშას სენატის სხდომაზე (რომლის წევრიც იგი იყო) დაჰკითხეს მის მიერ მოხდენილი გაფლანგვების შესახებ, რომელნიც დეპუტატთა პალატის უკანასკნელ სესიაზე გამოაშკარავეს. ზივარ-ფაშა სასამართლოშია მიცემული. (ადს).

მომავალი პარტიული აღწერა

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

საკავშირო პარტიულ აღწერას, რომელიც 1927 წლის 10 იანვარს დაიწყება, ჩვენი პარტიისათვის უდიდესი პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მთელი ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული მუშაობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორი წარმოდგენა გვქონდეს ჩვენს პარტიაზე მისი ზრდის პროცესში. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, როგორ არიან განაწილებული კომუნისტები მუშაობის დარგის მიხედვით, საჭიროა რაც შეიძლება უფრო სწორად შევისწავლოთ ჩვენი პარტიის შემადგენლობა თვითეულ ცალკე ორგანიზაციაში.

ჩვენი პარტიის შემადგენლობის სწორი აღრიცხვის საქმის ოდნავ სერიოზულ შესწავლას პირველად საძირკველი ჩაუყარა 1920 წლის ე. წ. ხელახალმა რეგისტრაციამ, როცა შემოღებულ იქნა პირველი ერთიანი პარტიული ბილეთი. ორი წლის შემდეგ, 1922 წელს მოხდა პარტიის ყველა წევრთა პირველი ნამდვილი აღწერა, რამაც პირველად მოგვცა საშუალება დაგვეწყო პარტიის სოციალური შემადგენლობის სერიოზული შესწავლა და შეგნებულად მოწესრიგება. 1922 წლის აღწერის მიხედვით, პარტიაში ითვლებოდა დაახლოებით 410.000 წევრი. პირველი აღწერის შემდეგ უკვე დაახლოვებით 5 წელი გავიდა. პარტიამ ამ პერიოდში დიდი პოლიტიკური ამბები გადაიტანა, საგრძნობლად შეიცვალა საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა, საგრძნობლად შეიცვალა აგრეთვე ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობაც. ამ ხნის განმავლობაში მოხდა პარტიის მეორე შემოწმება, მოხდა პარტიაში ახალი წევრების მიღება, რის შემდეგ პარტიაში კიდევ რამოდენიმე ათეული ათასი პროლეტარი შემოვიდა უშუალოდ წარმოებიდან. წარმოებებში მომუშავე მუშების ხვედრი წონა ამ ხუთი წლის განმავლობაში დაახლოებით სამჯერ გაიზარდა. პარტიის წევრთა საერთო რიცხვი ერთ მილიონს გასცილდა.

ჩვენ მხოლოდ საერთო წარმოდგენა გვაქვს იმაზე, თუ როგორ იზრდებოდა ჩვენი პარტია ამ ხუთი წლის განმავლობაში. ჩვენი პარტიის ზრდის პროცესის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანად შესწავლა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან ამისათვის არ მოგვეპოვება საჭირო სტატისტიკური ცნობები. ჩვენი პარტიის შიგნით ადგილი ჰქონდა მთელ რიგ პროცესებს, რომელთა გათვალისწინება მიმდინარე სტატისტიკას არ შეეძლო. ზოგიერთი ციფრები, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს პარტიის სოციალური შემადგენლობის ზრდისა და შეცვლის შესახებ იწვევენ ეჭვს და საჭიროებენ სერიოზულ შემოწმებას.

საკავშირო აღწერამ ჩვენ ამომწურავი პასუხი უნდა გაგვცეს პარტიის წევრების და კანდიდატების სოციალური შემადგენლობის მხრივ. აღწერამ ჩვენ უნდა მოგვცეს მკვიდრი გამოსავალი წერტილი შემდგომ მუშაობაში, როგორც საერთოდ პარტიის, ისე ცალკე ორგანიზაციებისათვის.

სინამდვილის სწორ გამოხატულებას აღწერა მოგვცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დიდი ყურადღებით და სერიოზულად იქნება ჩატარებული. ცენტრალურმა კომიტეტმა რაც კი შესძლო ყველაფერი გააკეთა ამ მხრივ. საბოლოო შედეგი ეხლა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გულდასმით მოეკიდებიან აღწერას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და ყველა ის ამხანაგები, რომელთაც უშუალოდ დაეკისრებათ აღწერის ჩატარება. პარტიის ყოველ წევრს და ყოველ ხელმძღვანელ ორგანოს უნდა ახსოვდეს, რომ აღწერა არის უდიდესი პარტიული საქმე, რომლის შესასრულებლად ყველამ შეგნებულად და ენერგიულად უნდა იმუშაოს.

ნ. კასიორი.

მოსკოვი, 22 დეკემბერი.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა

სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი

საბჭოთა სასამართლოსთან ფართე მუშურ-გლეხურ მასსების უშუალო დაახლოვებისა და მოსახლეობაში ახალი უფლებრივი შეგნების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტს. სახალხო მსაჯული ჩვენი კანონმდებლობით სასამართლოს სრულუფლებიანი წევრია. ის მოსამართლესთან თანასწორ უფლებით ღებულობს მონაწილეობას სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების გარჩევისა და მათ შესახებ განაჩენების გამოტანაში. საჭიროა სახალხო მსაჯულთა ასეთი როლი ფართედ განემარტოს მოსახლეობას და ამასთან ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მათ შემადგენლობის შერჩევას. ამ ამოცანის გადაჭრას, კერძოდ, ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების კამპანიამ. ამხ. ბრანდენბურგსკი „პრავდა“-ში ამის გამო სწერს:

„რათა საარჩევნო კრებებისადმი უფრო ცხოველი ინტერესი გამოვიწვიოთ, საჭიროა გავლილი წლის სახალხო მსაჯულებმა შეძლებისდაგვარად ანგარიში წარუდგინონ თავის ამომრჩევლებს და გააშუქონ ის სამოსამართლო მუშაობა, რომლის მონაწილენი ისინი იყვნენ. ამას გარდა, რა თქმა უნდა, ამავე კრებებზე სასამართლოს მუშაკებმა უნდა გააკეთონ მოხსენებები ჩვენი სამოსამართლო სისტემის და საბჭოთა სამართლის ხასიათის შესახებ. საარჩევნო კრებები უნდა იქნენ გამოყენებული რევოლიუციონურ კანონიერობის პრინციპების ფართე განმარტებისათვის. მაშინ ჩვენ შეგვეძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ასეთი საარჩევნო კამპანიის შედეგათ მივიღებთ სახ. მსაჯულთა უფრო აქტიურ შემადგენლობას, ვინემ წინა წლებში, ვინაიდან მაშინ მასსები სახალხო მსაჯულებად წამოაყენებენ უფრო შეგნებულ, პოლიტიკურად უფრო განვითარებულ, ცხოვრებაში უფრო გამოცდილ მუშებს და გლეხებს. სახალხო მსაჯულები, როგორც მოსამართლენი საერთოდ, უნდა იყვნენ პირველ ყოვლისა პოლიტიკურად გათვითცნობიერებულნი. მათ უნდა შეეძლოთ იმ გადაწყვეტილებათა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებასთან შეფარდება, რომლებიც გამოაქვთ ცალკე საქმეებზე“.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მსაჯულთა შემადგენლობაში ქალთა რიცხვი ჩვენში შედარებით მეტად მცირეა. ამ ნაკლის გამოსწორებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან, როგორც სამართლიანად ამბობს ამხ. ბრანდენბურგსკი:

„ქალების მოზიდვა სასამართლოში სამუშაოდ აუცილებელია არა მარტო მათი ზოგად-კულტურული დონის ასაწევად და ახალ ცხოვრების მშენებლობაში ჩასაბმელად, არამედ იმიტომაც, რომ მთელ რიგ საქმეთა გამო, მაგალითად, საოჯახო ქონებრივი გაყოფას, ალიმენტების და სხვათა შესახებ, ქალების მონაწილეობას სასამართლოში აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ამ სამოსამართლო საქმეთა უფრო სწორად გადაჭრისათვის. აგრეთვე უაღრესად სასარგებლოა ქალების მონაწილეობა საყოფა-ცხოვრებო სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებათა განხილვის დროს, რომლებიც როგორც მაგალითად, ხულიგნობა, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენენ საერთო საბჭოთა მშენებლობისათვის“.

ვიმეორებ, სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტს, რომლის საშუალებით ფართე მუშურ-გლეხური მასსები მოზიდული იქნენ სამოსამართლო მოღვაწეობაში და, მაშასადამე, სახელმწიფო მმართველობაში, დიდი პოლიტიკური და მასთან პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მშრომელ მოსახლეობის პოლიტიკურ და უფლებრივ აღზრდისა და ხალხთან სასამართლოს ორგანოების დაახლოვებისათვის, ამიტომ სახ. მსაჯულთა შერჩევას და მათი მუშაობის ხელსაყრელ პირობებში ჩაყენებას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

უცხოეთის

გაზეთი „ტან“ და საბჭოთა რუსეთი

მენშევიკური „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ი დასცინოდა ამას წინად თავის მეგობრებს თეთრ გვარდიელთა ბანაკიდან, რომ ისინი ხელაღებით უარყოფდნენ მდგომარეობის ყოველგვარ გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირში და როდესაც ამ გაუმჯობესების თვალსაჩინო ფაქტები ყველასათვის ცნობილი შეიქნა თეთრგვარდიელები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ*).

დაახლოვებით ასე ამბობდა „სპლეტნიკი“.

რუს თეთრგვარდიელების მდგომარეობაში არიან მათი ფრანგი მეგობრები. მაგალითად გაზ. „ტან“-ის ინფორმაცია საბჭოთა ქვეყნების შესახებ არასოდეს არ ყოფილა ობიექტიური. მისი მოზხმული წერილების ერთად ერთი მიზანი იყო საფრანგეთის „საზოგადოებრივი აზრის“ „დამუშავება“ იმ მხრით, რომ თითქმის ყოველისფერი გაუხრდა საბჭოთა ქვეყნებში და არავითარი იმედი მათი აღდგენის არ არის. ამ ტრადიციას არ ღალატობდა ეს გაზეთი დღემდე, მიუხედავად სახაცილო მდგომარეობისა, რომელშიც ის აყენებდა თავის თავს.

ჩვენ ვიცით ფაქტები, როდესაც ცოტად თუ ბევრათ კეთილსინდისიერად დაწერილ „საკუთარი“ ან „სპეციალური“ კორესპონდენტების წერილებს, სადაც რამოდენიმედ მაინც ობიექტიურად იყო მოთხრობილი ჩვენი კავშირის მდგომარეობის შესახებ, „დიდი ინფორმაციის გაზეთები“ ევროპაში არ ათავსებდნენ და პირიქით, ამ გაზეთების ფურცლებს აჭრელებდენ ისეთი შერჩეული მასალით, რომელსაც გარკვეული, მიზანი ჰქონდა. ასევე იქცევიან დღესაც. როგორც ვთქვით გაზ. „ტან“—უკანასკნელი არ არის ამ პატივცემულ ორგანოთა შორის. მაგრამ მოხდა განსაცვიფრებელი ამბავი. გაზეთს შემთხვა „ფათერაკი“. ეს „მარცხი“ მოუვიდა მას ათი დეკემბრის №-ში. იქ მოთავსებულია ვინმე არმან დორვილის წერილი რუსეთის შესახებ. ეს წერილი პირველია იმ სერიიდან, რომელიც რედაქციას განზრახავს დაბეჭდოს. რა იქნება შემდეგ წერილებში ჯერ არ ვიცით. მაგრამ ის, რასაც შეიცავს პირველი, მართლაც „სასწაულს“ წარმოადგენს, არა იმიტომ, რა საკვირველია, რომ იქ ხოტბას არ ასხამდეს ავტორი საბჭოთა კავშირის ხელისუფალთ—აბა, ასეთ „ღვთისწყალობას“ რომელი ჭკუათმყოფე ადამიანი მოითხოვს ჩვენს შესახებ გაზ. „ტან“-ს?—არა. „სასწაულია“ მთელი ეს წერილი იმიტომ, რომ რაღაც უჩვეულო კილოთი არის დაწერილი და შეიცავს ისეთ ფაქტებს, რომლებიც თუმცა ჩვენთვის და ყველა პატიოსანი უცხოელისთვის, თუგინდ არა მეგობრისთვის, არაფერ გასაკვირალს არ წარმოადგენს, მაგრამ „ტან“-ის სამეფოში ე. ი. მის მკითხველთა შორის შეუძლია გაკვირვება გამოიწვიოს იქ ჩამოთვლილმა „ახალმა ამბებმა“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც წერილის ტონი და არც იქ მოთხრობილი ამბები არ ასიამოვნებენ რენოდელსა და ნ. რამიშვილს:

„ჩემს შენიშვნებს—ამბობს ავტორი—არა აქვს პრეტენზია ჯამი გაუკეთოს (რევოლიუციონური ამბების) წარსულს ან იწინასწარმეტყველოს მომავალი. ისინი აღნუსხავენ მხოლოდ იმას, რაც მე ვნახე რუსეთში 1926 წლის აგვისტოში და სექტემბერში“. ვიღაცას გულის მოსანადირებლად—ალბად ეს საჭიროა: არ უნდა დავივიწყოთ, რომ წერილი იბეჭდება გაზ. „ტან“-ში—ავტორი დასძენს კიდევ შემდეგს:

„იმ ქარტეხილში, რომელიც 1921 წლიდან კომუნისტურ რუსეთს მიაქროლებს ზომიერ სოციალისტური რეჟიმისაკენ, ამ შენიშვნებს არ შეაქვთ შესწორება იმ მოგზაურთა შთაბეჭდილებების სისწორეში, რომლებმაც ჩემზე ადრე მოიარეს რუსეთი. ეს შენიშვნები არ შეზღუდავენ იმათ მსჯელობის დამოუკიდებლობასაც, რომლებიც ჩემს შემდეგ ინახულებენ ამ ქვეყანას“-ო.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ალბათ დაინტერესდება, რა სთქვა დაბოლოს ისეთი ამ არმან დორვილმა, რომელმაც, როგორც ის გვიამბობს, მოიარა მოსკოვი, ლენინგრადი, ნიჟნი-ნოვგოროდი, ვოლგა, ხარკოვი, კიევი, იყო თბილისში და ბაქოშიც? დავამშვიდებ მკითხველს. არაფერს ჩვენი ავტორი არ გვიამბობს ისეთს, რაც უცხო ან გაუგონარი იყოს ჩვენთვის. მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ ის ამბობს იმას, რასაც წინად არ ამბობდნენ და გარდა ამისა რასაც ამბობდნენ, ამბობდენ გესლმორევითა და შხამით გაბოროტებულნი.

„უნდა გამოვტყდეთ—სწერს დორვილი—რომ დასავლეთ ევროპის პრესაში არ სჭარბობს სწორი ცნობები საბჭოთა რუსეთის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ჩვენ გვიხატავენ ხშირად რუსეთს ისე, თითქოს ის არ უზრუნველყოფდეს იქ ჩასული უცხოელის ხელუხლებლობას და დაცვას“.

ასე ახასიათებს თვით ავტორი ევროპის პრესის ინფორმაციას რუსეთის შესახებ და აცხადებს, რომ ყოველისფერი ეს ტყუილია. რასაკვირველია, ვიტყვით ჩვენ და ეს ყველამ ვიცით, რომ ეს ტყუილია. მაგრამ „იქ“, „ევროპაში“, იქაურ პრესაში ეს ხომ ასე არ ჰგონიათ, ან ყოველ შემთხვევაში, ამბობენ, რომ არ ჰგონიათ, „არ იციან“. საქმეც ამაშია. ამას „ებრძვის“ ავტორი და ამბობს, რომ ყოველისფერი ეს თავიდან ბოლომდე მოჭორილი ამბავია.

ავტორი უამბობს თავის (ალბათ გაოცებულ) თანამემამულეებს: პასპორტისთვის მე არ შევუწუხებივარ. მხოლოთ საზღვარზე მომთხოვეს და შემდეგ თავისუფლად ვნავარდობდი. წამოსვლისას დამჭირდა კიდევ ერთი ვიზა. სასტუმროებში, სადაც მე გამაოცა სისუფთავემ და წესრიგმა, მიჰქონდათ ეს პასპორტები ჩასაწერად, და წასვლისას მაბარებდენ უკანვე წესიერათ. სასტუმროებში შესანიშნავი საჭმელებია, რაც გინდათ და რამდენიც გინდათ (აი რა ამბავი მომხდარა!) სადგურებზე თქვენ შეგხვდებიან ტვირთის გადამზიდავები, არაფერი არ გაწუხებთ. მატარებლები და ტრამვაი შესანიშნავი. ტაქსი ავტომობილები ცოტაა, მაგრამ მეეტლეები რამდენიც გინდათ. მიმოსვლა ჩქარი. ვიყავი სოფლებში, დაბებში, ყველგან პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა. ჩემ სიცოცხლეში ასე უზრუნველყოფილად ხელშეუხებლობის და მშვიდობიანობის მხრით, არ მიგრძვნია თავი არსად. რამდენი კულტურული დაწესებულება რამდენი შესანიშნავი მუზეუმი, რამდენი სიმდიდრე დაუცავს იქ რევოლიუციონურ ხელისუფლებას, როგორ დადიან ამ მუზეუმში ახალგაზრდები და ეცნობიან წარსულს, როგორი წესრიგი ყველგან! უცხოელებისათვის არის კლუბები, თარჯიმნები!

ერთი სიტყვით ჩვენი სტუმარი გაოცებული კმაყოფილი, რომ „ბარბაროს—ბოლშევიკების ქვეყანაში“ ნორმალური ცხოვრება შექმნეს.

ყველაფერი ეს იბეჭდება „ტან“-ში.

ეს ავტორის პირველი წერილია. რა არის ამ წერილში გასაკვირი და ახალი ჩვენთვის? არაფერი. მაგრამ „ტან“-ის მკითხველების შემეცნებაში „ბარბაროსული“ ქვეყნის შესახებ ეს წვრილმანები პირდაპირ „რევოლიუციის“ მომასწავებელია. საკითხავია, რატომ დასჭირდა გაზეთს თავისი ტრადიციის ასე ფეხით გათელვა? არის ეს ახალი „სიოს“ დასაწყისი, თუ ეს პირველი წერილი მოსაზრებული „შესავალია“ შემდეგი, განსაკუთრებული, „თავისებური“, წერილების სერიაში გაზეთისათვის ძველი, ჩვეულებრივი, შინაარსით, ე. ი. არის ეს წერილი მაჩვენებელი რაღაც „დიპლომატიის“, თუ ახალი კურსის?

ამას მალე დავინახავთ.

---

*). ერთი კითხეთ, თვითონ კი როგორ იქცეოდნენ. [illegible]-ამბობს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უნაყოფო ცდა

მოკავშირეებმა წინადადება მისცეს გერმანიას — შესწყვიტოს მანქანების ექსპორტი საბჭოთა კავშირში. გერმანიის მრეწველობის წრეებში ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოკავშირეების წინადადებას გერმანიამ უპასუხა ექსპორტის გაძლიერებით.

დეპეშებიდან.



ღამის ცნობები

დაპატიმრებანი ლიტვაში

კოვნო, 22 დეკემბერი. გაზეთი „ლეტუვა" იუწყება, რომ ახალმა მთავრობამ დააპატიმრა 250-ზე მეტი კომუნისტი. გაზეთების ცნობით, მრავალი სოციალ-დემოკრატი სტოვებს ლიტვას. დაპატიმრებანი გრძელდება (ადს).

დავიდოვიჩის კაბინეთი

ვენა, 22 დეკემბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, უზუნოვიჩმა უარი განაცხადა ახალი კაბინეთის შედგენაზე. მეფემ კაბინეთის შედგენა დაავალა დავიდოვიჩს—დემოკრატიული პარტიის ლიდერს, რომელიც სერბიის ზომიერი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი. (ადს).

საქონლის ტრანზიტი

ვარშავა, 22 დეკემბერი. პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით, იანვარში აიხსნება სატრანზიტო ურთიერთობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის პოლონეთის გზით. (ადს).

ექსპედიცია ყარაყუმში

ლენინგრადი, 22 დეკემბერი. მიღებულია ცნობები ყარაყუმში (შუა აზია) გაგზავნილ სამეცნიერო აკადემიის ექსპედიციის მუშაობის შესახებ. ექსპედიციას მინდობილი ჰქონდა ამ უდაბნოში მდებარე გოგირდის მადნების გამოკვლევა. მიღებული ცნობით, უდაბნოში აგებულია პატარა ქარხანა, რომელიც ყოველი 100 ფუთი მადნიდან ამზადებს 40 ფუთს გოგირდს. (ადს).

ეროვნულ უმცირესობათა სასახლე

მოსკოვი, 22 დეკემბერი. გადაწყვეტილია მოსკოვის ცენტრში აშენდეს ეროვნულ უმცირესობათა სასახლე, რომელიც დააკმაყოფილებს მოსკოვში მყოფ ყველა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ და კულტურულ საჭიროებათ (ადს).

მოსკოვის მეტროპოლიტენი

მოსკოვი, 22 დეკემბერი. ინჟენერმა ხერგაკომ პოლიტეხნიკურ მუზეუმში გააკეთა მოხსენება მოსკოვში მეტროპოლიტენის აგების შესახებ.

აგება დაიწყება 1927 წლის გაზაფხულზე და დამთავრდება 1930 წლისათვის. (ადს.

15 მილიარდი ფუთი ანტრაციტი

როსტოვი, 22 დეკემბერი. ქალაქ შახტის ახლოს აღმოჩენილია ანტრაციტის მადნები, რომელიც შეიცავს 15 მილიარდ ფუთს ქვანახშირს (ადს).

ლიტვა და პოლონეთი

ვარშავა, 22 დეკემბერი. კონსერვატორული გაზეთი „სლოვო ვოლენსკოე"-ს აზრით პოლონეთის მთავრობა გულგრილად არ უნდა შეხვდეს კოვნოს ამბებს, რომელიც ემუქრება მშვიდობიანობას. პოლონეთმა ზომები უნდა მიიღოს თავისი სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად. (ადს).

მუსოლინის სამფლობელოში

ფაშისტების საგანგებო ტრიბუნალი

რომი, 21 დეკემბერი. ყველა საგამომძიებლო მასალები იმ საქმეებისა, რომელნიც სახელმწიფოს დაცვის კანონით არიან გათვალისწინებული (მათ რიცხვში საქმეები მუსოლინიზე 4-ჯერ თავდასხმის შესახებ) სამხედრო პროკურორს გადაეცა და გაირჩევა ახლად დაწესებულ საგანგებო ტრიბუნალში (ადს).

იტალიის პარლამენტის ლიკვიდაცია

რომი, 21 დეკემბერი. ფაშისტური გაზეთები იუწყებიან, რომ შესაძლებელია იტალიის პარლამენტი 1927 წლის თებერვალში იქნას საბოლოოდ დათხოვნილი; ამასთანავე პარლამენტი შეცვლილი იქნება სხვადასხვა კორპორაციების წარმომადგენლობით. (ადს).

ფაშისტების თარეში

რომი, 21 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შიკრიკი რომში მასინი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ორი თანამშრომელი მილანში და სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელთა ექიმი (ყველანი იტალიის ქვეშევრდომები არიან) სამი დღის ციხეში ჯდომის შემდეგ ბრალდების წარუდგენლად ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს კუნძულ ლამპედუზოში.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას არ ეცნობა დაპატიმრებისა და გადასახლების მოტივი (ადს).

საპარლამენტო „არჩევნები" უნგრეთში

რეაქციის გამარჯვება

ვენა, 22 დეკემბერი. საპარლამენტო არჩევნების შედეგები ჰუნგრეთში ასეთია: მთავრობის უმრავლესობამ მიიღო 213 მანდატი და აქვს ყველა მანდატების 87%; მემარჯვენე ოპოზიციონურმა პარტიებმა მიიღეს: უკიდურეს ნაციონალისტებმა — 3 მანდატი, უპარტიო ლეგიტიმისტებმა — 2 მანდატი და მთავრობის წინააღმდეგ ოპოზიციონურად განწყობილმა უპარტიოებმა — 3 მანდატი; მემარცხენე ოპოზიციამ მიიღო: სოციალ - დემოკრატებმა — 14 მანდატი, ლიბერალების გაერთიანებულმა მემარცხენე პარტიამ — 9 მანდატი, კოშუტის პარტიამ (წვრილბურჟუაზიული პარტია, რომელიც ეყრდნობა წვრილი გლეხობის ნაწილს — 1 მანდატი. 245 დეპუტატიდან მხოლოდ 46 იქნა არჩეული ფარული კენჭის ყრით: ამან შესაძლებლობა მისცა მთავრობას საშინელი ტერორის გზით უზრუნველეყო თავის მომხრეების სრული გამარჯვება. სოციალისტურ მუშათა პარტიას მოსპობილი ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება. ბევრ საარჩევნო ოლქში ოპოზიციონური კანდიდატები არც კი დაუშვეს არჩევნებზე და მთავრობის კანდიდატებს სთვლიდენ არჩეულად ყოველგვარი კენჭის ყრის გარეშე, მხოლოდ იმ განცხადების თანახმად, რომლითაც წამოყენებული იყო მათი კანდიდატურა (ადს).

საბჭოთა კავშირში

ოპოზიციის ახალი გამოსვლის წინააღმდეგ

მოსკოვი, 22 დეკემბერი. ბელორუსიის კომპარტიის მოლდავის საოლქო კომიტეტმა კატეგორიულად დაგმო ოპოზიციის ახალი გამოსვლა კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე.

უკრაინის ლენინურ ახალგ. კომკავშირის ხარკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სავსებით და მთლიანად უერთდება მე-14 პარტკონფერენციის გარდაწყვეტილებებს. პლენუმი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის გამოსვლა კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე მოწმობს ფრაქციული მუშაობის კვლავ გაგრძელებას და იმედს გამოსთქვამს, რომ პარტია და კომკავშირი სასტიკ პასუხს გასცემს ოპოზიციის ამგვარ ცდებს (ადს).

ქარბუქი უკრაინაში

ხარკოვი, 22 დეკემბერი. 21 დეკემბერს, საღამოთი, ხარკოვის, პოლტავისა და კურსკის გუბერნიებში მოვიდა დიდი ქარბუქი, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ღამით. სამხრეთის რკინისგზების ზოგიერთ რაიონებში იმდენათ დიდი თოვლი მოვიდა, რომ დააბრკოლა მოძრაობა. (ადს).

კიევი, 22 დეკემბერი. 21 დეკემბერს ღამით კიევში ადგილი ჰქონდა ქარბუქს. ქუჩებში თოვლის ზვავები დგას. ტრამვაის მოძრაობა ძლივს-ძლივობით სწარმოებს ქალაქის ცენტრში, გარეუბნებში კი — შეწყვეტილია. კიევში მატარებლები დაგვიანებით მოდიან. რკინისგზებზე გაიგზავნა თოვლის საწმენდი მანქანები. (ადს).

კიევი, 22 დეკემბ. ქარბუქი მთელ ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ - დასავლეთ უკრაინაში მძვინვარებს. (ადს).

კოლექტიური ხელშეკრულება „საქ. მარგანეცთან"

მოსკოვი, 22 დეკემბერი. სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკამ „საქართველოს მარგანეცის" კონცესიის სამმართველოს აცნობა, რომ სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკა საჭიროდ სთვლის გაგრძელებულ იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულების ვადა, რომელიც თავდება ა. წ. 3 დეკემბერს. კონცესიის სამმართველოსთან მოლაპარაკების წარმოება და კოლექტიურ ხელშეკრულების ხელმოწერა ცეკამ დაავალა საქართველოს სამთამადნო მუშების კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ხვედელიძეს და საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ყურულაშვილს. (ადს).

მუღანლოს ველის მორწყვა

მოსკოვი, 21 დეკემბერი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულმა საექსპერტო კომისიამ განიხილა შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მუღანლოს ველის სარწყავი სისტემის გადაკეთების შესახებ და გამოიტანა შემდეგი დასკვნა:

პროექტის განხორციელების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ საექსპერტო კომისია სცნობს, რომ მუღანლოს სარწყავი სისტემის გადაკეთების ძირითადი ამოცანაა არსებულ მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა მოსახლეობის კეთილდღეობის გადიდების და რაიონის საერთო პროდუქციის აწევის მიზნით. საექსპერტო კომისია სთვლის, რომ ამ ამოცანის პირველი ნაწილი გადაჭრილ იქნება პროექტის განხორციელებით, ვინაიდან მოისპობა: მიწის არასრული გამოყენება და წყლის მოუწესრიგებელი განაწილება სარწყავ ტერიტორიაზე. რაც შეეხება საერთო პროდუქციის გადიდებას, ის უზრუნველყოფილი იქნება მორწყვის მოზანშეწონილ ორგანიზაციის შემდეგ. კომისიას სწორად მიაჩნია პროექტის დასკვნა იმის შესახებ, რომ მდინარე არაქსის წყალით მუღანლოზე შეიძლება მორწყულ იქნეს 150.000 დესეტინა.

იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენათ გამოსადეგია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის პროექტში აღნიშნული მოსარწყავი მიწები, კომისია სცნობს, რომ მუღანლოს ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები უფლებას გვაძლევს დარწმუნებული ვიყვეთ, რომ ხსენებული მიწები სავსებით გამოდგება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მორწყვის რაციონალურ სისტემის დროს.

ჰიდრო-ელექტროსადგურის და მთავარ არხის შესახებ კომისია აღნიშნავს, რომ საჭიროა დეტალურად განხილულ იქნეს საკითხი: რა უფრო ხელსაყრელია ჰიდროსადგურის თუ დიზელ მოტორის ენერგიის გამოყენება.

საექსპერტო კომისია საჭიროდ სთვლის პროექტის ხარჯ-აღრიცხვის გადიდებას დაახლოებით 18 მილ. მანეთით, ასე რომ ხარჯთაღრიცხვის საერთო თანხა, რომელიც პროექტის მიხედვით უდრის 53½ მილ. მანეთს, გადიდებულ უნდა იქნეს 71.600 მილ. მანეთამდე.

საიდანაა ყველაფერი ეს?

(წერილი მოსკოვიდან)

თვიდან თვემდე ჩნდება ახალი ავტომობილები. გუშინ ლონდონიდან და ვენიდან მიღებულნი დღეს უკვე დაჰქრიან წითელი დედაქალაქის ქუჩებში.

წლითი წლობით მოსკოვი იქსელება ტრამვაის გზებით, რომლებიც უკვე საკმაოდ შორს გასცილდენ ქალაქს. განუწყვეტლივ ჩნდება ახალი შენობები, დაწყებული გიგანტიურ ტელეგრაფიდან და გათავებული საერთო საცხოვრებლებით.

ეს — ასე ვსთქვათ, მოსკოვის თვალსაჩინო ზრდა.

ხოლო „უჩინარი" — ათობით ახალი სკოლები, ახალი საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები, ქარხნების მოწყობილობის გაუმჯობესება და, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ისე თვალში არ ეცემა ადგილობრივ მცხოვრებ მოსკოველს და ჩამოსულ უცხოელს.

ამას ზედ დაურთეთ ლაპარაკი მეტროპოლიტენის გარშემო, ლაპარაკი, რომელიც მომავალ წლიდან იქცევა საქმედ, სინამდვილედ.

საიდანაა ყველაფერი ეს? სად არის იმ კოლოსალური თანხების წყარო, რომლებიც იხარჯება მოსკოვის გამშენიერება - გაზრდაზე? ამაზე შეიძლება ნათელი და გარკვეული პასუხის გაცემა:

მოსკოვის წლევანდელმა ბიუჯეტმა მიაღწია 248 მილიონ მანეთს, ე. ი. მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ადგილობრივ ბიუჯეტების შემოსავლის ერთ მეხუთედს.

განმტკიცებული საგადასახადო სისტემა წელს უმაგრებს მოსკოვის ბიუჯეტს. მიმდინარე წლის საგადასახადო შემოსავალმა მიაღწია 98 მილიონ მანეთს.

უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საყურადღებოა არასაგადასახადო შემოსავალი — ე. ი. შემოსავალი სამრეწველო, სავაჭრო და კომუნალურ მეურნეობიდან და სხ. წლევანდელი არასაგადასახადო შემოსავალი უდრის 143 მილიონ მანეთს.

რას გვეუბნება ეს ციფრი?

ეს ციფრი მოწმობს წითელი დედაქალაქის ეკონომიკის განმტკიცებას და, მაშასადამე, მთელი საბჭოთა კავშირის, რადგან მოსკოვი — მთელი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სწორი ბარომეტრია. საყურადღებოა ის, რომ ამ „არასაგადასახადო შემოსავალმა" ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევს 120 პროცენტით გადააჭარბა.

სულ წრეულს საბიუჯეტო საშუალებებიდან მოსკოვსა და მოსკოვის გუბერნიაში დაიხარჯა 239 ნახევარი მილიონი მანეთი.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვისწავლეთ არა მარტო „ფეხის გაჭიმვა ისე, როგორც საბანი გაგვიწვდება", არამედ ამ საბნის ნაწილის მოტოვებაც, ე. ი. ბიუჯეტის ჩამოყალიბება მცირეოდენი სათადარიგო თანხით.

აი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რაზე დაიხარჯა ზემოაღნიშნული თანხა: სამეურნეო - საწარმოო საჭიროებებზე დაიხარჯა 142 მილიონი, კულტურულ - სოციალურზე — 63 მილიონი, ადმინისტრატიულ - სამოსამართლოზე — 27 მილიონი და სხ. საჭიროებებზე — 7 ნახევარი მილიონი მან. ამნაირად პირველ რიგში დგას კომუნალური მეურნეობა, მრეწველობა და საბინაო მშენებლობა.

აი პასუხი კითხვაზე: „საიდანაა ყველაფერი ეს?".

ლ. შავერდაშვილი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის ახალგ. კომკავშირის ცეკას პლენუმი

ბაქო, 22 დეკემბერი. აზერბეიჯანის ლენინურ ახალგ. კომკავშირის ცეკას პლენუმზე ამხ. დანიელიანმა გააკეთა მოხსენება პიონერთა შორის მუშაობის შესახებ. მოხსენების თანახმად, აზერბეიჯანის პიონერთა ორგანიზაციაში არის 52.000 ბავშვი.

შემდეგ საანგარიშო მოხსენებები გააკეთეს: ამხ. ახუნ-ზადემ—საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირის ცეკას მესამე პლენუმის შესახებ და ამხ. კოვალიოვმა ამიერ-კავკ. ახალგ. ლენინური კომკავშირის საოლქო კომიტეტის მესამე პლენუმის შესახებ. (ადს).

სესხის ტირაჟის წინ

ბაქო, 22 დეკემბერი. დღეს ფინანსთა სახ. კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელმაც დაადგინა, მოწვეულ იქნას ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებათა თათბირი და გამგეობანი. სესხის ობლიგაციების გაყიდვა მოეწყოს არა სამუშაო დღეებში, რომ მშრომელთ მიეცეს ობლიგაციების შეძენის საშუალება. მუშათა რაიონებში და სამხედრო ნაწილებში დაიწყო მოხსენებების წაკითხვა ტირაჟის შესახებ. გადაწყდა, რომ სატირაჟო კომისიის ერთი სხდომა ჰქონდეს მუშათა რაიონში (ადს).

ნავთის პროდუქტები საზღვარგარეთ

ბაქო, 22 დეკემბერი. ნავთის სინდიკატმა დამატებითი ხელშეკრულებანი დასდო უცხოელებთან ნავთის პროდუქტების მიწოდების შესახებ. ამ ხელშეკრულების მიხედვით უნდა მიეცეს: იტალიის საზღვაო სამინისტროს—10.000 ტონა მაზუთი, ინგლისურ ფირმას „მედვეი"-ს 4.000 ტონა ბენზინი, ამერიკულ ფირმას „ვაკუუმ ოილ"—30.000 ტონა ნავთი, ბელგიის ერთ ფირმას 4.000 ტონა ბენზინი, 7.000 ტონა ნავთი და 5.000 ტონა გაზოლინი. (ადს).

სადგურის შეკეთება

განჯა, 22 დეკემბ. დამთავრდა განჯის სადგურის შენობის კაპიტალური შეკეთება, რაც 3.000 მანეთი დაჯდა. (ადს).

თესლეულის გამოკვლევა

განჯა, 22 დეკემბ. აზერბეიჯანის აბრეშუმის სადგური შეუდგა აზერბეიჯანის ყველა სათესლე დაწესებულებათა (ნუხა, ვართაშენი, ზაქათალა, აღდაში და ორდუბათი) თესლეულის გამოკვლევას. იანვრის თვის განმავლობაში სადგურმა უნდა გამოიკვლიოს 15.000 თესლეულის სიმუში. (ადს)

ელ-სადგურის აგება

განჯა, 22 დეკემბ. აქსტაფის სადგურთან დამთავრებულ იქნა ელექტრო - სადგურის შენობის აგება, რომელიც დაჯდა 10.000 მანეთი. ამ დღეებში ბაქოდან მიღებულ იქნება 35 ძალიანი დიზელი სადგურისთვის. (ადს).

საბჭოთა კავშირის ფინსახკომის წარმომადგენლის ჩამოსვლა

ბაქო, 22 დეკემბერი. 21 დეკემბერს ბაქოში ამოვიდენ მომგებიანი სესხის მეცხრე ტირაჟის ასატარებლად საბჭოთა კავშირის ფინსახკომის წარმომადგენლები არეფიევი და პლეტნერი

განჯის ელექტროფიკაცია

ბაქო, ბაქოდან განჯაში იგზავნება 1.000 ძალიანი ელექტრო-სადგური, რომელიც დაიდგმება ბამბით საწმენდ ქარხნებში. ამრიგად, განჯა, სანამ იქ აგებული იქნება 3.600 ძალიანი ჰიდრო-ელექტრო სადგური, სავსებით ელექტროფიკაცია-ქმნილი იქნება.

ახალი ელექტრო-სადგური

ბაქო, 22 დეკემბერი. სალიანში ეწყობა 100 ძალიანი ელექტრო-სადგური, რომელიც დაჯდება—50.000 მანეთი.

სომხეთი

ნხატვარ ლანსერეს სურათების გამოფენა

ერევანი, 22 დეკემბერი. დღეს გაიხსნა აკადემიკოსის ლანსერეს სურათების (ზანგეზურის სერია) გამოფენა. სურათები უმთავრესად ესკიზებია, დაწერილი მხატვარის მიერ ზაფხულში ზანგეზურში მგზავრობის დროს, ცაკის თავმჯდომარე კარინიანთან ერთად.

გამოყოფილია კომისია სურათების ნაწილის შესაძენად სომხეთის სახელმწიფო მუზეუმისთვის (ადს).

გაფლანგვა გემო-კვების კავშირში

ლენინაკანი, 22 დეკემბერი. გემო-კვების კავშირში აღმოჩენილ იქნა 1.122 მანეთის გაფლანგვა. ფული გაფლანგა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა მირან მანუკიანმა.

მანუკიანი დაპატიმრებულია; სწარმოებს გამოძიება. (ადს).

მიწურების აგება

ლენინაკანი, 22 დეკემბერი. ლენინაკანის აღმდგენელმა კომიტეტმა აქამდის ააგო 1508 მიწური. მიწურზე დაიხარჯა 77.432 მან. ქალაქში აგებულია 669 მიწური 3.500 კაცისათვის. ბარაკების ასაგებათ დაიხარჯა 223.513 მანეთი. (ადს).

უკრაინის წითელი ჯვარის დახმარება

ერევანი, 21 დეკემბ. სომხეთის წითელი ჯვრის მისამართზე, უკრაინის წითელი ჯვრის კიევის განყოფილებიდან მიღებულ იქნა 200 კომპლექტი საბავშვო კოსტიუმებისა და 4 ყუთი რძე. მოსკოვში არსებულ ბავშვთა დამხმარე კომიტეტისაგან მიღებულ იქნა საცვლების და ტანისამოსის დიდი რაოდენობა. (ადს).

დელეგაციის დაბრუნება

ერევანი, 22 დეკემბერი. სომხეთის დამხმარე კომიტეტისა (ხოკ) და სომხეთის წითელი ჯვრის დელეგაციამ, რომელიც დაბრუნდა 14 თვის აქ არ ყოფნის შემდეგ, მიკაელიანის, ვართანიანის და კამსარაკანის შემადგენლობით დაიარა 52 ქალაქი გერმანიასა, საფრანგეთსა, ბელგიასა, შვეიცარიასა, ინგლისსა და ამერიკაში და მოაწყო ასზე მეტი საჯარო გამოსვლა. დელეგატების სიტყვით, საზღვარგარეთელ სომხებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა კინო-სურათმა „საბჭოთა სომხეთი"; მშენებლობის ზრდა საბჭოთა სომხეთში ხშირად მაყურებელთა, სომეხთა კოლონიების მშრომელთა აღფრთოვანებას იწვევდა. ევროპასა და ამერიკაში დელეგატებმა მოაწყვეს „ხოკ"-ის და სომხეთის წითელი ჯვრის მრავალი განყოფილება. ამ განყოფილებების გარშემო თავს იყრიან საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობი სომეხთა კოლონიები. უახლოეს ხანში დელეგაცია გააკეთებს საჯარო მოხსენებას მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. (ადს).

დახმარება ამერიკიდან

ერევანი, 22 დეკემბ. სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოებამ ამერიკაში სომეხ მშრომელთა შორის ლენინაკანის აღსადგენათ მოჰკრიბა 50.000 დოლარი. ეს ფული გადაიგზავნა პარიზში, სადაც შეძენილ იქნება, აღმშენებლობისათვის საჭირო მანქანები. (ადს).

დახმარება ლენინაკანელებს

ლენინაკანი, 22 დეკემბერი. ტალინის მაზრის სოფ. მირაბას მცხოვრებლებმა მიწისძვრისაგან დაზარალებულთ შესწირეს 35 ფუთი ხორბალი და 7 მ. 50 კაპ. (ადს).

მომგებიანი სესხის მეცხრე ტირაჟი

ბაქო, 21 დეკემბერი. მომგებიანი სესხის მეცხრე ტირაჟის ჩამტარებელ კომისიის პირველი სხდომა გაიხსნება დიდ სახელმწიფო თეატრში 2 იანვარს. ტირაჟის დროს თეატრში საბჭოთა კავშირის ფინსახკომის მიერ მოწყობილი იქნება ჩვენი ფულადი მეურნეობის განვითარების გამოფენა. ამას გარდა, გამოფენილი იქნება საბჭოთა კავშირის ოქროს და ალმასის ფონდების სურათები. ტირაჟის პოპულარიზაციის მიზნით, ბაქოში მუშათა კრებებზე, კონფერენციებზე და სამხედრო ნაწილებში ნაჩვენები იქნება კინო-სურათები—ტირაჟი ბელორუსიაში, ვოლგაზე, თურქესტანში, თბილისში, კიევში და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში. რადიოთი გადაცემული იქნება მოხსენებები ტირაჟის მნიშვნელობის შესახებ. სატირაჟო კომისია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე აღამალი ოღლი, მოადგილე—აზერბეიჯანის ფინსახკომი ალიევი, ა.-კ. ფინსახკომიდან ანანოვი და საბჭოთა კავშირის ფინსახკომიდან ვულფი. მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად გამოყოფილია საორგანიზაციო კომისია.

სამალარიო ყრილობის გახსნა

ერევანი, 21 დეკემბერი. 19 დეკემბერს, კულტურის სახლში გაიხსნა სომხეთის სამალარიო ყრილობა. ყრილობა გახსნა სომხეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. ლაზარევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მალარიასთან მებრძოლ მუშაკებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტურ სახელმწიფოს გაჯანსაღების საქმეში.

ლაზარევის შემდეგ გამოვიდა სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი, რომელიც ესალმება ყრილობას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ექიმს უდიდესი განმანათლებელი როლის შესრულება შეუძლია სომხეთის სოფელში; შემდგომი სოციალისტური მშენებლობის საქმეში სომხეთის საექიმო-სანიტარულ პერსონალს შეუძლია ჩამორჩენილი სოფლები საბჭოთა საზოგადოებრიობის კერებად აქციოს.

19 დეკემბრის, საღამოს სხდომაზე და 20 დეკემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: სანიტარულ-საეპიდემიო განყოფილების გამგის—ტროპიკულ სადგურების მუშაობის შესახებ, ტროპიკულ ინსტიტუტის დირექტორის—ინსტიტუტის 4 წლის მუშაობის შესახებ, სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოხსენება—ჭაობების გაშრობის შესახებ და მთელი რიგი მოხსენებები ადგილებიდან.

ყრილობა გაცხოველებით მიმდინარეობს. (ადს).

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს ახალ დარბაზში

— ხელმეორედ დანიშნულია —

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრთა

საერთო-საქალაქო კრება

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ საბჭოს მე-4-ე პლენუმის შესახებ (საკითხები: ახალი ტარიფი, 26 თანრიგ. ქსელი სექციის საწარმოო მუშაობა. საწარმოო განათლება. ბეჭდვითი სიტყვის სამეურნეო მდგომარეობა. უმუშევრობა).
2) მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.
3) მოხსენება ხელახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიის შესახებ.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო.

რა ხდება უცხოეთში

შეერთებული შტატები

ვის ხელშია ქვეყნის სიმდიდრე

ამ რამოდენიმე ხნის წინათ შეერთებულ შტატების საგადასახადო ინსპექციის გამგემ გამოაქვეყნა ცნობები ნაციონალური შემოსავლის განაწილების შესახებ 1924 წ. ეს ცნობები იძლევიან შეერთებულ შტატებში კაპიტალის არაჩვეულებრივი კონცენტრაციის ნათელ სურათს.

1924 წ. შეერთებულ შტატებში ითვლებოდა 75 არხიმილიონერი. თითეული მათგანის ყოველწლიური წმინდა შემოსავალი იყო არანაკლებ ერთი მილიონი დოლლარისა. ამ „75"-ს მთელი წმინდა შემოსავალი შეადგენდა 156 მილიონ დოლლარს. ამ „75"-ის რიცხვში იყო 3 არხიმილიონერი, რომელთა შემოსავალი შეადგენდა 34.186.639 დოლლარს. საშუალოდ 10 ყველაზე უფრო მდიდარის შემოსავალი შეერთებულ შტატებში შეადგენს 6 მილიონ დოლლარს (თითეულისათვის).

მათ მისდევენ უფრო „ნაკლები" შემოსავლის მქონე პირები. ასე მაგალითად, 19124 წ. შეერთებულ შტატებში იყო 5.715 კაცი, რომელთა წმინდა საერთო შემოსავალი შეადგენდა 1.238 მილიონ დოლლარს, ე. ი. არა ნაკლებ 100.000 დოლლარისა თითეულზე. ეს ჯგუფი შეადგენდა ყველა გადამხდელების დაოდენობის ერთი მეათედს, მათი მოგება კი—ქვეყნის საერთო შემოსავლის 5 პროც.

გადასახადის გადამხდელთა შემდეგი ჯგუფის—21.531 კაცის, ანუ გადამხდელთა 0,3 პროც. შემოსავალი შეადგენს არა ნაკლებ 50.000 დოლლარისა თითეულზე. მათი საერთო მოგება შეადგენს 2.304.173 დოლლარს, ანუ ქვეყნის საერთო შემოსავლის 9 პროც. შემდეგ მიდის 68.592 გადამხდელი (1 პროცენტი), რომელთა საერთო შემოსავალი უდრის 3.904.571.336 დოლლარს, ანუ მთელი ნაციონალური შემოსავლის 15 პროც.

გადასახადის გადამხდელთა 10 პროც. წლიური შემოსავალი შეადგენს 5.000 დოლლარის თითეულზე.

შემდეგ, შემოსავლის მხოლოდ თუთხმეტი პროცენტი მოდის წვრილ გადამხდელთა მთავარ მასაზე—2.418.881 კაცზე.

ამრიგად, 1924 წ. მცირე ჯგუფის—გადასახადის გადამხდელთა 1,4 პროც.—ხელში იყო მთელ ნაციონალურ შემოსავლის 29 პროც. მეორე მხრივ, მოსავლის ასეთივე რაოდენობა მოდიოდა გადასახადის გადამხდელთა 65 პროცენტზე.

1924 წ. შეერთებულ შტატებში ითვლებოდა 21.531 კაცი, რომელთა ქონება შეფასებული იყო არა ნაკლებ ერთი მილიონი დოლლარისა (თითეულის). ამ მილიონერების წმინდა შემოსავალი შეადგენდა 2.304 მილიონ დოლლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1924 წ. შეერთებული შტატების სახალხო მეურნეობისათვის კრიზისის წლიწადი იყო, მაგრამ მაინც მაღალი კონიუნქტურის—1915—1916 და 1917 წ. წ. შედარებით მილიონერების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი შეერთებულ შტატებში თავბრუდამხვევი სისწრაფით მიდის წინ. შორს არ არის ის დრო, როცა კაპიტალის რამდენიმე მაგნატი ხელში ჩაიგდებს სახელმწიფოს შემოსავლის დიდ ნაწილს. მაგრამ ამავე დროს, კაპიტალის კონცენტრაციასთან ერთად სწარმოებს წვრილი ბურჟუაზიის პროლეტარიზაციის პროცესი, ძლიერდება მუშათა კლასის ყვლეფა და იზრდება რევოლიუციონური განწყობილება.

ა. ს.

მუშათა მოძრაობა

კაპიტალის შეტევა საფრანგეთში

საფრანგეთში ვალიუტის სტაბილიზაცია, ისე როგორც აქედან გამომდინარე შედეგები იმავე გზით მიდის, როგორც გერმანიაში.

ვალიუტის სტაბილიზაცია საფრანგეთში ხდება მშრომელთა ხარჯზე, ისე როგორც ეს ერთ დროს გერმანიაში ხდებოდა. სტაბილიზაციასთან ერთად იზრდება ფასები საქონელზე, მრეწველობა კარგავს მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის უნარს. ამის შედეგია ის, რომ ინფლიაციის ციებ-ცხელება, რომელიც კეთილდღეობის ილიუზიას ქმნიდა, ადგილს უთმობს სამეურნეო კრიზისს. ბურჟუაზია იწყებს გზების ძებნას პროდუქციის ფასის გასაიაფებლათ. იწყება რაციონალიზაციის პერიოდი. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ისე როგორც მთელ რაციონალიზაციას, ბურჟუაზია მშრომელთა ხარჯზე ატარებს. ამ პროცესის ნიშნები უკვე თვალსაჩინოა.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ დაიწყო შეტევა შრომის ხელფასზე და 8 საათის სამუშაო დღეზე. ამისათვის ბურჟუაზია შემდეგი მეთოდებით სარგებლობს. პირველ რიგში საფრანგეთის ბურჟუაზია ცდილობს დაქსაქსოს მუშათა კლასის ძალები. ამ მიზნით მწარმოებლები, უკანასკნელ ხანებში, მიმართავენ მუშების დაყოფას კატეგორიებად ხელფასის მხრივ. შემოღებულია პრემიალური სისტემა. ამით ბურჟუაზია ლამობს განხეთქილების შეტანას მუშათა კლასში.

მეორე ნაცად საშუალებას წარმოადგენს ფრანგ მუშების ამხედრება უცხოელ მუშების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა ყოველმხრივ უჭერს მხარს და ავრცელებს ხმებს, რომ უცხოელი მუშები წარმოადგენენ ფრანგების უმუშევრობის მთავარ მიზეზს. ამ ხრიკების მნიშვნელობა ნათელი შეიქნება, თუ გავიხსენებთ, რომ საფრანგეთში მუშათა კლასის 25-30 პროცენტს უცხოელები შეადგენენ. უმთავრესად უუფლებო მასას მწარმოებლები იყენებენ ხელფასის შესამცირებლად და საფრანგეთის მთელ მუშათა კლასზე გავლენის მოსახდენათ.

კაპიტალის შეტევა საფრანგეთში სწარმოებს ერთიანი და მტკიცე ფრონტით. ამავე დროს მუშათა კლასის ძალები საგრძნობათ დაქსაქსულია. ასე მაგალითად, ლითონის მრეწველობის მუშების მხოლოდ მცირე ნაწილია დარაზმული პროფკავშირებში. პარიზის რაიონში, მაგალითად, 600 მელითონედან მხოლოდ 10 ითვლება კავშირში. მაგრამ ეს პროფკავშირებიც დაყოფილი არიან რეფორმისტულ და უნიტარულ (რევოლიუციონურ) პროფკავშირებად. ასეთ პირობებში, ბურჟუაზიის ცდა კიდევ უფრო დაქსაქსოს მუშათა კლასის ძალები, უდიდეს საფრთხეს მუშათა უკანასკნელს.

ამ გარემოებას ჯერ-ჯერობით ითვალისწინებენ და ანგარიშს უწევენ მხოლოდ რევოლიუციონური პროფკავშირები. ამ რამოდენიმე ხნის წინათ მათი ინიციატივით, პარიზში შესდგა პარიზის რაიონის ლითონის მრეწველობის ფაბქარკომების კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 215 ქარხნის 544 დელეგატი. ადგილებიდან გაკეთებულმა მოხსენებებმა შექმნა ნათელი სურათი იმისა, თუ როგორ და როგორი საშუალებებით აპირებს ბურჟუაზია სტაბილიზაციისა და რაციონალიზაციის მთელი სიმძიმე მშრომელთა ზურგზე გადაიტანოს. დელეგატების სიტყვით, ბრძოლის სიმძიმეს აძლიერებს საფრანგეთის პროლეტარიატის შეუკავშირებლობა და მისი უნდობლობა პროფკავშირებისადმი.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ მასიური უმუშევრობისა, შრომის ხელფ. შემცირების და სამუშაო დღის გახანგრძლივების საფრთხის წინაშე საფრანგეთის პროლეტარიატმა უნდა შეამჭიდროვოს თავისი რიგები. რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა უახლოეს ამოცანად უნდა დაისახონ მუშათა ფართო მასების ჩაბმა პროფკავშირებში და მშრომელთა ერთიანი ფრონტის შექმნა.

მაგრამ რევოლიუციონური პროფმოძრაობის ამ ამოცანას ართულებს რეფორმისტების მოღალატეობა. უკანასკნელები არა თუ არ იღებენ მონაწილეობას საფრანგეთის მუშათა კლასის დარაზმვაში ბურჟუაზიის შეტევის წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ ყოველნაირად უშლიან ხელს ერთიანი ფრონტის შექმნას.

ა-მ-ე.

სრულიად გერმანიის მშრომელთა კონგრესი ბერლინში

(წერილი გერმანიიდან)

გერმანიისათვის 1926 წელი დამახასიათებელია სხვათა შორის იმით, რომ გერმანიის ბურჟუაზიაში დაისახა ტენდენცია მისი ეკონომიური და პოლიტიკური ძალების გაერთიანებისა. ამის მაჩვენებელია მონოპოლისტური მისწრაფებანი და ახალი ტრესტები. ეს აშკარა იყო გერმანიის მრეწველთა მთელ რიგ კონგრესებზე შემოდგომის განმავლობაში. ამავე მიზნით ბურჟუაზია შეეცადა მოეთავსებია გერმანიის სოციალ - დემოკრატია თავისი ინტერესების რკალში და სოც. - დემოკრატიულ ლიდერებმაც თანხმობა განაცხადეს „დიდ კოალიციაზე".

ამასთანავე პარალელურად მშრომელთა მასებში იზრდებოდა შეგნება, რომ აუცილებელია პროლეტარული და რევოლიუციონური ერთიანი ფრონტის შექმნა ბურჟუაზიის შეტევის მოსაგერიებლად.

გერმანიის მშრომელმა მასებმა (სამრეწველო პროლეტარიატი, ღარიბი გლეხობა და განადგურებული საშუალო წოდება) დაჰკარგეს ნდობა „დემოკრატიულ რესპუბლიკისადმი". „ჰოჰენცოლლერნის შეთანხმება", „დიდი კოალიცია", საქონლის ფასები, რაციონალიზაცია და სხვა მაგალითებმა აშკარად დაანახვა გერმანიის მშრომელ მასებს, რომ „დემოკრატიული" მთავრობა, რეიხსტაგი, ლანდტაგი, ბურჟუაზიული პარტიები, რეფორმისტული პროფკავშირები და სოც.-დემოკრატიული ბიუროკრატია—ყველანი მათი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ. მშრომელმა მასებმა შეიგნეს, რომ მათი ინტერესების დასაცავად საჭიროა საკუთარი ძალების დარაზმვა და საკუთარი ინიციატივით საქმიანობა.

პირველი ნაბიჯი ასეთი შეგნებისა არის სრულიად გერმანიის მშრომელთა I კონგრესი. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ თავზე იდვა ამ კონგრესის მოწვევის ინიციატივა და სექტემბრიდან დაწყებული რესპუბლიკის ყველა ნაწილებში ენერგიული პროპაგანდა ტარდებოდა არა მხოლოდ კომ. პარტიის, არამედ უპარტიო და სხვა პარტიების მომხრე მუშების მიერ.

კონგრესის ორგანიზაციაში ხელმძღვანელი როლი ითამაშა პროლეტარიატმა, რომელმაც ყველა სამრეწველო ცენტრებიდან, ქალაქებიდან, ქარხნებიდან დელეგატები გამოგზავნა საერთო ფრონტის შექმნის დირექტივებით, რადგან: 1) „რაციონალიზაცია", რომელსაც ეხლა გერმანიის ბურჟუაზია . სოც.-დემოკრატიასთან და პროფკავშირებთან ერთად ატარებს, ნიშნავს უპირველესად ყოვლისა სამუშაო დროს გაგრძელებას, ხელფასის შემოკლებას, შრომის ინტენსივობის გაძლიერებას მუშებისაგან მაქსიმუმ ენერგიის გამოწოვის საშუალებით მოძრავ დაზგების მეთოდით (ფორდის სისტემა.), ქალების და ბავშვების წარმოებაში ჩათრევას და მუშის ოჯახის განადგურებას; 2) ეკონომიური კრიზისი ნიშნავს წარმოების შემცირებას და მუშათა პერსონალის დათხოვნა ქარხნებიდან, 3 მილიონ უმუშევართ გერმანიაში და ყოველ ახალ კვირის განმავლობაში 20.000 ახალ უმუშევრის მომატებას. 3) გერმანიის ბურჟუაზიის მონოპოლისტური მისწრაფებანი ნიშნავს საქონელზე ფასების ამაღლებას და ამგვარად რეალური ხელფასის შემცირებას, შიმშილს, სიცივეს და უბინაობას. 4) დიდი კოალიცია, რომელსაც სოც. - დემოკრატია ბურჟუაზიულ პარტიებთან ამზადებს, ნიშნავს კაპიტალის შეტევას მშრომელთა მასების და მათი ინტერესების საწინააღმდეგოთ) და მუშათა კლასის კისერზე უსასტიკესი მონობის უღელის დადგმას.

ამ კონგრესზე გამოცხადდა საშუალო წოდება რადგან: 1) გერმანიის კაპიტალიზმმა გაიარა ხანა მეტად სწრაფი კონცენტრაციისა და წვრილ მწარმოებელთა ქონება მსხვილ კაპიტალისტების ხელში გადავიდა. 2) რადგან დღესაც გრძელდება პროცესი წვრილი წარმოების და წვრილი ვაჭრობის განადგურებისა და ასეული ათასები საშუალო წოდებიდან ჰკარგავენ შემოსავლის წყაროს. 3) რადგან სახელმწიფო, სავაჭრო და საწარმოო დაწესებულებათა მოხელენი და მოსამსახურენი უმნიშვნელო გასამრჯელოს მიხადებათ 10, 11 და 12 საათს მუშაობენ.

ამ კონგრესზე დაბოლოს გამოცხადდენ გერმანიის გლეხობის წარმომადგენლები, რადგან მონოპოლიზაცია და ტრესტების ბატონობა გერმანიის გლეხობას როგორც მყიდველს ლოდივით აწევს თავზე, რადგან მონოპოლისტური ფასებით ტრესტების კაპიტალი ყვლეფს გლეხობას, რადგან შევიწროებული მიწის სიმცირის გამო და დატვირთული გადასახადებით გერმანიული გლეხობა ნადგურდება და დღეს ღარიბი გლეხი ნიშნავს ხვალ ქალაქის უმუშევარს.

აქ აღნიშნულ უნდა იქმნეს, რომ ეს კონგრესი 1918 წლის შემდეგ პირველია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ღარიბი გლეხობა და გაყვლეფილი საშუალო წოდება სამრეწველო პროლეტარიატის ხელმძღვანელობით.

ბერლინის შორეულ ნორდენში ამართულია მთელი ტყე ქარხნების მაღალ საკვამლეთა და ვედინგის ცა მუდმივ კვამლით არის დაფარული. ვედინგის ქუჩები სწორხაზოვანია; ყაზარმისებურად აგებული გაჭვარტლული დაძველებული მრავალსართულიანი სახლები ერთმანეთზე მიკრულია. იქ წარმოუდგენელ სივიწროვეში და სიღარიბეში ბერლინის პროლეტარიატი სახლობს. ეს ნაწილი ცნობილია წითელი ვედინგის სახელწოდებით და ის სწორედ შესაფერი ადგილი იყო სრულიად გერმანიის მშრომელთა კონგრესის სხდომებისათვის.

3 დეკემბერს დილის 10 საათზე დიდი დარბაზი „მერსელეს პალასტისა" სრულიად სავსე იყო. დარბაზი იტევს 3 ათას დელეგატს ათასამდე სტუმრით. აქ წარმოდგენილია გერმანიის ყველა ნაწილები. ბავარიელი თავისი სქელი და მაღლა აწეული ულვაშებით, მუდამ მოხუშული ჰამბურგელი, ერცბერგელი გლეხები თავისი ზურგზე ასაკიდი ხურჯინებით, ისინი დღეს დილით ჩამოსულან ბერლინში და სადგურიდან პირდაპირ სხდომაზე გამოცხადდენ; აქვე წარმოდგენილი არიან საქსონია, ბადენი, ტიურინგია და სხ. და სხ.

ჩვენში გავრცელებული აზრი გერმანიის ხალხის შესახებ, რომ ისინი ფრაკებში და შავ ცილინდრებში გამოწყობილი დადიან სხდომებზე მეტად ყალბია. ეს ამბავი ალბათ მათი შეთხზულია, ვისაც პროლეტარული ორგანიზაციები და სხდომები თვალითაც არ უნახავს. კონგრესი მეტად უბრალო ჩაცმულობას წარმოადგენს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თბილისის მუშები უქმე დღეობით ცოტა უკეთესად არიან ჩაცმული, ვიდრე ისინი, ვინც მე ამ კონგრესზე ვნახე.

კონგრესზე გამოცხადდა 1956 დელეგატი, მათ შორის 187 სოც.-დემოკრატი, 812 კომუნისტი, 690 უპარტიო დელეგატი, 16 დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატებისაგან და წარმომადგენლები სხვადასხვა ორგანიზაციებისა.

კონგრესი გახსნა გეორგ ლედებურმა, რომელსაც გერმანიის პროლეტარიატი კარგად იცნობს. ლედებურს კონგრესმა ოვაციები გაუმართა.

ლედებური აღნიშნავს, რომ ეკონომიური კრიზისის სიმძიმე თავზე აწევს მხოლოდ მშრომელ მასსებს. კაპიტალიზმი ანადგურებს არა მხოლოდ ქარხნის მუშებს, არამედ საშუალო წოდებას და გლეხობასაც. მთავრობა, მუშათა კლასის „ცრუ მოციქულნი" რეფორმისტული კავშირები შეერთებულად მშრომელთა წინააღმდეგ მოქმედებენ. ჩვენ მათ მთლიანი ფრონტით უნდა უპასუხოთ. გერმანიის მუშათა კლასის წინ ორი მაგალითი სდევს: იტალია ფაშისტური ტერორით და რუსეთის რევოლიუცია. რუსეთში მშრომელმა ხალხმა ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში და სოციალიზმის შენებას შეუდგა. გერმანიაში ეკონომიური წინასწარი პირობები რევოლიუციისა გაცილებით უკეთესია, ვიდრე რუსეთში; სოციალიზმის აშენება უფრო ადვილია, ვიდრე იქ. ლედებურს მოჰყავს შედარება გერმანიის და იტალიის ფაშიზმის შორის და ამბობს: მე ვერაფერ განსხვავების აღნიშვნა შემიძლია მუსოლინის და ჰინდენბურგს შორის. იქ იტალიაში ფაშიზმი დიდი სისწრაფით მიდის წინ, გერმანიის ფაშიზმი კი შედარებით უფრო წყნარად და დინჯათ იძვრის.

დღეს ჩვენ ვამბობთ, არავის მივსცემთ ნებას ჩვენი ინტერესები გათელოს. დღეს ვაცხადებთ ჩვენ ბრძოლას ბურჟუაზიულ ბლოკის წინააღმდეგ. სიმხნევე! სიმხნევე! და ჩვენ მათ დავამარცხებთ, ძალა-უფლებას ავიღებთ და მას ხელიდან არ გავუშვებთ. წინ სოციალიზმისაკენ! (ტაშის გრიალი. ინტერნაციონალი).

პრეზიდიუმის არჩევნების შემდეგ პირველი სიტყვა ეკუთვნის ამხ. ჰეკერტს (გერმანიის კომუნ. პარტიის ც. კ. წევრი). მოხსენება: რაციონალიზაცია, ომის საშიშროება და მშრომელთა მასსების ამოცანები.

ამხ. ჰეკერტმა შეუდარებელი ოსტატობით დაასურათა კრიზისი, რომელსაც განიცდის გერმანიის ბურჟუაზია ეკონომიურად და პოლიტიკურად, რეფორმიზმის გამყიდველი როლი მუშათა მოძრაობაში. ის ამბობს: „ჩვენი" დემოკრატიული მთავრობა და პარტიები, რომელნიც მის ზურგს უკან სდგანან და მას ამაგრებენ, ის ხალხია, რომელმაც გერმანიის მშრომელი მასსები ომში ჩაითრია; რომელნიც პასუხისმგებელია მოზდენილ ნგრევისა და სისხლის ღვრისათვის. ეს ის ხალხია, რომელთა სინიდისზე 1923 წლის ინფლიაცია ირიცხება, ეს ის ელემენტია, რომელმაც 1923 წელს რურის სკანდალი და გერმანიის მუშათა კლასის დამარცხება მოაწყვეს, ეს ის ხალხია რომელმაც გერმანელ მუშებს 8 საათის სამუშაო დღე მოსტაცეს. ეს ის ხალხია, რომელიც კლასთა ინტერესების შერიგებას ჰქადაგობს, რათა თავისი ძალაუფლება გააფართოვოს. ჩვენ ქვეყანაში აღდგენილია მდიდართა ძალაუფლება, გაატარეს „რაციონლიზაცია" და მილიონი მუშები ქუჩაზე გამოჰყარეს. ხელფასი შეამცირეს. სტატისტიკურ დაწესებულებათა ცნობების თანახმად საცხოვრებელი მინიმუმი 143 მარკას უდრის. დედამიწაზე არ არის უკვე ისეთი ზრიყვი, რომელსაც სჯეროდეს გერმანიის სტატისტიკურ დაწესებულებების. ყველაფერი, რაც გერმანიის სტატისტიკურ დაწესებულებიდან გამოდის შეკრეჭილ-შეპარსულ-შელამაზებულია, რათა მშრომელმა მთელი საშინელება არ დაინახოს... გერმანიის კაპიტალიზმი მოურიდებელ შეტევას აწარმოებს პროლეტარიატის წინააღმდეგ. რეფორმისტები მათ გვერდში უდგიან. მათ შეხძლეს საერთო ძალით 52 საათის სამუშაო კვირის შემოღება ჩვენ წარმოებაში. ის კიდევ ცოტაა. მრავალ წარმოებაში მუშები 72 საათს მუშაობენ კვირაში. რკინის გზის სახელოსნოებში სამუშაო დრო კიდევ უფრო გრძელია. ჩვენ ქვეყანაში არის წარმოებანი, სადაც მუშები 90 საათს მუშაობენ კვირაში".

ამხ. ჰეკერტის მოხსენება 2 საათს გაგრძელდა და მან სავსებით ამოსწურა თავისი თემა.

გარდა ამისა დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 2) ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების ჩამორთმევა და გერმანიის მთავრობის პოლიტიკა (მომხსენებელი ამხ. ნეიბაუერ) 3) მშრომელ საშუალო წოდების და ღარიბ გლეხობის მდგომარეობა (მომხსენებელი კონენ) 4) გადასახადების პოლიტიკა (მომხსენებელი შოლეინ) 5) მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის განადგურება ფორდის სისტემის შემოღების და უმუშევრობის გამო (მომხსენებელი ამხ. ექიმი კლაუბერ) 6) გერმანიის ბურჟუაზიული სასამართლო და სამართალი (მომხსენებელი ვექილი დრ. პროისს) 7) ორგანიზაციული ამოცანები (მომხსენებელი შონებეკ).

სხდომების განმავლობაში გერმანიის ყველა ქალაქებიდან და ქარხნებიდან მილოცვის და ბრძოლისათვის მზადყოფნის ტელეგრამები მოდიოდა, რომელსაც კონგრესი აღფრთოვანებით ეგებებოდა.

კონგრესზე ილაპარაკა გლეხების წარმომადგენლებმა, სთქვეს, რომ ჩვენ მოვედით კონგრესზე რათა ქალაქის მუშებს განუცხადოთ, ჩვენ თანახმა ვართ თქვენთან კავშირი შევკრათ, საერთო ფრონტში შემოვიდეთ და მშრომელთა ინტერესების დასაცავად საერთო ბრძოლაში მონაწილეობა მივიღოთ. ჩვენ დავრწმუნდით რომ ქალაქის მუშების დაუხმარებლად ღარიბ გლეხობას მოელის განადგურება. ჩვენ გვახრჩობს გადასახადები და ქალაქის ნაწარმოების მაღალი ფასები. ჩვენ გვსურს ჩვენი ინტერესები დავუკავშიროთ თქვენს ინტერესებს და თქვენს მომავალს.

აუწერელი აღფრთოვანება გამოიწვია დარბაზში ამ უბრალო სიტყვებმა და კონგრესმა ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა გლეხების დელეგატებს.

ქემნიცის მუშათა დელეგაციამ გლეხობის დელეგატებს მიუძღვნა წითელი დროშა ნიშნად კავშირისა გერმანიის გლეხობის და პროლეტარიატს შორის, რომლის საძირკველი კონგრესმა ჩასდვა. 2.000 დელეგატი ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდა ამ პროლეტარულ სიმბოლოს.

ალტაცებით, ხანგრძლივი ტაშით და უდიდესი სიმპატიით შეხვდა კონგრესი მოსკოვის გუბერნიის გლეხობის წარმომადგენელს ავტილოვს (უპარტიო), რომელმაც უბრალო სიტყვებით მოკლედ მოუთხრო რუსეთის გლეხობის მდგომარეობა. მან უბრალოდ და გულწრფელად მოულოცა კონგრესს და უსურვა მას მუშათა და გლეხთა საბჭოებამდე გაფართოება. (დარბაზი ტაშის ცემით ზარზარებდა). ავტილოვი საპატიო წევრად იქმნა პრეზიდიუმში არჩეული.

კონგრესზე გამოცხადდა აგრეთვე ბერლინში ჩამოსული ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი ჰარისონი: ინგლისის მუშათა კლასმა განიცადა უდიდესი და უმწვავესი ბრძოლა. ჩვენ ჩვენს მიზანს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ჩვენი სიმხნევე არ გატეხილა (ხანგრძლივი ტაში). მუშები მზად იყვნენ ბოლომდე ბრძოლისათვის, მაგრამ იძულებული შეიქმნენ დათმობაზე წასულიყვნენ, რადგან ჩვენში ინგლისში, ისე როგორც აქ, პროფკავშირები რეაქციონურ ხელმძღვანელების ხელშია. მაგრამ როდესაც ჩვენ ნახშირის ბატონებს ხელმეორედ ომს გამოუცხადებთ, არ დავივიწყებთ, რომ წინასწარ საჭიროა ჩვენი პროფკავშირებიდან ასეთი ხელმძღვანელების დაფერთხვა. ჩვენი მუშები ერთი აზრის არიან, ისინი ამბობენ: ჩვენ რომ საბჭოთა კავშირის დაგვარის პროფკავშირები გვქონდა, ვერ დაგვამარცხებდა ვერაფერი ძალაო.

ინგლისის პროფკავშირები დღეს რეფორმიზმის სულით არის გაჟღენთილი და ჩვენი მემარცხენე ფრთის წარმომადგენლების ამოცანაა, რეფორმიზმს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ. დაბოლოს ჰარისონი მადლობას უცხადებს ყველა იმ მუშებს ვინც ინგლისის მუშებს გაჭირვების დროს დახმარება აღმოუჩინა და ამბობს, რომ ინგლისის პროლეტარიატს არ დაავიწყდება საბჭოთა კავშირის მუშების ძმური დახმარებაო (ხანგრძლივი ტაში).

კონგრესის ყველა რეზოლიუციები და დადგენილებანი ერთხმად იქმნა მიღებული. აღსანიშნავია, რომ მთელი კონგრესის განმავლობაში არც ერთი თითი წინააღმდეგ არ აწეულა.

სოც.-დემოკრატია? როგორ შეხვდა ის კონგრესის მოწვევის ინიციატივას, როგორი იყო მისი დამოკიდებულება კონგრესის დელეგატების არჩევნებისადმი, როგორ შეხვდა ის თვით კონგრესს?

სოც.-დემოკრატია თავიდანვე შიშით უყურებდა მშრომელთა კონგრესს. ის მთავრობის წარმომადგენლებთან ლაპარაკს არის ჩვეული და მისი პარტიული პოლიტიკა ბურჟუაზიულ მინისტრების კაბინეტში იბედება. გერმანიის სოციალ-დემოკრატიას საჯარო კრების, მიტინგების, კონგრესების წინაშე ინსტინქტიური შიში აქვს.

პირველ ხანებში სოც.-დემოკრატიის პარტიის ცეკამ კონგრესის პაროლს კბილებ შეკრული საბოტაჟი გამოუცხადა. მაგრამ, როდესაც დელეგატების არჩევნები ტარდებოდა ქარხნებში, წარმოების უბნებში და სოფლებში, მან პროფკავშირების საშუალებით ტერორს მიჰმართა და ადმინისტრაციასთან დასმენის საშუალებით შეეცადა აქტიურ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნას.

მიუხედავად ასეთი პროვოკაციისა გერმანიის ყველა ნაწილებიდან 2 ათასი დელეგატი გამოცხადდა. მშრომელთა კონგრესს ორი დღით წინ უსწრებდა სრულიად გერმანიის უმუშევართა კონგრესი, რომლის მიმართ სოც-დემოკრატიული პოლიტიკა იგივე იყო, რაც მშრომელთა კონგრესის მიმართ.

„ფორვერტსი" შემდეგს სწერდა 2 დეკემბრის დილის გამოცემაში: „გუშინ დაიწყო ჩვეულებრივი კომუნისტური კომედია, ეგრედ წოდებული „უმუშევართა კონგრესი"-თ. ამ უმუშევართა კონგრესზე 83 სოც.-დემოკრატიული მუშა დელეგატები იღებდა მონაწილეობას. მათ დაუყოვნებლივ შემდეგი წერილი ახალეს „ფორვერტსის" რედაქციას თავში:

„ფორვერტსის" მთავარ რედაქტორს.

„უმუშევართა კონგრესზე წარმოდგენილი 83 სოც.-დემოკრატიული დელეგატები უსასტიკეს პროტესტს აცხადებენ „ფორვერტსის" 2 დეკემბრის დილის გამოცემაში მოთავსებულ შენიშვნაზე. ჩვენ კონგრესს უყურებთ არა როგორც თეატრს, არამედ როგორც გერმანიის უმუშევართა ერთიან ნების გამოხატულებას როგორც ბრძოლას იმ მოთხოვნილების განსახორციელებლად, რომელსაც ჩვენი პარტიული ამხანაგები და წარმომადგენლები პარლამენტში არ იცავენ.

სოც.-დემოკრატი დელეგატები კონგრესსა ერთი აზრის არიან იმის შესახებ, რომ ჩვენი ინტერესების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა მასსების შეერთებული ბრძოლით კაპიტალისტებისა და რეიხსტაგის წინააღმდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ჩვენი განცხადება მოთავსებულ იქმნეს „ფორვერტსში" და მოვითხოვთ შესაფერ პასუხს თქვენგან.

სრულიად გერმანიის უმუშევართა კონგრესის სოც.-დემოკრატიული დელეგაცია".

მშრომელთა კონგრესის შესახებ კი „ფორვერტსი" 4 დეკემბერს სწერდა „მთლიანი ფრონტის კომედიაო. დაუგდოთ ყური რას ლაპარაკობენ სოც.-დემოკრატიული მუშა დელეგატები ამის გამო მშრომელთა კონგრესზე. მე შევეცადე სიტყვა სიტყვით ჩამეწერა ყველაფერი, რაც მათ სთქვეს.

სოც-დემოკრატი დელეგატი დელტმატიდან: „ჩვენი ბრძოლის მთავარი პირობაა ერთიანი ფრონტის შექმნა. ჩვენი მოთხოვნილებაა 42 საათი სამუშაო კვირა. ჩვენი პროფკავშირები დამნაშავე არიან იმაში, რომ მექარხნეებს ხელი შეუწყვეს და 8 საათის სამუშაო დღე მოგვტაცეს. თუ ჩვენ შორის ისეთი მუშები არიან, რომელნიც ამბობენ ფული მჭირია და ამიტომ ვთანხმდები ზედმეტ მუშაობაზეო, ჩვენ უნდა უთხრათ მათ, საჭიროა ბრძოლა ჩვენთან ერთად, რაა შენ ნორმალურ 8 საათის მუშაობით იმდენი მიიღო, რამდენიც შენთვის საკმარისია (მართალია!.)

ჩვენი პროფკავშირების ბიუროკრატები ტერორით შეხვდენ დღევანდელ ჩვენ კონგრესს და კონგრესის დელეგატებს გამორიცხვით ემუქრებიან, ხოლო ზოგი უკვე გამორიცხეს. მე არ ვიცი რა უწოდო ამ საქციელს, რომელსაც ჩვენი პარტიის და პროფკავშირების ხელმძღვანელები სჩადიან! ასეთ ხალხს ჩვენ ჩავსძახებთ ყურში, რომ დღევანდელი კონგრესი გერმანიის მშრომელთა შეთანხმებული ნების გამოხატულებაა. ჩვენი ხელმძღვანელობის უსირცხვილობა იქამდე მიდის, რომ ამხანაგები, რომელნიც მშრომელთა ინტერესების დასაცავად გამოცხადდენ აქ, გამორიცხულ უნდა იქმნენ. (აღშფოთებული „ფუის" ძახილი მთელ დარბაზში). დღეს ჩვენ ვინანიებთ 1918 წლის ცოდვებს, როდესაც ჩვენ ხელმძღვანელებს კისერში არ ჩავსჭიდეთ ხელი, სამაგიეროდ ეხლა ჩვენ ეს ამოცანა შეგნებული გვაქვს". (ხანგრძლივი ტაში).

მეორე სოც.-დემოკრატი მუშა (საქსონიის დელეგატი) შემდეგს ლაპარაკობს:

„ჩემი კონგრესზე გამოგზავნა შედეგია იმ, მთლიანი ფრონტისა, რომელიც ჩვენ საქსონიაში უკვე გავატარეთ. დელეგაციის ხარჯები აგრეთვე ჩვენ ავიღეთ თავზე (ბრავოს ძახილი).

ყველა აქ მყოფ სოც.-დემოკრატების სახელით მე ვაცხადებ კონგრესის წინაშე, რომ ჩვენ უკვე კარგი ხანია არ ვეთანხმებით პოლიტიკას ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის და პროფკავშირების ხელმძღვანელობისას, რომელნიც იმის მაგიერ, თავიანთი მოვალეობა შეასრულონ, მუშების გაძლიერებულ ექსპლოატაციაზე სანქციას იძლევიან (ხმები: მართალია!).

მესამე სოც.-დემოკრატი დელეგატი, ძველი სოც.-დემოკრატიის ვეტერანი 68 წლის მუშა, რომელიც 45 წელია პარტიაში ირიცხება შემდეგი ენით ლაპარაკობს:

„ჩვენ მოვედით კონგრესზე, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის მქონეა გერმანიის მშრომელი ხალხისათვის. დღეს საქმე იმას ეხება, რომ მშრომელთ მასსები გადარჩენ სრულ განადგურებას, ამიტომ ჩვენ სოც.-დემოკრატი მუშები თქვენთან ერთად ვართ. ჩვენ თვალწინ გვაქვს უდიდესი მაგალითი, რომ მუშათა კლასს შეუძლია საქმის მოგება, შეუძლია სოციალიზმის შენება. შეხედეთ საბჭოთა კავშირს! ლენინმა რევოლიუციონური მოძღვრება საქმედ აქცია და ცხოვრებაში გაატარა. მთელი შეგნებული პროლეტარიატი ლენინის გზას უნდა დაადგეს და მხოლოდ მაშინ მოეღება ჩვენ გაჭირვებას ბოლო".

კონგრესი 5 დეკემბერს დამთავრდა, მაგრამ „ფორვერტსმა" მოასწრო და 5 დეკემბერს დილის გამოცემაში პირველ გვერდზე დიდი ასოებით გადაბეჭდა ინგლისის ლიბერალური გაზეთის „მანჩესტერ გარდიანის" პროვოკატორული წერილი, რომ საბჭოთა მთავრობას სამხედრო კავშირი და ხელშეკრულება აქვს გერმანულ ფაშიზმთან დადებული და შტეტინში განუწყვეტლივ მოდიან საბჭოთა სამხედრო ამუნიციით დატვირთული გემებით (!!!).

„ფორვერტსის" უტიფრობამ იქამდე მიაღწია, რომ საკომენტარიო წერილში სწერდა: „შესაძლებელია რომ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები, რომელიც საქსონიაში, ტიურინგიაში და ჰამბურგში კომუნისტურ მუშებს დაუშინეს საბჭოთა ტყვიებით იყო გატენილი". ასეთი სისაძაგლით სურდა „ფორვერტსს" გაექარწყლებია კონგრესის დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

როგორ უპასუხა კონგრესმა ასეთ ბინძურ პროვოკაციას?

ამხ. პიკმა მოახსენა კონგრესს მიზნები სოც.-დემოკრატების და ინგლისის ლიბერალების პროვოკაციისა და იკითხა—სთქვას „ფორვერტსმა" ვინ დაუშინა ზარბაზნები კომუნისტ მუშებსო?

დარბაზმა ერთხმად იგრიალა: ნოსკემ, შეიდემანმა, ებერტმა.

„ფორვერტსის" ამავე ნომერში მოთავსებული იყო ირონიული წერილი მშრომელთა კონგრესის შესახებ.

საპასუხოდ ჩვენ აქ სიტყვას ვაძლევთ თვით სოც.-დემოკრატ დელეგატებს და სიტყვა-სიტყვით გადმოვსცემთ, იმას რაც მათ კონგრესზე განაცხადეს. შრამ (ს.-დ. დელტმატი დელეგატი):

„მე ვაცხადებ კონგრესზე დამსწრე 137 სოც.-დემოკრატ დელეგატების სახელით, რომ ჩვენ სრულიად ვეთანხმებით სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადებას უმუშევართა კონგრესზე და წერილის შინაარსს, რომელიც „ფორვერტსის" რედაქციისადმი იქმნა გაგზავნილი. ჩვენ პირობას ვდებთ, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ ფართე სოც. დემოკრატიულ მასსებში გავკიცხოთ უმსგავსო საქციელი ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოსი. „ფორვერტსი" ჩვენ განცხადებას „კომუნისტურ ოინებს" უწოდებს. ჩვენ ვაცხადებთ: თუ ჩვენი პარტიული ხელმძღვანელები ხელს იღებენ მუშათა კლასის ბრძოლაზე, ჩვენ ასეთი ხელმძღვანელები არ გვინდა, ჩვენ ვგმობთ მათ. „ფორვერტსი" ამბობს დასტურს, რომ ჩვენი წერილი რედაქციას არ მიუღია და ამიტომ არ იყო ის გამოქვეყნებული. ჩვენ მეორეხელ დაზღვეული ბარათით გაუგზავნით რედაქციას იმავე წერილს. (სიცილი). დღევანდელ ნომერში „ფორვერტსი" ჩვენ კონგრესს აგრეთვე „კომუნისტურ თეატრს" უწოდებს. დღევანდელი გესლიანი წერილი „ფორვერტსისა" ნათელი მაჩვენებელია იმ შიშის, რომელიც ჩვენ ხელმძღვანელებს აქვთ მთლიანი ფრონტის წინაშე, რომლის გამოხატულება ეს კონგრესია; „ფორვერტსის" პროვოკაციას ჩვენ სოც.-დემოკრატიული დელეგატები შემდეგნაირათ უპასუხებთ; ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს კონგრესი აუცილებელი იყო, რადგან ჩვენი ბელადები მშრომელი მასსების წინმძრაობას აფერხებენ და უკან ეწევიან. „ფორვერტსი" ხელს უშლის მშრომელთა საერთო ფრონტის განხორციელებას, ის ლანძღავს ჩვენ კონგრესს, ის ტორმაზია მუშათა მოძრაობაში, ამიტომ მას უკეთესია „რიუკვერტსი" ჰქვიოდეს*). ჩვენ საქმეს „ფორვერტსი" თეატრს უწოდებს, მათი საქციელი კი ჩვენთვის მაიმუნების თეატრია (affentheater)". (ბრავოს ძახილი და ხანგრძლივი ტაში).

ვედლერ (სოც.-დემ. დელეგატი ბრემენიდან):

„ზნედაცემულობა და უსირცხვილობა, რომლითაც ჩვენმა ხელმძღვანელებმა ჩვენს წინააღმდეგ გაილაშქრეს, მათვე ჩინებულად ახასიათებს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ მათი მონამორჩილი არ ვართ და შემდეგში მით უმეტეს არ ვიქნებით. სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელებს არ აქვთ არავითარი უფლება „თეატრზე" ილაპარაკონ და ეს ჩვენ ს.-დემოკრატებმა კარგათ ვიცით, გუშინ ჩვენი კონგრესის ფრაქციამ თავის სხდომაზე დაადგინა უსასტიკესი პროტესტით გაილაშქროს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების წინააღმდეგ. „ფორვერტსმა" ჩვენ კონგრესს „თეატრი" უწოდა. ჩვენ სოც.-დემოკრატი დელეგატები დავბრუნდებით ქარხნებში, წარმოების რაიონებში, ადგილობრივ სხდომებზე და ჩვენ ამხანაგებს ვეტყვით, თუ ვინ არიან ჩვენი ხელმძღვანელები და რის მომქმედია „ფორვერტსი". ჩვენ შევეცდებით, რომ დღევანდელი კონგრესი, რომელსაც „ფორვერტსი" თეატრს უწოდებს, ჩვენი რეფორმისტული ხელმძღვანელებისათვის დრამათ ვაქციოთ".

ჩვენ შეგვეძლო კიდევ ბევრი ასეთი მაგალითების მოყვანა, მაგრამ თქმულიც უკვე საკმარისად ახასიათებს გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის მდგომარეობას.

კონგრესის დახურვის შემდეგ დელეგატებს იმავე დარბაზში უჩვენეს რუსული კინოფილმა „ჯავშნიანი გემი პოტიომკინი". „პოტიომკინის" ისტორია გერმანიაში განსაკუთრებულ მასალას წარმოადგენს, რომლის აღწერას რამოდენიმე წერილი ესაჭიროება. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ფილმმა ისტორია შექმნა გერმანიაში: საზოგადოებაში, ცენზურაში და სასამართლოში. კონგრესი აღტაცებაში მოიყვანა მან და ფილმის ბოლო სიტყვებს,—სადაც „პოტიომკინი" სიგნალს იძლევა „შემოგვიერთდით"-ო—დარბაზმა მხურვალე ვაშათი და Heil Moskau-ს ძახილით შეეგება*).

კონგრესი დაიხურა 5 დეკემბერს და ბერლინის მუშები იმავე დღე და ნორდენში—„შილერპარკში"—გრანდიოზული დემონსტრაციებით შეხვდა კონგრესის დელეგატებს. როგორც გაზეთები სწერენ, დემონსტრაციაზე გამოცხადდა 80.000 კაცი. ძნელი წარმოსადგენია ამ დემონსტრაციის გრანდიოზულობა. ვეებერთელა მოედანი გაივსო მუშებით, წითელი დროშებით და პლაკატებით.

„დღეს ტრესტების კაპიტალის გასამართლებაა!"—უძახის ერთი მუშა თავის მეგობარს.

კიტა მეძრელიძე.

ბერლინი, 6 დეკემბერი.

---

*), Vorwärts—ნიშნავს: წინ, წინმძრაობას, Rückwärts—უკან, უკანმძრაობას.

*). Heil Moskau!—ნიშნავს „გაუმარჯოს მოსკოვს". კომუნისტურ მუშებში ეს სიტყვები მისალმების ნიშნავს.

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის წინააღმდეგ

ოპოზიციის ახალი გამოსვლის წინააღმდეგ

(ჭიათურა)

20 დეკემბერს შესდგა პარტუჯრედების საერთო საქალაქო კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლის შესახებ გამოვიდა ამხ. ჭელიძე. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჭიათურის უჯრედთა გაერთიანებული კრება, მოისმინა რა მან ამხ. ჭელიძის ინფორმაციული მოხსენება ოპოზიციონური ბლოკის ბელადების ზინოვიევის, კამენევის და ტროცკის ახალი გამოსვლების შესახებ კომინტერნის პლენუმზე,—გამოსთქვამს თავის აღშფოთებას აღნიშნული ფაქტის გამო.

ოპოზიციონური ბელადების ახალი გამოსვლა აშკარად არის მიმართული საკავშირო კომპარტიის მე-14-ტე ყრილობისა და მე-15-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ჩაშლისაკენ და წარმოადგენს ცდას იმისა, რომ ფრაქციული ბრძოლა გადატანილ იქნეს კომინტერნში.

კრება პროტესტს აცხადებს ოპოზიციონურ ბელადების საქციელის წინააღმდეგ.

კომინტერნის პლენუმის სხდომაზე მათ დაარღვიეს პარტიისადმი მიცემული სიტყვა ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტის შესახებ.

კრება ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანად სთვლის გადამჭრელი ბრძოლის წარმოებას ოპოზიციის იდეოლოგიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს კომინტერნის რიგების მთლიანობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის და მის ლენინურ ცეკას!"

მისალმება ამხ. ს. ორჯონიკიძეს

ახალციხე, 22 დეკემბერი. ახალციხის მე-6 პარტკონფერენციამ ამხ. სერგო ორჯონიკიძეს სახელზე გაგზავნა შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა:

„ახალციხის მე-6 პარტკონფერენცია კომუნისტურ სალამს უგზავნის ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, როგორც მშვიდობიანობის საძირკველის ჩამყრელს ამიერკავკასიის ერთა შორის და მტკიცე მებრძოლს ლენინური პარტიის რიგების მთლიანობის განმტკიცებისათვის. კონფერენცია ბოლშევიკური სიმტკიცით აღგითქვამს დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას ყოველგვარ მერყეობისა და გადახრის წინააღმდეგ ჩვენი პარტიის რიგებში, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდენ ისინი. კონფერენცია, მიდის რა სოციალისტური მშენებლობის განხორციელების გზით, განაგრძობს დაუღალავ მუშაობას სოციალისტური მეურნეობის განსამტკიცებლად აღმოსავლეთის საზღვარზე.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა ახალციხის ჰიდროსადგურს უწოდოს ამხ. ორჯონიკიძის სახელი". (ადს).

პარტაღწერის სამზადისი

მოსკოვი, 22 დეკემბერი. ცეკამ წინადადება მისცა ყველა საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს და ნაციონალური კომპარტიების ცენტრ. კომიტეტებს პარტაღწერის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში განთავისუფლონ კომუნისტები — აღწერის ორგანიზატორები და რეგისტრატორები ყოველგვარ დატვირთვიდან პარტმუშაობით, და მათი მუშაობა პარტაღწერაზე ჩასთვალონ პარტდატვირთვათ. (ადს).

პარტკონფერენციები

ლენინის რაიონის მე-7 კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც შესდგა გუშინ საღამოს, სწარმოებდა კამათი ამხ. კ. სულავას მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. აბრამიშვილმა, ვ. ვაშაკიძემ, როსტიაშვილმა, თოფჩიშვილმა და ე. კალანდაძემ.

ამხ. სულავას საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ტრ. რკ. გზის საუბნო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი.

ამის შემდეგ კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული ხასიათის წინადადებანი. თბილისის კომიტეტისა, რაიონული კომიტეტისა და რკინისგზის საუბნო კომიტეტის მუშაობისთვის.

რაიონული კომიტეტის ახალ შემადგენლობაში კონფერენციამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: მ. კახიანი, ლ. ქავთარაძე, მოკშინი, გ. ქავთარაძე, ეოლოდეევი, ი. კაჩეტკოვი, კლევცოვი, ა. კეკელია, ვოლსკი, ლელაშვილი, აზრუმელაშვილი, ს. თალაქვაძე, კ. სულავა, გ. ხილაძე, მ. ბარხეგოვა, ე. ფირცხალავა, ი. გელაშვილი ფ. გეგეშიძე, შ. თალაქვაძე, ს. ნადირაშვილი, ზ. კალანდია, ვ. კოჩლავაშვილი, შეპელევი, ვლ. აკიმოვი, ი. ბეჟანოვი, ე. კალანდაძე, დ. უიგალცოვი, ა. ჩოჩიევი, ნ. ელიაშვილი, სტ. ზაქრაძე, როზენგაუსი, მ. თაქთაქიშვილი, ხ. მაკაროვი, ვ. ვაშაკიძე, ი. მარდალეიშვილი, მ. ქართველიშვილი, ვ. კოჩლავაშვილი, ი. მირიმანოვი, სტ. გარიშვილი, ფ. ანდრიანოვი, ო. იტრიევი, ი. ინაური, გ. რთველაძე, გრ. თოფჩიშვილი, მამისარაშვილი, მ. ზაცარინი, ი. ნონიკაშვილი, დ. ვარლამოვი, გ. ჯიოევი, ა. ფურცხვანიძე, ი. კერინოვი, ა. ხუბუა, გ. ათაბეგოვი, ა. ზელაია, დ. ფირცხელაური, ა. ჩიგოგიძე და ასლანოვი; კანდიდატებათ: ა. გურგენიძე, ა. ფარემეზოვი, კ. ივანოვი, ი. ჟორჟოლაძე, ვ. უმალოტინი, ვ. შარაბიძე, ტ. მამაცევი, ს. ფილიპოვი, ი. რაქვიაშვილი, გ. მიკერაშვილი, ი. ხუშუროვი, ა. ფირცხალავა და გ. ჩხეიძე.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: გ. ბეჟანოვი, ი. მუჯიაშვილი, თიკაიძე, ი. გონიაშვილი და მ. თომაევი.

კონფერენციამ რაიონულ კომიტეტის მდივნათ ერთხმად აირჩია ამხ. ლ. ქავთარაძე.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია დელეგატები საქალაქო პარტკონფერენციაზე დასასწრებლათ.

ქალაქის რაიონის მე-9 პარტკონფერენცია

მეორე სხდომა

22 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. სვანიძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ლევანდოვსკიმ, ხიმჩიანმა, დავითაშვილმა, გუდილიოვმა, ასრიბეკოვმა, გავრილოვმა, სამოილოვმა, ჭიპაშვილმა, აზარნოვიმ და კუდრიავცევმა. კამათში მონაწილე ამხანაგები შეეხენ საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობას, საბინაო აღმშენებლობას, ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიას, პარტგანათლების და სოც. აღზრდის საკითხებს და სხ. ორატორები განსაკუთრებით აღნიშნავდენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას და მოჰყავდათ მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენს დაწესებულებებში ბიუროკრატიზმი საკმაოდ გავრცელებულია.

ამხ. სვანიძემ თავის საბოლოო სიტყვაში ამომწურავი პასუხი გასცა ყველა ორატორებს, რის შემდეგ კონფერენციამ თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ქალაქის რაიონის მე-9-ე პარტიული კონფერენცია, მოისმინა რა მან ამხ. სვანიძის მოხსენება, თბილისის კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სთვლის სწორად და აღნიშნავს, რომ ეს ხაზი სავსებით შეეფერება მე-14-ე ყრილობის და ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებებს. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობას კონფერენცია სთვლის სრულიად დამაკმაყოფილებლად. კონფერენცია ანდობს პრეზიდიუმს მიიღოს მხედველობაში კამათში გამოსულ ორატორების მოსაზრებები და თბილისის კომიტეტის მუშაობის გარშემო შეიმუშაოს დაწვრილებითი რეზოლიუცია".

მესამე სხდომა

კონფერენციის მე-8-ე სხდომა შესდგა გუშინ საღამოს. რაიკომის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. დარახველიძე.

თავის მოხსენების დასაწყისში ორატორმა გააშუქა რაიონის უმთავრეს წარმოებების: პოლიგრაფტრესტის, ალმასკომის და რედაქციების სტამბების, ქალაქის ალმასკომის აგურის ქარხნების, ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის, ქარხანა თემქასი და გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის მდგომარეობა. ორატორი დაწვრილებით შეჩერდა თვითეულ ამ ქარხნის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ქარხნების ნაყოფიერება საანგარიშო ხნის განმავლობაში გაიზარდა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქარხანა თემქა, რომელსაც არ ჰქონდა საკმაო დაკვეთები, და აგრეთვე გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა, რომლის რეორგანიზაცია ამჟამად სწარმოებს. გადავიდა რა რაიონის პოლიტიკურ მდგომარეობის დახასიათებაზე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის წარმოებებში დაახლოებით 2 ათასამდე მუშაა, რომლებიც სავსებით გარკვეულად არიან განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. გაიზარდა აგრეთვე პარტიის გავლენა მოსამსახურეთა და ინტელიგენციის ფართო მასებზე. რაიონში დაახლოებით 6 ათასამდე მოსამსახურეა. შემდეგ ორატორი შეეხო სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ საკითხებს და უჯრედების მონაწილეობას მათ მუშაობაში. ის შეჩერდა აგრეთვე ოპოზიციის მუშაობაზე რაიონში და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერები გამოდიოდენ უჯრედების კრებებზე, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიათ მათ და გაკიცხა. რაიონის ორგანიზაციამ დაამტკიცა, რომ ის სავსებით მთლიანად უჭერს მხარს ჩვენი პარტიის ცეკას, ერთ მუჭა ოპოზიციონერთა ჯგუფის წინააღმდეგ.

მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრისათვის რაიონში ირიცხებოდა 3.290 წევრი და კანდიდატი. მათ შორის მუშა—1.482, გლეხი 378 და მოსამსახურე 1430. ორატორმა დაწვრილებით გააშუქა რაიონის ორგანიზაციის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რაიონში უმთავრესად მოსამსახურეებია ორგანიზაციაში მუშების პროცენტი მაინც მნიშვნელოვანია. მართალია, ეს პროცენტი გასულ წელთან შედარებით ნაწილობრივ (8,2 პროც.) შემცირდა, მაგრამ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ თბილისის კომიტეტის დირექტივის თანახმად მოხდა უჯრედების სოციალურ მდგომარეობის შემოწმება და ზოგიერთი ის ამხანაგები, რომლებიც მუშებათ ითვლებოდენ, გადარიცხულ იქნენ სხვა ჯგუფებში. რაიკომი ყურადღებას აქცევდა აგრეთვე კანდიდატების პროცენტის შემცირებას ორგანიზაციაში. ასე მაგალითად თუ მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის კანდიდატების რიცხვი უდრიდა 46 პროცენტს 1-ლ ნოემბრისათვის ეს პროცენტი უკვე 38-მდე დავიდა. დანარჩენი გადაყვანილ იქნენ პარტიის წევრებათ. მომხსენებელმა გააშუქა შემდეგ პარტდატვირთვის, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენების და უჯრედების მასსიური მუშაობის საკითხები და შეჩერდა კომუჯრედების მონაწილეობაზე მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიაში. შეჩერდა რა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, საბინაო ამხანაგობათა და კოოპერატივების ფრაქციების მუშაობაზე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიკომი საკმაო ხელმძღვანელობას უწევდა ამ ფრაქციების მუშაობას. რაიკომმა მოახდინა მაგალითად ფაბქარხკომების ფრაქციების გამოკვლევა და მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები მისცა მათ. დასასრულ ორატორი შეჩერდა უჯრედების ბიუროების გადარჩევაზე და დაახასიათა რაიკომის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა.

ამხ. დარახველიძის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა თანამოხსენებები ქალთა შორის მუშაობის და ა. ლ. კომკავშირის ქალაქის რაიკომის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ლეჩხუმის მაზრის პარტკონფერენციისათვის

ს. კ. პ. (ბ) ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტს საანგარიშო წლის 1-ლ და მეორე კვარტალში მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა —ეს სიძნელე გამოიხატებოდა იმაში, რომ ორგანიზაციაში არ იყო დაცული სიმტკიცე და მთლიანობა, ინტრიგა და კინკლაობა უკიდურესობამდე იყო გავრცელებული და ყველაფერი ამის გამო მაზრაში შეფერხებული იყო პარტიული აღმშენებლობითი და სხვა მუშაობა.

სამაზრო კომიტეტმა შესძლო დაავადმყოფებული ორგანიზაცია გამოეჯანსაღებია, პარტ-ორგანიზაციული მუშაობა დაეყენებია უფრო საღ პირობებში და აღმშენებლობისათვის და მაზრის მეურნეობისათვის გაეწია ჯეროვანი ხელმძღვანელობა.

ჩატარებულ მუშაობის შედეგია ფართე აღმშენებლობა, რომელიც სწარმოებს მაზრის ცენტრში—ცაგერში და თემებში და ამასთანავე ერთად 12 ვერსის მანძილზე კლდის გაჭრა გზის გასაყვანად—ლეჩხუმის მაზრის ცენტრი—ცაგერის საქართველოს ცენტრთან და სხვა დანარჩენ კუთხეებთან დასაკავშირებლად.

საგულისხმოა პარტ-ორგანიზაციის მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებებიც—ავიღოთ პარტიის ზრდის საკითხი.

ორგანიზაციაში შექმნილი მდგომარეობის გამო ზრდა თითქმის სრულებით შეჩერებული იყო. 1-ლ იანვრიდან 1-ლ ივნისამდე ორგანიზაციის წევრთა რიცხვი უდრიდა 410—420. ხოლო ორგანიზაციის მდგომარეობის გამოჯანსაღებისთანავე იწყება ზრდა ღარიბი გლეხობის და აქტიური კომკავშირელების ხარჯზე. დღეს ორგანიზაციაში 550 ამხანაგი ირიცხება.

მიუხედავათ მრავალი შესრულებულის მუშაობისა და დაუღალავი შრომისა სამაზრო კომიტეტს კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, რასაც მომავალ პარტკონფერენციამ უნდა მიაქციოს ყურადღება. საჭიროა:

1. შინა-პარტიული მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება.
2. ღარიბ გლეხთა ორგანიზაციული დარაზმვა და ამუშავება (ეს მუშაობა სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო დღემდე არ სწარმოებდა).
3. პარტაღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და უმაღლეს პარტორგანოთა დადგენილებების შესწავლა უჯრედებში, რაც დღემდე მიმდინარეობდა ძალიან სუსტად.
4. ბარიტის წარმოებაზე ხელმძღვანელობის გაღრმავება და მასში ჩაბმულ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება.
5. სააღმშენებლო მუშაობაში უფრო მტკიცე გეგმის დასახვა და სხვა.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ კონფერეცია სათანადოთ გადასჭრის ყველა ამ საკითხებს, რადგან მაზრის პარტორგანიზაცია მტკიცეა.

ზ. ბ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი კურსები

ფოთი, 22 დეკემბერი. წყლის მეურნეობის მუშაკთა კავშირმა გახსნა 2 წლიანი კურსები მოტორისტების და მემანქანეების მოსამზადებლად. კურსებზე ჩაეწერა 27 კაცი. (ადს).

სომხეთი

გურიის მონადირეთა კრება

ოზურგეთი, 22 დეკემბ. შესდგა გურიის მონადირეთა კავშირის საერთო წლიური კრება. გამგეობის ანგარიში 1926 წლის მუშაობის შესახებ. ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. კავშირის წევრებმა წლის განმავლობაში მოჰკლეს მგელი — 27, დათვი — 9, ტურები — 37.

კრებამ დადგენილება გამოიტანა, რომ 3 წლის განმავლობაში გურიის ტყეებში აკრძალული იქნეს ნადირობა გარეულ თხებზე. გამგეობას დაევალა შუამდგომლობა აღძრას ცენტრის წინაშე, რათა გურიაში თევზის ჭერის საქმე მონადირეთა კავშირს გადაეცეს.

ერთიანი სამომხმარებლო საზ-ბის მუშაობა

საჩხერე, 22 დეკემბერი. შესდგა საჩხერის რაიონის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულების საერთო წლიური კრება. კოოპერატივის წმინდა მოგება წლის განმავლობაში უდრის 34.000 მანეთს. საერთოდ ბრუნვა გაიზარდა 11 პროც. მიღებული მოგება კრებამ შემდეგნაირათ გაანაწილა: ძირითად კაპიტალში—80 პროც., კულტფონდში 7 პროც., რაიონის ღარიბ გლეხობის ჩასაბმელათ კოოპერაციაში—10 პროც. და სარეზერვო ფონდში—3 პროც. ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების შემდეგ, გამგეობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ცეკავშირის გამგეობას. (ადს).

აჭარისტანი

ბათუმი, 22 დეკემბ. ხულოს მაზრაში (ზემო აჭარა) არის 6 ძველი ტბა, რომელთაც დაახლოებით 2 კვადრატიული ვერსის სივრცე უკავია. ზაფხულის პერიოდში აქედან ვრცელდება მალარია, რომლითაც განსაკუთრებით ზარალდება ახლოს მდებარე სოფელი ბოძაური. აქაური მცხოვრებნი თითქმის ყველანი ავათ არიან მალარიით აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა ამ ტბების ამოშრობის პროექტი. (ადს).

ქრონიკა

მედსანშრომის მუშაკთა კონფერენცია

ჭიათურა, 22 დეკემბერი. შესდგა მედსანშრომის კავშირის კონფერენცია. კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია მარჩიელობის წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღების შესახებ. ამას გარდა, გამოთქმული იქნა სურვილი, მაზრაში ტუბერკულოზის დისპანსერის გახსნის შესახებ. კონფერენცია დიდის გაცხოველებით ჩატარდა. მედსანშრომის მუშაკთა სრულიათ საქართველოს ყრილობაზე დასასწრებლათ არჩეულ იქნა 4 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით. (ადს).

საკრედიტო ამხანაგობათა კონფერენცია

თელავი, 22 დეკემბერი. შესდგა სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა დელეგატების კონფერენცია, რომელზეც დაესწრო 100-ზე მეტი გლეხი. კონფერენციამ აღნიშნა დიდი მიღწევები კრედიტის გაცემის საქმეში. საანგარიშო წლის განმავლობაში მოკლე ვადიან სესხის სახით გაცემული ყოფილა 76.095 მანეთი, გრძელვადიანი—7.507 მანეთი. ამხანაგობის წმინდა მოგება უდრის 6.645 მანეთს. გამგეობის მუშაობა მთლიანად დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი. არჩეულ იქნა ახალი გამგეობა. (ადს).

წერილები

მეტი ყურადღება გლეხკორთა წრეებს

ჩვენში უკვე საკმაოთ ღრმად მოიკიდა ფეხი გლეხ კორესპონდენტების მოძრაობამ. არის ისეთი კულტურული დაბა - სოფლები, სადაც ზოგჯერ რამდენიმე ათეული გლეხი კორესპონდენტიც კი მოიძებნება. დღემდი მათ გაერთიანებას და ხელმძღვანელობის საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

ამავე დროს ადგილებზე მრავალი საჭირ-ბოროტო საკითხები იჭრება, რომელთა მოგვარება თვითეულ გლეხ კორესპონდენტს ცალკე არ შეუძლია. ასეთია მაგალითად ფსევდონიმის საკითხი, კორესპონდენტის დევნა, სარედაქციო წერილების შედგენის ტეხნიკა, გაზეთის გავრცელების საქმე, დაბეჭდილ კორესპონდენციებში აღნიშნულ მითითებათა ცხოვრებაში გატარების ყურის დევნება, გლეხკორთა ახალი კადრის შეკრება და მრავალი სხვა.

ზოგან უკვე შესდგა გლეხ კორესპონდენტების წრეები. მაგრამ რადგან მათ არ იციან რა უნდა აკეთონ, ან როგორ უნდა აკეთონ, ამიტომ ბევრი მათგანი ძლივს ღაფავს სულს, დანარჩენები კი, მოკვდნენ, „ბუნებრივი სიკვდილით". რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა გლეხკორთა წრეების მუშაობას მეტი ყურადღებით მოეკიდოს ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

პირველყოვლისა უნდა ვიზრუნოთ საორგანიზაციო საკითხებზე. გლეხკორთა წრეების მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად ბინის, ლიტერატურის და შესაფერი ხელმძღვანელის გამონახვას. ამ საქმეებს უშუალოთ ადგილობრივი კედლის გაზეთების რედკოლეგიები უნდა აწყობდენ, მაგრამ რედკოლეგიების ამ მხრივ მიმართული ყოველივე ცდა უნაყოფო იქნება, თუ პარტიულ ორგანიზაციამ მას დახმარება არ გაუწია.

პარტია და ხელისუფლება უაღრესად დაინტერესებულია მუშა და გლეხ კორესპონდენტების მოძრაობის ზრდაში. სასურველია, რომ ეს ზრდა ორგანიზაციულ ფორმებში მიმდინარეობდეს. გლეხკორთა წრეები კორესპონდენტულ მოძრაობის ორგანიზაციულ ზრდის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია. ეს უნდა ახსოვდეს ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ადგილებზე, როცა ისინი მიუდგებიან გლეხკორთა ხელმძღვანელობის საკითხს.

ნაბი.

კონკის გზა უნდა გვექნეს

(შემოქმედი, გურია)

შემოქმედიდან ოზურგეთამდე კონკის გზის გაყვანის საქმე დღემდე მიჩუმებულია. მიუხედავათ იმისა, რომ ამ საკითხს რამდენიმე წლის ისტორია აქვს.

შემოქმედელი გლეხები ნებაყოფლობით დასთანხმდენ შავი მუშაობა, შპალი და ქვიშის მოტანა თავის ხარჯზე აეღოთ.

ასეთი ოქმი წარდგენილია 1 ცალი ცაკში—1 ც. ოზურგეთის სამაზრო კომისიასთან, რომელიც ამ საგანზე არის გამოყოფილი სამაზრო აღმასკომის მიერ.

ამ კომისიის სხდომა მოხდა 11 დეკემბერს, რომელსაც წევრები დაესწრო სრული შემადგენლობით, იყვნენ წარმომადგენლები შემოქმედიდანაც.

კომისია შეეკითხა თემის წარმომადგენლებს: „მიიღებს თუ არა გლეხები თავის თავზე არსებულ ვზატკეცილის, რომელზედაც კონკის ლიანდაგი დაიგოს, გაფართოებას 27-დან 30 არშინამდე?"

ეს მწვავე საკითხია თემისათვის, რადგანაც შემოქმედი მჭიდროთ დასახლებულია. მიწა ისედაც ნაკლები აქვთ და 30 არშინის სიგანეზე გზით ზარალი მოსდის გლეხობას. ყოველ შემთხვევაში, კომისია ეცდება ისეთი მოთხოვნაც დააკმაყოფილოს, რადგანაც ამდენი ხნის ნაშრომს ხალხი არ უარჰყოფს. ხოლო თუ აქაც გაუცრუვდა იმედი გლეხებს, მათ გული ვაუტყდებათ სხვა საზოგადო სამუშაოზეც.

ეხლა დაიბადა მეორე აზრი: თემის კომისიამ გაიგო—ლანჩხუთის ხე-ტყის ქარხანა იხურება. თემის საბჭო გაეცნო ამ საკითხს და სურვილი გამოსთქვა, რომ ეს ქარხანა გადატანილ იქნეს შემოქმედის ტყეებში. ამ მიზნით თემსაბჭო აღძრავს შუამდგომლობას ოზურგეთის სამაზრო ხელისუფლების წინაშე.

ტყეები აქ საკმაოა, რომ ქარხანამ იმუშაოს და მუშა ხელიც ბევრია.

საბჭომ ერთხმად დაადგინა, რაც კონკისთვის რელსები და სხვა მასალები აქვე დაუთმოს ხერხის ქარხანას, ეს საკითხი გადატანილ იქნა გლეხებში, რომლებმაც ერთხმად გაიზიარეს საბჭოს დადგენილება.

ძველი მუშა.

მუშათა ცხოვრება

ადგილკომების გამოკვლევა რკინის გზებზე

საგზაო კომიტეტმა უკვე დაიწყო ადგილკომების გამოკვლევა რკინისგზებზე. გამოკვლევებს უაღრესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ადგილკომების გამოკვლევა დაგვანახვებს, როგორც მიღწევებს, ისე ნაკლულევანებებს, რომელსაც აუცილებლად გამოსწორება სჭირდება. ჩვენ დიდ მიღწევებს მოგვცემს მათი გამოკვლევის შედეგები, როგორც ფინანსიური, ისე კულტურულ ორგანიზაციულ დარგში.

გამოკვლევების დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს: კულტურულ - განმანათლებელ მუშაობას, მუშა - მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას როგორც ნივთიერად, შრომის ჯანმრთელობის დაცვის მხრივ და სხვა. ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება გამოკვლევების სწორად ჩასატარებლად. ცხადია, რომ ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ფინანსიურ მხარეს, არის, თუ არა რაიმე ბოროტმოქმედება რევიზიის დროს და მის საწინააღმდეგოთ საჭიროა ზომების მიღებაც.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო კომიტეტის მიერ ადგილკომების გამოკვლევა დიდ პრაქტიკულ ღონისძიებათ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა საგზაო კომიტეტმა ყველა ადგილკომები საფუძვლიანად გამოიკვლიოს და გამოსწორებინოს თვით პროფესიონალურ ორგანოებს გამოკვლევის დროს აღმოჩენილი დეფექტები.

მუშკორი რად—მი.

ვინ ასწავლის ჭკუას ასეთ მორიგეს

საქმე შემდეგშია: 10 დეკემბერს სალოღლიდან გამოსული საგზო მატარებელი შემოდიოდა სად. სოგუტბულაღში, რომელსაც მოჰკონდა 75.000 ფუთი, სიგრძით 61 ქვაბი. თანახმად საერთო კანონისა მემანქანე ვ. მენთეშევი შემოდიოდა ისრებში 5—8 ვერსის სისწრაფით, რასაც დამამოწმებს მთელი შემადგენლობის გუნდი. მორიგემ კვერთხი გადასცა მემანქანეს და მისცა წასვლის ნიშანი, მემანქანემ შეუდგა გზატეხილზე გარბენას. თითქმის ნიშან სვეტს დაუახლოვდა მატარებელი, რომ მემანქანემ შენიშნა მწვანე და წითელი ნიშნები, რომლითაც სადგურის მორიგე გრუზეტკოვი თხოულობდა უკან დახევას, მემანქანე კანონიერათ შეიქცა და არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიძრა, ვინაიდან ადვილი მოსალოდნელი იყო შემადგენლობის გაწყვეტა და უბედურობა: ასე დაახლოვებით 30 წუთამდის იდგა შემადგენლობა. ნუ თუ ასეთი მოვლენები დასაშვებია. მორიგეს ხომ შეეძლო თავიდან კვერთხი არ გადაეცა მემანქანისათვის და გაეჩერებინა. ეს აიხსნება, იმით, რომ დაუკვირვლობით კვერთხი გადასცა და ბოლოს მოაგონდა, რომ სახალხო მატარებელი მოსდევდა უკანიდან. აი ზოგიერთი დაუდევარი და უპასუხისმგებლო მორიგეები როგორ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

მუშკორი შავნოფლელი.

მუშათა სახლში

(კოოპერატიული ამხ. სახლი 98, კლარა ცეტკინის ქ., № 60)

ხსენებულ სახლში სცხოვრობს 35 ოჯახი. პროფესიით ყველა მბეჭდავთა კავშირის წევრებია გარდა სამისა.

12 დეკემბერს შესდგა საზოგადო კრება გამგეობის ახალი არჩევნებისათვის. კრებაზე გამოირკვა, რომ ყოფილ გამგეობას დიდი შრომა დასჭირვებია იმ აწეწილ - დაწეწილი საქმეების მოსაგვარებლად, რომელიც მათთვის გადმოუცია მის წინა მოადგილეებს. წყალსადენის, ელსადგურის და საბინაო დავთარის ანგარიშების გარშემო.

წყალსადენის ანგარიშები არ შეჰქონდათ სრულად, რის გამო ხშირი ყოფილა ჯარიმები, და სხვა. მობინადრეებმა იციან მხოლოდ, რომ წარსულ წლებში საშუალოდ წყალსადენის ანგარიშში იხდიდენ 60—70 კაპ. ხოლო უკანასკნელი წელი არ აღემატება 25—30 კაპ. თვეში თვითეულ სულზე. ელსადგურის საკითხიც ამავე წარმოადგენდა. 25 სანთლის მაგიერ 50-იანის ხმარება ჩუმათ, რისთვისაც არა დამნაშავე ოჯახებსაც აჯარიმებდენ. არა უკეთესად იყო საბინაო დავთარი. ამ დღის ყველა ეს ნაკლი გამოსწორებული აღმოჩნდა.

არჩეულია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია. იმედია საერთო ქონებას მიაქცევენ მეტ ყურადღებას და არ განმეორდება ისეთები, როგორც აქამდის.

ძველი მუშა.

წარმოდგენა

16 დეკემბერს კოლოფების ქარხნის მუშების და შეფად აყვანილ მე-2-ე საარტ. ლეგიონის წითელარმიელების საერთო მონაწილეობით ამავე ლეგიონის კლუბში წარმოდგენილ იქნა: „რევოლიუციისათვის" ერთ მოქ.; „ბანდიტები საქართველოში" და კომედია 1 მოქ.—„პრი კაშკიკი შკაფში".

წარმოდგენას მუშები საკმაოდ დაესწრენ, მათ მოჰყვანილი ჰყავდათ თან მშობლები და ნათესავები.

აქ წარმოდგენები იმართება უფასოდ. სცენა შედარებით გვარიანად არის მოწყობილი, დარბაზიც შესაფერია. შეერთებული ძალით წარმოდგენები დავსდგით სამჯერ. ახლო მომავალში კიდევ ვაპირებთ.

იმ საღამოს წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, რაზედაც მუშები და წითელარმიელნი კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ.

მუშების და წითელარმიელების დამოკიდებულება მეგობრულია. ამ რამოდენიმე დღის წინედ იმავე კლუბში ლეგიონმა მოაწყო ლიტერატურული გასამართლება „გოგია უიშვილის", ნინოშვილის მოთხრობიდან.

გასამართლებაში ქარხნის მუშებმაც მიიღეს მონაწილეობა.

მუშკორი ვანო.

მუშათა წერილებიდან

— **ნაკლი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი.** რკ. გზის აბანოში წყალი ხან ცივია და ხან ცხელი, რის გამო მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია კაცის დაწვა ან გაცივება. საჭიროა აბანოში, როგორც ცივი, ისე ცხელი წყალი ერთდროულად.

ხულმინ.

— **შეშას იპარავენ.** სად. ნავთლუღში ყოველთვის სდგას რამოდენიმე შეშით დატვირთული რონოდა.

ღამ - ღამობით ამ რონოდებიდან შეშას ავარები იპარავენ და ზოგჯერ კიდეც ანახევრებენ.

რკ.-გზის ადმინისტრაციავ ნუ აპარვინებ შეშას.

„ძიმ-ლი"

— **წამლის გაცემას აგვიანებენ.** რკ.-გზის საავათმყოფოში წამლების გაცემას ზოგჯერ აგვიანებენ, ვულგარილობას იჩენენ.

საავათმყოფოს ადმინისტრაციავ საჭიროა მუშებს დროზე დაუმზადდეს წამლები.

მუშკორი ხოჯაევი.

მუშათა ქრონიკა

რკინისგზებზე

— **კლუბის წევრებად.** პლეხანოვის სახელობის კლუბში ითვლება 2.250 წევრი.

— **თბილისის საყუდის** მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა: განტვირთულ იქნენ საყუდის მუშები ზედმეტი მუშაობიდან.

— **გამგეობის გადარჩევა.** რკინისგზების კლუბების გამგეობის გადარჩევა დაიწყება 1-ლ იანვრიდან.

— **მუშაობის გაძლიერება.** თბილისის საყუდის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაავალა ადგილკომს გააძლიეროს საწარმოო კომისიის მუშაობა.

— **წარმოდგენა.** 18 დეკემბერს სადგ. გურჯაანის კლუბში წარმოდგენილ იქნა ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ პიესა „და-ძმა".

ტრამვაელებში

— **კლუბის შეკეთება.** ამჟამად სწარმოებს ტრამვაის კლუბის საფუძვლიანი შეკეთება.

— ამავე კლუბის გამგეობის ცნობით ტრამვაის კლუბში მასიური მუშაობა იწარმოებს ა.-წ. 1 იანვრიდან.

თუთუნის ქარხანა № 1-ლი

— **მუშაობის გეგმა.** როზა ლიუქსემბურგის სახ. თუთუნის ქარხნის კულტკომისიამ დაავალა წითელი კუთხის ჯამგეს შეიმუშაოს მომავალი მუშაობის გეგმა.

— **მორიგეობა.** ამავე ქარხნის ქარხკომმა შემოიღო წითელ კუთხეში მუშაობის მორიგეობა.

— **მასიური მუშაობა.** ამავე ქარხნის კულტკომისიამ დაადგინა ოთხშაბათობით აწარმოოს კულტურული - მასიური მუშაობა.

კედლის გაზეთი

— **კედლის გაზეთი.** აღმასკომის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „აღმასკომის თვალი"-ს სახელწოდებით.

თათბირები

მაზრაღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებების უფროსთა თათბირი

22 დეკემბრის დილის სხდომა

კამათი ადგილებიდან. მოხსენებების გარშემო

გუშინ დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებათა და ამხ. ქურულორიას მოხსენების გარშემო.

ამხ. ნატროშვილი — (სიღნაღიდან) აღნიშნავს, რომ საჭიროა სისწორით იქნას გატარებული ცხოვრებაში სათემო საბჭოების და სათემო აღმასკომების დებულების შინაარსი.

ამხ. შავლაძე — ამბობს, რომ რაჭის მაზრაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საორგანიზაციო განყოფილება. აღნიშნავს რა ამ განყოფილების უდიდეს მნიშვნელობას საბჭოთა ქვედა აპარატის გაჯანსაღების საქმეში, საჭიროთ სცნობს საორგანიზაციო განყოფილების დაარსებას რაჭის სამაზრო აღმასკომთან.

ამხ. ცუცქირიძე — (შორაპნიდან) აღნიშნავს, რომ აპარატის გასაჯანსაღებლად საჭიროა სათანადო მუშაკთა შერჩევა. ორატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამაზრო აღმასკომებს ცოცხალი კავშირი უნდა ჰქონდეს სათემო საბჭოებთან და აღმასკომებთან.

ამხ. მეგრელიძე — ეხება რა გლეხკორების მუშაობას ამბობს, რომ ფრიად ნაყოფიერი შედეგი მოაქვს, როცა თემის ავკარგიანობის შესახებ წერილები თავსდება პრესაში. საჭიროა მუშაობის გაცხოველება იმ მიმართულებით, რომ სათემო საბჭოების და სათემო აღმასკომების დებულება შევასწავლოთ სათემო საბჭოს აქტივს.

ამხ. ფანიაშვილი — ამბობს, რომ სათემო საბჭოების და სამაზრო აღმასკომების გეგმიანი მუშაობის მიხედვით, საჭიროა დაცული იქნას კვარტალური გეგმა.

— სათემო საბჭოები სისტემატიურად უნდა ადგენდენ მუშაობის სამთვიურ გეგმას.

ამხ. კალმახელიძე — (გორიდან) ლაპარაკობს რომ ინსტრუქტორთა შტატს სიმცირის გამო საჭიროა პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრება სათემო აღმასკომებთან.

ამხ. ბრეგაძე — (აჭარისტანიდან) საჭიროდ სცნობს თემაღმასკომის თავმჯდომარეთათვის გადასამზადებელი კურსების მოწყობას სისტემატიურად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა: **წითელიძემ** (თბილისის მაზრა), **დარახველიძემ** და სხვ.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია საორგანიზაციო კოლეგიის დაარსების საკითხმა. ზოგიერთი ორატორები საჭიროთ სთვლიდენ კოლეგიის მაგიერ საორგანიზაციო თათბირის დაარსებას.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **შ. მათიკაშვილმა.**

ამხ. მათიკაშვილის სიტყვა

ორატორმა თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა საორგანიზაციო განყოფილებების დაარსების მნიშვნელობა და გააცნო თათბირს, თუ რა გარემოებით იყო გამოწვეული მისი დაარსება.

ამხ. მათიკაშვილი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც პარტიამ და ხელისუფლებამ წამოისროლა საბჭოების გამოცოცხლებისა და საბჭოების საშუალებით გლეხობის აქტივის გაზრდის ლოზუნგი, საჭირო შეიქნა არსებულ შინაგანი მმართველობის განყოფილებების გადახალისება. ამის შემდეგ სამაზრო აღმასკომებთან მოეწყო საორგანიზაციო განყოფილებები.

დღევანდელი თათბირი, — განაგრძობს ამხ. მათიკაშვილი, დიდ ნაყოფს გამოიღებს, რადგან ამ თათბირზე შეფასებული იქნა მუშაობის სხვადასხვა მეთოდები. ჩვენ ადგილებზე გამოვიყენებთ იმ მეთოდებს, რომლებსაც ყველაზე მეტი პრაქტიკული სარგებლიანობა მოაქვს.

შემდეგ ორატორი ვრცელ ანალიზს უკეთებს ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებათა გარშემო წამოჭრილ მტკივნეულ საკითხებს და იძლევა დაწვრილებითი ახსნა - განმარტებას ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხების შესახებ.

ამხ. მათიკაშვილმა დაწვრილებით გააცნო თათბირს ქალაქის საბჭოების სტრუქტურა.

შემდეგ ამხ. **მათიკაშვილი** ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს სექციების მუშაობის ყოველმხრივ შესწავლას.

ორატორი აღნიშნავს, რომ სათემო და სამაზრო აღმასკომები მეტად მშრალ ანგარიშებს არდგენენ შინაგან საქმეთა კომისარიატში თავიანთი მუშაობის შესახებ. საჭიროა ანგარიშებში ისინი არკვევდენ, თუ რა ზომებია მიღებული ამა, თუ იმ მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად.

გუშინ დილის სხდომაზე დასრულდა კამათი და დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. **ქურულორიას** საბოლოო სიტყვა.

გუშინ, საღამოს თათბირის სხდომა არ შემდგარა; მხოლოდ მუშაობა დაიწყო თათბირის მიერ გამოყოფილმა კომისიებმა.

დღეს თათბირი გაიხსნება დილის 11 საათზე და მოსმენილ იქნება ამხ. **შ. მათიკაშვილის** მოხსენება 1926 წ. საბჭოთა არჩევნების შედეგების და მომავალი არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

შინამრეწველ ხელოსანთა კონფერენცია

მესამე სხდომა

22 დეკემბერს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. დ. ნასარიძის და სარევიზიო კომისიის მოხსენებების გარშემო.

გამოსული ორატორები ეხებოდენ გამგეობის მუშაობას და აღნიშნავდენ მის მიღწევებს მუშაობის ყველა დარგებში.

ორატორებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ მომავალმა გამგეობამ უნდა მიიღოს ზომები, რათა შინა - მრეწველ - ხელოსანთა კავშირი გათანასწორებული იქნეს პროფესიონალურ კავშირებთან.

ორატორებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ საჭიროა მუშაობის გაძლიერება ქალთა და პიონერთა შორის.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. დ. ნასარიძე, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა ყველა ორატორებს.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ლითონის სინდიკატის თბილისის კანტორის გამოკვლევა

ა. წ. თებერვალში ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ლითონის სინდიკატის თბილისის კანტორის სარევიზიო გამოკვლევა, რომელმაც გამოარკვია მთელი რიგი ნაკლულევანებათა, როგორც საორგანიზაციო, ისე საოპერაციო მოღვაწეობის მხრივ. ამის გამო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა კანტორას გაეტარებია ცხოვრებაში სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებანი—შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად და აპარატის გასაჯანსაღებლად, გასამარტივებლად და გასაიაფებლად.

ამას წინად ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ხსენებული დაწესებულების საკონტროლო გამოკვლევა, რამაც გამოარკვია, რომ ლითონის სინდიკატის შტატების შესანახი ხარჯები არა თუ არ შემცირებულა, არამედ პირიქით გადიდებულა თებერვალთან შედარებით 366 მანეთით. არავითარ გაუმჯობესებას არ აქვს ადგილი აგრეთვე სავაჭრო საქმიანობის დარგში, მიუხედავათ მ. და გ. ინსპექციის დირექტივებისა და გამგეობის ინსტრუქციებისა. მაღაზიებში დაწვრილებითი პრეისკურანტების უქონლობისა და შესაფერი კვალიფიკაციის ნოქრების არყოლის გამო, ფაქტიურად გასაყიდ ფასების დარგში მდგომარეობა უფრო გაუარესებულია.

საკონტროლო გამოკვლევამ დაადასტურა მნიშვნელოვანი მიღწევები კერძო ვაჭრებისათვის საქონლის სესხად გაცემის შემთხვევების შემცირების დარგში. თებერვლის რევიზიამდე საქონლის სესხად გაცემის დიდი პროცენტი (43,9) დაყვანილ იქნა 18,1 პროცენტამდე. საერთოდ გაცემულ საქონლიდან შედარებით. საკონტროლო გამოკვლევას არ დაუდასტურებია აგრეთვე კერძო პირთათვის საქონლის უფრო იაფად მიყიდვის შემთხვევები, ვიდრე კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებისადმი, რასაც ადგილი ჰქონდა უწინ.

გამოკვლევამ აღმოაჩინა აგრეთვე, რომ საქონლის ფაქტიური რაოდენობა განსხვავდებოდა წიგნებში ნაჩვენებ რიცხვიდან. და ამის მიზეზის გამოსარკვევად, მიუხედავათ მ. გ. ინსპექციის წინადადებისა, არ ყოფილა მიღებული შესაფერი ზომები.

სავაჭრო და კანტორის ხარჯები წარსული წლის უკანასკნელ 9 თვესთან შედარებით, მიმდინარე წლის პირველი 9 თვის განმავლობაში გაზრდილა 12.704 მანეთით. ხარჯების უმთავრესი ნაწილი მოდის მუშა-მოსამსახურეთა შტატის შენახვაზე.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა დაუყოვნებლივ გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი: წინადადება მიეცეს ლითონის სინდიკატის კანტორას, რომ ერთი თვის განმავლობაში გამოარკვიოს მაღაზიისა და საწყობის თანამშრომელთა კვალიფიკაცია და დაუყოვნებლივ მოხსნას სამსახურიდან ისინი, ვინც შეუფერებელი აღმოჩნდება მინდობილი საქმისათვის. დაჩქარებით იქნეს დაწყებული პრეისკურანტის შედგენა. დაუყოვნებლივ შეუდგენ მაღაზიისა და საწყობში საქონლის დაკლების მიზეზების გამორკვევას და თუ დადასტურდება, რომ ვინმემ მიითვისა საქონელი—დამნაშავენი დაუყოვნებლივ გადაეცეს სასამართლოს; შეუდგენ გასავლის მაქსიმალურად შემცირებას უმთავრესად შტატების შენახვის ხარჯზე და სხვ.

დასასრულ კოლეგია აღნიშნავს, რომ კანტორის მუშაობა საბაზრო ფასების შესწავლისა და მოთხოვნილების მხრივ, არაფრით გაუმჯობესებულა.

სას.-სამ. გადასახადი

15 დეკემბრისათვის აკრეფილია 842,397 მანეთი

წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელს რესპუბლიკაში (ავტონომიურ ოლქებთან ერთად) გაწერილია 1.884.085 მანეთის რაოდენობით.

1927 წლის პირველ იანვრისათვის მთელს რესპუბლიკაში აკრეფილი უნდა იქნეს გადასახადის 85 პროც., 15 დეკემბრისათვის კი აკრეფილია 842.397 მანეთი, ე. ი. გაწერილი გადასახადის 44,7 პროც.

შეგროვილი გადასახადი ცალკე მაზრებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად:

ახალქალაქის მაზრაში აკრეფილია 58.835 მანეთი (მაზრაზე გაწერილ გადასახადის 46 პროც.), **ახალციხე** 37.598 (63,6 პროც.), **ბორჩალოში** 84.155 მანეთი (35,8 პროც.), **გორი** —15 დეკემბრისათვის ცნობები არ არის მიღებული, პირველი დეკემბრისათვის კი აკრეფილია 66.394 მანეთი—(42,8 პროც.), **დუშეთი** — 20.000 მანეთი (40,1 პროც.), **სიღნაღი**—161.496 მანეთი—(50,5 პროც.), **თელავი** — 15 დეკემბრისათვის ცნობები არ არის მოსული, პირველი დეკემბრისათვის კი აკრეფილია — 77.865 მანეთი — (43,1 პროც.), **თბილისი** — 191.295 მანეთი (41,8 პროც.), **სამხრეთ - ოსეთი** — 10.447 მანეთი (74,5 პროც.), **ზუგდიდი** — 25.409 მანეთი (56 პროც.), **ქუთაისი** — 82.756 მანეთი (49,1 პროც.), **ლეჩხუმი** 8.827 მანეთი (49,5 პროც.), **ოზურგეთი** — 15 დეკემბრისათვის ცნობები არ არის მოსული, პირველ დეკემბრისათვის კი აკრეფილია — 570 მანეთი—2,2 პროც., **რაჭა**—10.260 მანეთი (68,4 პროც.), **სენაკი** — 15.456 მანეთი ((41,9 პროც.), **შორაპანი** — 8.787 მანეთი (81,5 პროც.), **აჭარისტანი** — 22.541 (86,4 პროც.), **აფხაზეთი** — 83.204 მანეთი (43.1 პროც.) და სახალხო მამულების ტრესტი—2.542 მანეთი (28,1 პროც.).

გადასახადის აკრეფა იგვიანებს. აკრეფის გასაძლიერებლად ადგილებზე უკვე დაიწყო იძულებითი ზომების მიღება იმ გადამხდელების წინააღმდეგ, რომლებსაც დროზე არ შემოაქვთ გადასახადი.

1927 წ. დიდი გადაფრენები

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ავიაქიმის პრეზიდიუმის და 1927 წ. დიდი გადაფრენების მომწყობ კომისიის წევრი ამხ. ზარზარი, რომელმაც პრესის თანამშრომლებს განუცხადა შემდეგი:

„დიდი გადაფრენების მოსაწყობად დაწყებული კამპანია წარმატებით მიმდინარეობს, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

გადაფრენების მომწყობ კომისიას უკვე გამომუშავებული აქვს ის საჰაერო ხაზები, რომლებიც უნდა გადაიფრინონ ჩვენმა თვითმფრინავებმა.

1927 წლის გადაფრენების რადიუსი დიდათ სჭარბობს 1925—26 წლის მოწყობილ გადაფრენების რადიუსს.

მომავალი შინაური გადაფრენების რადიუსში, სხვათა შორის, პირველად შედის ამიერ-კავკასიაც.

უცხოეთის და შინაურ გადაფრენების გარდა, 1927 წელს პირველად მოწყობილი იქნება ე. წ. ვარსკვლავისტურა გადაფრენები: ერთ და იმავე დროს ერთ და იმავე საფრენი რადიუსით თვითმფრინავები გაშვებულნი იქნებიან სხვადასხვა მიმართულებით".

პოლიტემიგრანტები

ბესარაბიიდან და ბულგარეთიდან

ამას წინეთ საქართველოს რემედასში გამოცხადდენ ბესარაბიიდან ჩამოსული ლტოლვილი პოლიტიკური ემიგრანტები რიცხვით 12 კაცი, რომლებიც გამოექცენ რუმინეთის ადმინისტრაციის რეპრესიებს და თავი შეაფარეს საბჭოთა რესპუბლიკებს. ემიგრანტები რემედასში თხოულობდენ რაიმე სამუშაოს მიცემას. რემედასის შუამდგომლობის თანახმად ისინი გაიგზავნენ სამუშაოთ ბალტის რაიონში (უკრაინა).

19 დეკემბერს რემედასში გამოცხადდა ორი ბულგარელი კომუნისტი — ამხ. ლოლეფა და ივანოვსკი. ეს ორი ამხანაგი რემედასმა სამუშაოთ გაგზავნა თბილისის თამბაქოს ქარხნებში.

21 დეკემბერს კი კვლავ ჩამოვიდა ორი ბულგარელი მასწავლებელი — **ბაბაძევი** და **ნანევრუსი**.

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში, მათ განაცხადეს, რომ ბულგარეთში ამჟამად ცხოვრება აუტანელი შეიქნა. დიდია უმუშევრობა და თუ ვინმე ამის გამო უკმაყოფილება განაცხადა, მათ სდევნიან. გზაში მათ მოუხდათ დიდი მანძილის ფეხით გავლა.

— საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოსვლისას ჩვენ ვიგრძენით თავისუფლების მთელი სიდიადე. აქაური ამხანაგები გვპირდებიან სამუშაოს გამონახვას, ხოლო ესეც, რომ არ იქნეს, აქ შიმშილი სჯობს ჩვენში ცხოვრებასო — განაცხადეს მათ.

დასაზღვევი ანარიცხები

თბილისის დამზღვევ სალაროს გამგეობამ გადასწყვიტა მიიღოს ზომები იმ წარმოება-დაწესებულებების წინააღმდეგ, რომელთაც არ შემოუტანიათ დასაზღვევი ანარიცხები. გამგეობამ განიხილა სოციალურ-დაზღვევის ტარიფები და ზოგიერთ დაწესებულებებს შეუცვალა დასაზღვევი ანარიცხების პროცენტების რაოდენობა. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე ღავალიანებასთან ბრძოლის მიზნით გააძლიეროს კონტროლი და მეთვალყურეობა დასაზღვევ ანარიცხების თავის დროზე შემოსატანად.

ჩათახის რაიონის

გამოკვლევა

ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილებამ დაიწყო ჩათახის რკინის მადნეულობის რაიონის გამოკვლევა. მადნეულობას ამ რაიონში უკავია 70 კვ. ვერსი. ამავე რაიონში მოიპოვება, გრაფიტის, პორფირიტის და სხ. ძვირფასი მადნეულობის საბუდოები.

გრანიტის ფენები უფრო ხშირია რაიონის სამხრეთ ნაწილში. დელილ-სუში, გიუნეში, პოლუტაშის და ყაშევის უბნებში შეკრებილი მადნეულობის ნიმუშები გავლენას ახდენენ მაგნიტის ისარზე, რაც ამტკიცებს, რომ მათში საკმაოთ ურევია მაგნიტური ნივთიერება.

დელილ-სუში აღმოჩენილ იქნა დიდპროცენტიანი შემადგენლობის რკინის მადნები.

მომავალი გაზაფხულიდან სამთო განყოფილება შეუდგება მადნეულობის რაიონში ყველა პუნქტიბის დეტალურ შესწავლას. გამოკვლევა იწარმოებს ჭაბურღილების გათხრის საშუალებით.

დღეს დამთავრდება

მოსახლეობის აღწერა ქალაქში

მოქალაქენო არ დარჩეთ აღწერის გარეშე

ვინც გამორჩება აღწერას უნდა მიმართოს თავისი ქალაქის ან რაიონის საალწერო ბიუროს

თბილისის მოსახლეობის საყურადღებოთ

თბ. და მისი მაზრის მცხოვრებთა საალწერო ბიურო [illegible] საალწერო პუნქტების მისამართებს, ტელეფონის ნომრებს და ხელმძღვანელთა გვარებს. [illegible] რომელნიც შემთხვევით არ მოხვდებიან აღწერაში, სასწრაფოთ გამოცხადდენ ან შეატყობინონ ამის შესახებ სათანადო რაიონის ხელმძღვანელს.

ქ. თბილისის საალწერო პუნქტების მისამართები და ხელმძღვანელთა გვარები

ქ. თბილისის და მისი მაზრის საალწერო ბიურო ალმასკომის შენობა, ტელ. № 5—04, საერთო ხელმძღვანელი შ. გომართელი

1-ლი	რაიონის	საალწერო	პუნქტი	საუნივერსიტეტის შენობა, ტელ. №21—77, ხელმძღვანელი თ. ჯაფარიძე.
მე-2	"	"	"	ჭავჭავაძის ქ., № 9, ტელ. № 12—46.
მე-3	"	"	"	ლერმონტოვის ქ., № 8, ტელ. № 21—31. ხელმძღვანელი ლ. კარბელაშვილი.
მე-4	"	"	"	სიონის ქ., № 32, ტელ. № 6—24. ხელმძღვანელი ამხ. ეკ. ასათიანი.
მე-5	"	"	"	აბანოს ქ., № 4, ტელ. № 24—00. ხელმძღვანელი ამხ. ფანცხავა.
მე-6	"	"	"	რეიტერის ქ., № 63, ტელ. № 18—08. ხელმძღვანელი ლ. მაჩაბელი.
მე-7	"	"	"	კახეთის ქ., № 23, ტელ. № 22—82. ხელმძღვანელი ამხ. ვიქტორ მხეიძე.
მე-8	"	"	"	19 თებერვლის ქ., № 2, ტელ. № 69. ხელმძღვანელი ამხ. ზერიშვილი.
მე-9	"	"	"	პლეხანოვის პრ., № 40, ტელ. № 20—04. ხელმძღვანელი ამხ. ნიკოლოზ კეჭეჟმაძე.
მე-10	"	"	"	პლეხანოვის პრ. სასტუმრო „ნოე", ტელ. № 12—00. ხელმძღვანელი ამხ. ნ. კინწურაშვილი
მე-11	"	"	"	ნაძალადევი, ლოტკინის ქ., № 36, ტელ. არა აქვს. ხელმძღვანელი ამხ. ი. რცხილაძე.
მე-12	"	"	"	კოოპერაციის ქ., № 17, ტელ. № 6—98. ხელმძღვანელი ამხ. ა. ლანდია.
სამარქაფო	"	"	"	სიონის ქ., № 32, დამუშავების განყოფილების შენობა, ტელ. № 6—24. ხელმძღვანელი მარქაფაში ე. იაკობაშვილი-ჩიგოგიძისა.

როგორ მიმდინარეობს აღწერა

საქართველოში

აღწერის უკანასკნელი დღე

დღეს სრულდება ქალაქ თბილისის მოსახლეობის აღწერა. აღწერის განყოფილებაში მიღებულია ცნობები, რომ ბევრი მოქალაქე რჩება აღწერის გარეშე. ამის გამო აღწერის განყოფილება სთხოვს აღწერაში გაუტარებელ მოქალაქეებს მიმართონ შესაფერ საალწერო უბნებს და შეავსონ ფორმულიარები.

ქალაქის ზოგიერთ უბნებში ძნელდება აღწერის დამთავრება საღამოსათვის, ამიტომ გადაწყვეტილია უბნებს შორის აღმწერლების იმგვარად გადაჯგუფება, რომ აღწერის დამთავრება მოესწროს ყველგან.

აღწერაზე გამორჩენილებათ ითვლებიან ის მოქალაქენი, რომელნიც აღწერის დღეს—17 დეკემბერს თბილისში არ ყოფილან, ხოლო აღწერა არ გაუვლიათ არც სხვაგან, ბავშვები, რომლებიც დაიბადენ 17 დეკემბრის ღამის 12 საათამდე და სხ.

17 დეკემბერს შემდეგ გარდაცვლილნი, რომელთა შესახებაც უკვე არის შედგენილი საალწერო ფორმულიარები, აღარ აღიწერებიან გარდაცვლილებათ, არამედ ისინი რჩებიან აღწერაზე, როგორც ცოცხალნი.

თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ უტყუარი და დაწვრილებითი ცნობები მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის 25 დეკემბრის ნომერში.

სიღნაღის მაზრაში

22 დეკემბერს სიღნაღიდან მიღებული ცნობებით, იქ ყველგან კარგი ამინდებია და აღწერაც ბრწყინვალეთ მიმდინარეობს. თვითეული აღმწერი დღეში ავსებს ას ფორმულიარს.

სიღნაღში

სრული წარმატებით მიმდინარეობს აღწერა, რომელსაც ამასთანავე კარგი ამინდი უწყობს ხელს. აღწერა დასრულდება დანიშნულ ვადაზე.

სომხეთში

აღწერის შედეგები თბილისში

თბილისის საალწერო განყოფილების ვარაუდით თბილისის მცხოვრებთა საორიენტაციო რიცხვი განსაზღვრული იყო 260.000-ით. ჯერჯერობით აღწერაში გატარდა 177.475 პიროვნება, 45.025 ოჯახი და 7.696 სახლკარი. უკანასკნელი ვარაუდით თბილისის მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლათ გადააჭარბებს 200 ათასს.

21 დეკემბერს შევსებულ იქნა 45.477 პიროვნების ბარათი, 12.782 საოჯახო ბარათი და 1.992 სახლკარის ბარათი.

სულ დღის განმავლობაში მუშაობდა 519 აღმწერელი.

რაჭაში

რაჭიდან იტყობინებიან: აღწერა ყველა თემებში ბრწყინვალედ მიმდინარეობს. აღუწერელი არ დარჩება არც ერთი მოქალაქე. საბჭოს წევრები თან დაჰყვებიან აღმწერელებს და დიდ დახმარებას უწევენ მათ.

სვანეთში

სვანეთიდან მიღებული დეპეშის თანახმად აღწერა ყველა სოფლებში კარგად მიმდინარეობს. თოვლში გზის გასაკვლევათ აღმწერლებს დაჰყვებიან გლეხები.

ოზურგეთის მაზრა

მაზრიდან მოდის ცნობები აღწერის წარმატებით მიმდინარეობის შესახებ. მზიანი ამინდებია. ბევრ რაიონებში აღმწერლები რეგისტრაციაზე ნორმაზე მეტის გატარებას ასწრებენ.

ზუგდიდის მაზრაში

აღწერის წინასწარი შედეგებიდან ირკვევა, რომ მაზრის სოფლებში გაცილებით მეტი მცხოვრებნი არიან, ვიდრე ის ნავარაუდევი იყო. კომლურთა რიცხვი შესამჩნევათ გაზრდილა და ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება აღმწერელთა შტატის გადიდება.

სომხეთში

აღწერა ლენინაკანში

ლენინაკანი, 22 დეკემბერი. 17 დეკემბერს აღწერა დაიწყო ყველა კაზარმებში და სადარაჯოზე. 18 დეკემბერს ღამით აღწერა მოხდა ქალაქში.

მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. მოსახლეობა აღმწერლებს საჭირო დახმარებას უწევს. რაიონებში მუშაობდა 16 ინსტრუქტორი, ქალაქში 25. (ადს).

ერევანში და ლენინაკანში აღწერა დასრულდა

ერივანი, 22 დეკემბერი. აღწერა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს. ლენინაკანში უკვე დასრულდა აღწერა, სოფლებში ის ვადაზე ადრევე დასრულდა. დელიჟანის მაზრაში აღწერა დასრულდა.

ერევნის ზოგიერთ საალრიცხვო უბნებში დასრულდა აღწერა და დამთვლელები სხვა უბნებში იქნებიან გადაყვანილი. (ადს).

კაზანცევის მუხრუჭების გაუმჯობესება

მოსკოვში გამგზავრების წინ ამხ. კაზანცევმა, რომელიც ორი თვეა მუშაობს ა.-კ. რკინისგზებზე, ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა:

„ჩემი მუშაობის გეგმა ა.-კ. რკინისგზებზე უკვე დამთავრებულია.

მუხრუჭებში ზოგიერთი ცვლილებების შეტანით მიღწეულია შემდეგი გაუმჯობესება: გამარტივებულია ზოგიერთი ხელსაწყოების კონსტრუქცია, რაც აადვილებს მათ ხმარებას, შექმნილია ამ ხელსაწყოების მუშაობისათვის უკეთესი პირობები, მიღწეულია მუხრუჭის მუშაობის დიდი მგრძნობიარობა, რაც აადვილებს მუხრუჭის მართვას და ამოკლებს სამუხრუჭო გზას ე. ი. აჩქარებს მატარებლის შეჩერებას.

ეს მიღწევები შემოწმებულ იქნა პრაქტიკულად გზის სხვადასხვა პროფილებზე სხვადასხვა სისწრაფის დროს.

სურამის უღელტეხილზე მომხდარმა მარცხმა აუცილებელი გახადა ზოგიერთი დამატებითი ცვლილებების შეტანა მუხრუჭის სისტემაში.

ეს დამატება მემანქანეს საშუალებას აძლევს ორთქლმავლიდან ჩამოუსვლელად კონტროლი გაუკეთოს მთელი შემადგენლობის მუხრუჭების ქსელს.

ამ დამატებითი ცვლილების შეტანის შემდეგ მუხრუჭი რამოდენიმეჯერ პრაქტიკულად იქნა შემოწმებული; აღმოჩნდა, რომ ახლად შეტანილი ცვლილებები სრულიად უხიფათოდ ხდის მატარებლის მოძრაობას.

სურამის უღელტეხილზე სამგზავრო მატარებელზე წარმოებული ცდების მიზანი იყო პირდაპირმომქმედი მუხრუჭის მუშაობის გამორკვევა მატარებლის აჩქარებული მოძრაობის დროს (50 კილომეტრი საათში). ცდებს დადებითი შედეგი მოჰყვა და ამჟამად მე ვამუშავებ კომბინაციაქმნილ მუხრუჭს, რომელიც შესაძლებელს გახდის პირდაპირ მომქმედ მუხრუჭის და ვესტინჰაუზის მუხრუჭის პარალელურ მუშაობას. ამ კომბინაციაქმნილ მუხრუჭების შემოღებაზე მოსახერხებელი გახდება უღელტეხილო უბანში მატარებლის მოძრაობის სისწრაფის 40 პროცენტით გადიდება.

ის ამოცანები, რომელიც მე მქონდა დაკისრებული ა.-კ. რკინისგზებზე, უკვე შესრულებულად მიმაჩნია და მივემგზავრები იმ რწმენით, რომ ჩემი მუშაობის ნაყოფი ა.-კ. რკინისგზის მიერ სავსებით გამოყენებული იქნება, და ავტომატიური მუხრუჭის ხმარება—ა.-კ. რკინისგზებზე სათანადო სიმაღლეზე იქნება დაყენებული.

„ზაკსელმაშის" აქციები

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაადასტურა, რომ ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს, საქ., აზერბ. და სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და აგრეთვე საქართველოს, აზერბეიჯანის და ნახიჩევანის რესპუბლიკების სასოფ.-სამეურნეო ბანკებს ა.-წ. 1-ლ ნოემბრამდე არ შეუსრულებიათ სახკომსაბჭოს დადგენილება „ზაკსელმაშის" აქციების შესასყიდი ფულის გადახდის შესა[illegible]ბ.

„ზაკსელმაშის" აქციის შე[illegible]დი ფული გადასახდელი აქვს ა.-კ. [illegible]ბეობის კომიტეტს—50.000 მანე[illegible]ქართველოს მიწ.-მოქმ. სახკომს—17 ათასი მანეთი, აზერბეიჯანის მიწ. სახკომს—15 ათასი მანეთი, სომხეთის მიწ. სახკომს—15.000 მანეთი; საქართველოს სას. სამ. ბანკს 20 ათასი მანეთი, აზერბეიჯანის სას. სამ. ბანკს—10.000 მანეთი, ნახიჩევანის სას. სამ. ბანკს 5.000 მანეთი.

რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს წინადადება მიეცათ განკარგულება გასცენ ზემოხსენებულ დაწესებულებებზე დავალიანების დაფარვის შესახებ 1927 წლის პირველი მაისისათვის.

სოცდაზღვევის კამპანია

სოციალურ დაზღვევის სამმართველომ უკვე დაამთავრა წინასწარი მუშაობა მთელ რესპუბლიკაში სოციალური დაზღვევის კამპანიის ჩასატარებლად. სამმართველომ ადგილებს დაუგზავნა ინსტრუქციები და მასალები კამპანიის ჩასატარებლად. სოცდაზღვევის კამპანია დაიწყება იანვრის პირველ რიცხვებიდან და გასტანს თებერვლის დამლევამდე.

აგროდახმარება

მებამბეობის მთავარი კომიტეტი ხელშეკრულებებს სდებს ცალკე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან, რომლის ძალით ეს უკანასკნელები კისრულობენ აგრო-დახმარების ჩატარებას მებამბეობის რაიონებში.

მებამბეობის მთავარი კომიტეტის მიერ ამ საქმისათვის ამიერ-კავკასიაში გადადებულია 150.000 მანეთი, აქედან 84.000 მანეთი გადადებულია მავნებლებთან წინააღმდეგ საბრძოლველად. ყველა ეს სამუშაოები ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტთან დადებულ ხელშეკრულების ძალით შესრულებული უნდა იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ.

აგრო-დახმარება უნდა გამოიხატოს, უმთავრესად, საჩვენებელი ნაკვეთების მოწყობაში. ამჟამად მთელს ამიერ-კავკასიაში მებამბეობის რაიონებში არის 287 საჩვენებელი ნაკვეთი, რომლებზედაც დათესილია ბამბა. ხელშეკრულებების დადების შემდეგ ნაკვეთების რიცხვი გაიზრდება 1.400-მდე: აზერბეიჯანში იქნება 920 საჩვენებელი ნაკვეთი, სომხეთში—200, საქართველო—120, ნახიჩევანის მხარეში—120 და აფხაზეთში—40 ნაკვეთი.

ამას გარდა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან დადებული იქნება ხელშეკრულებები განჯის სელექციური სადგურის პუნქტების მოსაწყობად სხვადასხვა რაიონებში; ამ პუნქტებზე მოხდა ბამბის და სხვა კულტურების თესლის გამოცდა. პუნქტების მოსაწყობად მთავარ საბამბო კომიტეტის მიერ გადადებულია 37.500 მანეთი.

სახელოსნოები

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლათ

ამიერ-კავკასიის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოების მოწყობას სოფლად.

უკვე შედგენილია უახლოეს წლებში სარემონტო ქსელის განვითარების პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, საქართველოში განზრახულია 12 მეორე ხარისხის სარაიონო სახელოსნოს გახსნა და ცენტრალური სარემონტო სახელოსნოს მოწყობის დამთავრება თბილისში.

აზერბეიჯანში განზრახულია 17 და სომხეთში—9 სარაიონო სახელოსნოს გახსნა. სარემონტო სახელოსნოებში მომუშავე მუშების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განზრახულია აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში ყოველწლიურად გაიხსნას კურსები სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესასწავლად.

სახელოსნოების გახსნასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმის გამორკვევას, თუ მანქანა-იარაღების რამდენი სათადარიგო ნაწილებია საჭირო ამიერ-კავკასიისათვის.

გამორკვეულია, რომ მთელი საბჭოთა კავშირისათვის 1926-27 წელში საჭირო იქნება 6.000.000 მანეთის სათადარიგო ნაწილები. აქედან ჯერჯერობით სისწორით არ არის გამორკვეული, თუ რამდენი მოდის ამიერ-კავკასიაზე. მიღებულია ზომები სათადარიგო ნაწილების საჭირო რაოდენობის გამოსარკვევად, რის შემდეგაც დაიწყება მათი გეგმაშეწონილი შემოტანა.

კლდეების საბურღავი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა იტალია-ბელგიის საზოგადოებისგან შეიძინოს კლდეების საბურღავი მანქანა. ეს საბურღავი მანქანა აღნიშნულ საზოგადოებას ჰქონდა შირაქში, სადაც გამოკვლევებს ახდენდენ ნავთის წყაროების აღმოსაჩენად.

თბილისის აღმასკომი ამ ბუროს გამოიყენებს სხვადასხვა სამუშაოებისათვის, უპირველესყოვლისა კი ნატახტარიდან წყაროს გამოყვანის საქმეზე. ამ ბურღის შესაძენად აღმასკომმა გადასდო 16.000 მანეთი.

დასასვენებელი სახლები

დეკემბრის პირველ რიცხვებში საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტ. საბჭოსთან მოწვეული იყო თათბირი ს. მ. უ. ს. და გზათ. სახ. კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირმა განიხილა საკითხი მომავალ წლის განმავლობაში საწოლების ხარჯების შესახებ. დასასვენებელ სახლებში აღნიშნული თათბირის დადგენილებით, დასასვენებელ სახლების საწოლების შესანახი ხარჯი ეკისრება სოციალურ დაზღვევის ორგანოებს. ამის გამო, სოცდაზღვევის ცენტრალურმა სამმართველომ აცნობა ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების დროს ტრანსპორტთან და სახელმწიფოლობასთან სამნეო ორგანოება თავისუფლდებიან ზემოხსენებულ ხარჯების ანაზღაურებისაგან. დასასვენებელ სახლების შესანახად გახსნილი იქნება სათანადო ფონდი.

ტყეების გადაცემა

1925 წლის ოქტომბრიდან ——— მთელ საქართველოში გამოყოფილია და გლეხობას გადაეცა 211.318 გექტარი (გექტარი —ორის 2.176 კვ. საჟენს) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

მაზრების მიხედვით გადაეცემულია: თბილისის მაზრაში — 6.151 გექტ., ქუთაისის — 16.502 გექ., თელავის მაზრაში — 24.486 გექ., დუშეთისაში — 8.056 გექ., რაჭის მაზრაში — 20.918, ზუგდიდის მაზრაში — 9.082 გ., შორაპ. მაზრაში — 31.190 გ., სენაკისაში — 8.773 გექტარი, სიონალისში — 6.007 გ., სოღოაოლის მაზრაში — 4.333 გექტ., ახალციხის — 10.888 გექტ., ლეჩხუმის — 4.059, გორის მაზრაში—35.812, ოზურგეთის—4.982 და ახალქალაქის მაზრაში—3.397 გექტარი.

ყველა ეს ტყეები, როგორც მოსავლელათ, ისე სასარგებლოთ გადაცემული აქვს თემებს და სოფლებს. ტყეების მოსავლელათ და დასაცავათ უთავებოლო მოქრისაგან ადგილობრივ მოსახლეობას არჩეული ყავს ტყის მცველები.

ჩვენი ვაჭრობა

ს. მ. უ. ს. ტრესტების უკრაინის განყოფილებამ, რომლის მთავარი კანტორა გახსნილია ქალ. ხარკოვში, ოქტომბრის განმავლობაში გასაღა საქართველოს ტრესტების ნაწარმოები შემდეგი რაოდენობით:

თამბაქოს ტრესტის ნაწარმოები—45.600 მან., საქ. სპირტის ნაწარმოები—4.494 მანეთის. საპონ-ზეთის ტრესტის პროდუქცია—19.990 მანეთის ღირებულების და ტყავ-ტრესტის ნაწარმოები—10.010 მანეთის.

იმპორტი

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ნოემბრის განმავლობაში სპარსეთიდან შემოზიდულა 1.246.500 მანეთის საქონელი.

შემოზიდულა უმთავრესად ხმელი ხილი და ბამბა. იგივე საქონელი აღნიშნულ თვის განმავლობაში შემოზიდა ოსმალეთიდანაც—186.600 მანეთის რაოდენობით.

ქრონიკა

კურსები

ზაჰესის ამუშავების შემდეგ მაღალი ძაბვის ქსელისათვის საჭირო იქნება მონტიორების ახალი შტატი, სათანადოთ მომზადებული. ახლა არსებულ ელსადგურებში მომუშავე მონტიორების გადამზადების და მონტიორების ახალი კადრების მომზადების მიზნით გახსნილი იქნება სპეციალური კურსები. კურსები აღმასკომის დადგენილებით გაიხსნება ამ დღეებში. კურსების მოსაწყობად გადადებულია 10 ათასი მანეთი.

უმაღლესი კომერციული კურსები

პირველ იანვრიდან ქ. თბილისში იხსნება უმაღლესი კომერციული კურსები. კურსების სორგანიზაციო და სასწავლო გეგმა უკვე დამტკიცებულია განათლების კომისარიატის მიერ. კურსების დირექტორად დანიშნულია პროფ. შალვა ნუცუბიძე, სასწავლო ნაწილის გამგედ — ალ. ერქომაიშვილი.

მადნეულობის ნიმუშები

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ მიიღო მადნეულობის მდიდარი კოლექცია, რომელიც შესდგება 500 სხვა და სხვა ნიმუშისაგან.

მადნეულობის აღნიშნული კოლექცია შეკრებილია ბორჩალოს მაზრაში, სადაც ჩატარებული იქნა მთელი რიგი გეოლოგიური გამოკვლევათა.

მადნეულობის ნიმუშები მეცნიერულათ იქნება შესწავლილი ქიმიურ - ტეხნიკური ლაბორატორიის მიერ.

რკინის მადნები

ჩათახის სპილენძის ქარხნის მუშაკებმა თავიანთი ინიციატივით მოახდინეს დამის-სუში მდებარე რკინის მადნის გამოკვლევა.

გამოკვლევის ჩასატარებლათ ქარხანამ დახარჯა 5.000 მანეთი. გამოკვლევების ხელმძღვანელად ვარფალამეევმა ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას გადასცა, რომ დამირ-სუში მოიპოება 9 მილიონი ფუთი რკინის მარაგი.

ბამბის ზეთის ექსპორტი

ამიერ - კავკასიის საბამბო კომიტეტმა ნოვოროსიისკში დატვირთა გემი 40.000 ფუთი ბამბის ზეთით, რომელიც გასაღებლათ იგზავნება საზღვარგარეთ.

ზეთი დამზადებულია ერევნის ზეთის სახდელ ქარხანაში.

სამრეწველო საქონლის შემოზიდვა

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გადაწყვეტილი აქვს ამიერ-კავკასიაში შემოზიდოს შემდეგი სამრეწველო საქონელი: შაქარი 515.000 ფუთი, 175 ვაგონი სილიკატები, 180.000 ფუთი ქაღალდი, 1.340.000 მანეთის ტყავეულობა და ფეხსაცმელები. აღნიშნული საქონლის გარდა შემოზიდული იქნება 810.000 ფუთი მარილი.

თბ. აღმასკომში

◆ **მეხანძრეთა ახალი პუნქტი.** მელიქიშვილის ქ. ეწყობა მეხანძრეთა რაზმის ახალი პუნქტი.

◆ **პროლეტარულ სტუდენტთა დასახმარებლად** აღმასკომთან ამხ. ლადო სუხიშვილის თავმჯდომარეობით დაარსდა განსაკუთრებული კომისია.

◆ **ტუბერკულიოზის დისპანსერისათვის** აღმასკომი მელიქიშვილის ქუჩაზე მომავალ წელში ააგებს სპეციალურ შენობას.

◆ **ვერის ხიდის შეკეთებას** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგება ამ დღეებში. ტრამვაი ივლის ერთ ხაზზე. შემდეგ ბოლოდან ხალხს მგზავრები გადაჰყავდებიან მეორე ვაგონში.

◆ **ექიმების აღრიცხვა.** ჯანმრთელობის განყოფილებამ დაამთავრა საექიმო პერსონალის აღრიცხვა თბილისში. სულ აღრიცხულია 1.380 ექიმი. მათ შორის 579 მამაკაცია.

◆ **სავაჭროების აღრიცხვა.** სტატისტიკური განყოფილება მოსახლეობის აღწერის დამთავრების შემდეგ შეუდგება თბილისში არსებულ სავაჭრო დაწესებულებების აღრიცხვას.

შრომის კომისარიატში

◆ **გამოკვლევა.** შრ. კომისარიატმა დაამთავრა დასავლეთ საქართველოში შრომის ინსპექტორების მუშაობის გამოკვლევა.

◆ **ტყიბულის მაღაროებში** შრომის პირობების გამოსაკვლევად შრომის დაცვის განყოფილება ამ დღეებში გაგზავნის სპეციალურ კომისიას.

◆ **თათბირი.** შრომის ინსპექტორების თათბირი შესდგება იანვრის პირველ რიცხვებში.

◆ **საზეჭდ მანქანებზე მომუშავეთა** მდგომარეობის გამოკვლევას კომისარიატი შეუდგება თებერვლიდან.

სხვადასხვა

◆ განათლების მუშაკთა სახლში ხუთშაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე პროფ. ჰურსინი წაიკითხავს მოხსენებას: „შობის დღესასწაულის წარმოშობის შესახებ". მოხსენების შემდეგ კინო.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სიმფონიური კონცერტი.** პარასკევს 24 დეკემბერს, ოპერის თეატრში გაიმართება სიმფონიური კონცერტი ეიხენვალდის ხელმძღვანელობით.

◆ **„საყვარელი თელას ქვეშ".** მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „საყვარელი თელას ქვეშ".

◆ **„მალშტრემ".** დღეს რუსთაველის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება „მალშტრემ".

◆ **„პიკის ქალი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი".

◆ **„დედოფლის შეთქმულება".** რუსული დრ. მიერ მუშათა თეატრში ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება „დედოფლის შეთქმულება".

— ავლაბრის მუსიკ. მუზეუმი (შემახის ქ. № 25) კვირას 26 დეკემბერს, დღის 12 საათზე შესდგება მოწაფეთა პირველი ღია კონცერტი.

შემთხვევები

თავდასხმა მეცხვარეებზე

გუშინ, საღამოს, თბილისის და ბორჩალოს საზღვრებს შუა სოფ. ახტალის მახლობლად, 12 შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა მწყემსებს და გაიტაცეს 100 სული ცხვარი, ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გაემგზავრა სისხლის სამართლის და ცხენოსანი მილიცია.

აფერისტის დაპატიმრება

დაპატიმრებულია ბიკტორ ხანაია, რომელსაც აფერისტობის 8 რეგისტრაცია აქვს.

◆ **სიკვდილით დამუქრებისათვის.** სისხლის სამართლის მილიციაში მოქ. ასია არშაკის ასული ყარალაშვილისაგან (მცხოვ. ებრაელების ჩიხი № 5) მიღებულია განცხადება, რომ მას ბინაზე მიუვარდენ მისი ყოფილი ქმრის ამხანაგები და დაემუქრენ სიკვდილით. ამის გამო მილიციამ დაპატიმრა სოლომონ დემურხანაშვილი და ალექსანდრე სოხაძე.

◆ **ჯიბგირობა.** 21 დეკ. ბაზარში გიორგი სანანაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს ფული. ჯიბგირი ვინმე მინასოვი დაპატიმრებულია.

◆ **გვამის აღმოჩენა.** რიყის ქ. 21 დეკემბერს აღმოჩენილი იქნა მამიკონ გარეგინის ძე ეფიაჯიანის გვამი.

◆ **ბოქლომის გატეხის** საშუალებით 21 დეკემბერს სერგეევის ქ. № 12 გაქურდეს ემილია კუზიკოვის ბინა.

◆ **მკვლელობა.** 18 დეკემბერს სოფ. ოტში მოკლული იქნა მწყემსი ქიტესა ივანის ძე მეტრეველი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** რეუტოვის ქ. № 31 გაქურდეს გიორგი ბეზარაშვილის ბინა.

◆ **იმავე საშუალებით** იმავე დღის ამაღლების ქუჩა № 8 გაქურდეს იაკობ მირსკის ბინა. წაიღეს 130 მ. ნივთები.

სასამართლო

დახვრეტა ბანდიტობისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ზერიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ქავთარაძის მონაწილეობით სოფ. გურჯაანში (სიღნაღის მაზრა) გაარჩია ლევან არევაძის საქმე.

არევაძეს ბრალდებოდა ყაჩაღობა.

ამა წლის გაზაფხულზე ბრალდებული არევაძე ყაჩაღ გორგიშელთან ერთად ველისციხის მახლობლად (სიღნაღის მაზრა) თავს დაესხა სიღნაღიდან მიმავალ მუშებს და გაძარცვის მიზნით.

მუშა აპაკიძე სასიკვდილოთ დასჭრეს გაძარცვის მიზნით.

ბოროტმოქმედი დაპატიმრეს. გორგიშელმა შესძლო გამოსახლიდან გაპარვა. ამის შემდეგ სხვა ყაჩაღებთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო სიღნაღის გლეხების ოჯახების ძარცვა-დარბევაში. ერთ-ერთი მორიგი ბოროტმოქმედების ჩადენის დროს გორგიშელი მოკლული იქნა მილიციელებთან შეტაკების დროს.

სასამართლომ ბრალდებული არევაძე დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა მას უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

50.184 მანეთის ზარალი

(საყვარელიძის და კოსტენკოს საქმე)

დღევანდელ სხდომაზე მოსმენილ იქნება ექსპერტების დასკვნა. შემდეგ გაიმართება მხარეების კამათი.

სიძის მკვლელი

(ფეოდოროვის საქმე)

გუშინ, სახელმწიფო ბრალმდებელმა ლუღენტმა შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე მოქ. მარიამ მიქანაძის (მოკლულ მიქანაძის ცოლი) პასუხისგებაში მიცემის შესახებ —მკვლელობის ხელის შეწყობისათვის.

სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმე გადასდო დამატებითი გამოძიების მოსახდენად.

მკვლელობა

ამა წლის აპრილის თვეში, მწყემსმა გიგო ჩიტრეკაშვილმა წყალის დასალევათ სხქონელი მირეკა ვაზიანში—მარტყოფის მახლობლად მდებარე წყლის პირას. მცველმა წითელარმიელმა ვასილ კრუგოვმა ჩიტრეკაშვილს ამის ნება არ მისცა. შელაპარაკების დროს კრუგოვმა შაშხანა თოფით მოჰკლა ჩიტრეკაშვილი.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნული იყო კრუგოვის საქმე, მაგრამ გადაიდო.

მილიციელ ჭელიძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ხორხელის და თალაკვაძის, პროკურორ ლ. ჯანჯღავას და მდივან ხიბუას მონაწილეობით დაიწყო მილიციელ მინა ჭელიძის საქმის გარჩევა.

ჭელიძეს ბრალდება მოქ. მიხეილ ტიუცკის მოკვლა.

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი შ. დადიანი.

სასამართლოში ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა მოქ. ტიუცკი.

დღეს დაიწყება მოწმეების დაკითხვა.

რკინისგზებზე

საბარგო მატარებლის მარცხი

გუშინ, დღის 2 საათზე სად. ტატლუში საბარგო მატარებელი № 300 მიღებულ იქნა სადგურის მე-4 ლიანდაგზე. მატარებლის ქვეშ ისრის გადაყვანის გამოლიანდაგიდან გადავარდა 2 ცისტერნა და 1 საბარგო ვაგონი. ლიანდაგი დაზიანებულია 25 საჟენის სიგრძეზე. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მატარებლის მოძრაობა არ შეწყვეტილა. მუშაობა ვაგონების ამოსაღებად სწარმოებს.

სანოვნების შეკეთება

სალიანდაგო სამსახური ამჟამად აწარმოებს და ახლო ხანში დაასრულებს რკინისგზელთა საცხოვრებელ საერთო ბინების შეკეთებას. შეკეთება ნაწილობრივ უკვე დასრულდა აზერბეიჯანის რკ.-ზ. ხაზზე.

ელექტროფიკაციისათვის

ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს ელექტრო-ტეხნიკური სამსახური შეუდგა წინასწარ მუშაობას თბილის - ნავთლუღის რკ.-გზ. ხაზის საელექტროფიკაციოთ. ამჟამად მუშაობა სწარმოებს სხვადასხვა ნაშენობათა ასაგებათ თბილისის მთავარ სახელოსნოსთან.

შპალების შეძენა

ა.-კ. რკინისგზების გამგეობის თავმჯდომარისაგან (მოსკოვიდან) მიღებულია დეპეშა, ა.-კ. რკ. გზებისათვის ჩრდილოეთ - კავკასიის გზებიდან 200.000 მანეთის მუხის შპალების შეძენის შესახებ.

ჯარიმის საკითხი

ამიერ-კავკასიის გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტის 16 დეკემბრის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი თბილისის სადგურზე, კლიენტებისადმი მე-65 მუხლის გამოყენების შესახებ.

ეს მუხლი ითვალისწინებს ჯარიმის შემოღებას საწყობებში საქონლის გაჩერებისა და შენახვისათვის.

კომიტეტმა მოიწონა ამ ღონისძიების გატარება.

ფეხბურთი

„წ. ა. ფ. ს."—„სინათლე"

კალენდარული მატჩი ქალაქის პირველობაზე „წ. ა. ფ. ს."-სა და „სინათლე"-ს შორის, რომელიც გაიმართა 19 დეკემბერს, დამთავრდა „წ. ა. ფ. ს." გამარჯვებით 3:1.

„დინამო"—„სინათლე"

შაბათს, 25 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება კალენდარული შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე „დინამოს"-სა და „სინათლე"-ს შორის.

შეჯიბრი დაიწყება დღის 12 საათზე. მსაჯი იქნება ამხ. ტანცოში.

„წ. ა. ფ. ს.—„დურუჯი"

იმავე დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, იქნება გამართება მეორე კალენდარული შეჯიბრი „წ. ა. ფ. ს."-სა და „დურუჯს" შორის.

მსაჯი—ამხ. გალპერინი.

„პოლიტეხნიკუმი"—„დურუჯი"

კვირას, 26 დეკემბერს, დღის 12 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „პოლიტეხნიკუმი"-ს და „დურუჯი"-ს შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე.

მსაჯი—ამხ. გალპერინი.

„დინამო"—„არსენალი"

იმავე დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე იქნება გამართება კალენდარული შეჯიბრი „დინამო"-ს და „არსენალის" შორის.

მსაჯი—ამხ. იოსავა.

„მესტრან" I—„დინამო" II

კვირას, დილის 10 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე დანიშნულია კალენდარული შეჯიბრი მეორე კატეგორიის გუნდებ „მესტრან" I და „დინამო" II შორის.

მსაჯი—ამხ. ტანცოში.

მეცნიერება და ტეხნიკა

უტვინოთ—4½ წლის განმავლობაში

რუსმა მეცნიერმა ზელიონიმ, რომელიც ამჟამად საფრანგეთში მუშაობს, სამედიცინო ფაკულტეტს პარიზში მეტად საინტერესო მოხსენება გაუკეთა. ზელიონიმ ორ ძაღლს სრულიად ამოაცალა ტვინი. ოპერაცია შესრულებულ იქნა ორ ნაწილად. თითეული ოპერაციის დროს ძაღლს აცლიდა ტვინის ცალკე ნახევარ სფეროებს. ერთი ოპერაციიდან მეორე ოპერაციამდი გავიდა რამდენიმე თვე. ერთმა ტვინ-ამოცლილმა ძაღლმა იცოცხლა 11 თვე, მეორემ—ოთხნახევარი წელიწადი. როგორც წესია, ტვინ-ამოცლილ ძაღლებს—ეძინათ. პირველ ძაღლს, რომელსაც ოპერაცია გაუკეთეს იმ დროს, როცა მას ზრდა უკვე დამთავრებული ჰქონდა, ელვიძებოდა მხოლოდ სხვადასხვა მოთხოვნილებათა ზევავლენით: შიმშილის, წყურვილის, ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და სხვ. მეორეს, რომელსაც ლეკვობისას გაუკეთეს ოპერაცია, ხშირათ ეღვიძებოდა და განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა თამაშისადმი. ეს ლტოლვა თამაშისადმი განსაკუთრებით ძლიერდებოდა შეხების ზეგავლენით. რაც შეეხება გრძნობის ორგანოებს, მხედველობის გრძნობა ძაღლს ემჩნეოდა მხოლოდ მაშინ, როცა მის თვალებზე ეცემოდა სინათლის ძლიერი სხივი: ამ შემთხვევაში მას თვალები ეხუჭებოდა, ჩვეულებრივად კი ცოცხალი სრული ბრმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სმენა ძაღლს ჰქონდა, მაგრამ ძლიერ სუსტი. სხვა ძაღლების ყეფა პასუხათ ტვინ-ამოცლილ ძაღლების მხრივ იწვევდა რაღაც ღმუილის მაგვარს, რომლის დროს ისინი თავს ზეით სწევდენ. გემოვნების გრძნობა, როგორც ჩანს, ძაღლებს შერჩათ. ყნოსვის გრძნობა სრულიად გაუქრათ. გრძნობიერება კანის გაღიზიანებისადმი შერჩათ. წყალის შეშხაპუნების დროს ძაღლები ტანს იბერტყდენ (თუმცა არა ენერგიულად). ორივე ძაღლებს პროფ. ზელიონიმ შეამჩნია ე. წ. კუჭის ფსიქიური წვენის გამოყოფა. ამ ძაღლებთან ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ მიაღწიეს იმას, რომ მათში გამოიწვიეს სიხარულის და გაბრაზების რეაქციები, სქესობრივი გრძნობა ტვინ-ამოცლილ ძაღლებს შერჩათ.

ვარსკვლავების დიამეტრების გაზომვა

სმიტსონის ინსტიტუტის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა პროფ. აბბოტმა მეტად მგრძნობიარე რადიომეტრის საშუალებით, რომელიც შეერთებული იყო მზის ობსერვატორიის 100 დიუმიან რეფლექტორთან, მოახდინა ზოგ მეტად დიდი სინათლის მქონე ვარსკვლავის სპექტრებში ენერგიის განაწილების გამოკვლევა, ყველაზე დიდი გამოსხივება აღმოაჩინდა ბეტელჰეიზს. ორიონის კრიზოლის ოდიდეს ვარსკვლავს, შემდეგ სირიუსსა და ვეგას.

ამ გამოკვლევებმა საშუალება მისცა პროფ. აბბოტს დაახლოვებით მაინც გამოერკვია ამ ვარსკვლავების სიდიდე. აბბოტი იმ დასკვნამდი მივიდა, რომ უმცირესი დიამეტრი აქვს A და B სპექტრალური კლასის ვარსკვლავებს (თბიერება—11—14.000 გრადუსი), უდიდესი კი—14 კლასის ვარსკვლავებს (თბიერება—2-3000 გრადუსი).

ასე მაგალითად, სირიუსის დიამეტრი, პროფ. აბბოტის გამოკვლევით, 1½-ჯერ სჭარბობს ჩვენი მზის დიამეტრს, ვეგის დიამეტრი—2-ჯერ, კაპელის—13-ჯერ, ალდებარანის—70-ჯერ, ბეტელჰეიზესი—510-ჯერ! უდიდესი დიამეტრი აღმოაჩნდა წითელ ვარსკვლავს—ჰერკულესის ალფას, რომლის თბიერება 2.500 გრადუსს უდრის. ეს ვარსკვლავი თავისი სიდიდით 700-ჯერ სჭარბობს მზეს. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ამ ვარსკვლავს განივი (поперечник) უდრის 900 მილიონ კილომეტრს!

აბბოტის მიერ მიღებული ციფრები ძალიან უახლოვდებიან იმ ციფრებს, რომლებიც პროფ. მაიკელსონმა მიიღო ინტერფერომეტრის საშუალებით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

1927 წლის 2 იანვარს დანიშნულია საქ. კომპარტიის სააგარო და საოლქო კომიტეტების ქალთა შორის მომუშავე განყოფილებათა გამგეების თათბირი

თათბირის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ადგილებიდან—ქალთა მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში და მათი მუშაობა საბჭოებში (სიღნაღი, აფხაზეთი და თბ. ორგ. მე-2 რაიონი).
2. მოხსენება ცენტრალურ განყ.: საბჭოების გადარჩევაში ქალთა მონაწილეობა და მათი მუშაობა საბჭოებში (მომხ. ჯაფარიძე).
3. მოხსენება ადგილებიდან—სადელეგატო კრებების არჩევნების შედეგები 1926—27 წ. მოწვევისა (აჭარისტანი, ოზურგეთი და თბილ. ორგ. მე-4 რაიონი).
4. მოხსენება ცენტრალურ განყოფილებისა—სადელეგატო კრებების არჩევნების შედეგებზე 26—27 წ. მოწვევისა საქართველოში (მომხ. ესაიანი).
5. საზოგადო მოღვაწე ქალთა შორის მუშაობა და საკითხი მათი წამოყენების შესახებ ადგილებიდან. (მომხ. ჩირქეზიშვილი).
6. ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობა და ქალების მონაწილეობა მათში. (მომხ. ა. ჯაფარიძე).
7. ახკომკავშირის ცეკას მოხსენება—ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის შესახებ, თანამოხსენება—ნორჩ-პიონერთა ცენტრ. ბიუროსი.
8. პოლიტ - განათლების მთავარ სამმართველოს მოხსენება.
9. მიმდინარე საკითხები.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადებას აძლევს გამოცხადდენ რაიკომის საღრიცხვო ქვე-განყოფილებაში საკანდიდატო ბარათების მისაღებად: 1) სოფიო ციცოლიშვილი, 2, იოსებ იმნაიშვილი, 3) ნიკოლოზ კაპანაძე, 4) ბარამ გვინჯილია, 5) ილარიონ ტრუიძე, 6) გაფა კოზირევა, 7) გალინა ბელსკია. 8) ეკატერინა კაპრალოვა, 9) ელიზავეტა ივანოვა, 10) საპკ ავაქოვი, 11) გიორგი ხომერიკი, 12) იაგორ ხაზანიშვილი და ამხ.: 1) მიხეილ პავლოვი (უჯრ. 5.), 2) სტეფანე ნაზარეტიანი (უჯრ. 37), 3) აკაკი კობახიძე (უჯრ. 50), 4) ბარნაბ ეძგვერაძე (უჯრ. 37), 5) გიორგი ზუბინიშვილი, 6) კარაპეტ ახპატალოვი, 7) ვასილ საზიკინი, 8) ელისაბედ ბადრიძე.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საქიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ვითარების ბიუროს სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 23 დეკემბერს, ცხრა საათზე აგიტპროპმუშაობის [illegible]

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის [illegible] [illegible] მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებს ქართულ ენაზე.

ვთხოვთ ყველა უჯრედებს და ადგილკომებს სასწრაფო წესით გადმოგზავნონ რაიკომში ამხანაგები სკოლებში მათი მოთავსების მიზნით.

მდივანი ფანცულაია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბ. ორგანიზაციის მე-2 რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 23 დეკემბერს, დღის 12 საათზე რაიკომის ბინაზე გაიმართება საორგანიზაციო თათბირი.

მდივნის მაგიერ—გეურქოვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბ. ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მე-2 რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

აუცილებელია რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი—ფანცულაია.

საქართველოს ახ. ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 23 დეკემბერს, დღის სრულ 2 საათზე საქართველოს ახ. ლ.კ.კ. თბ. კომ. შენობაში შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა ახკომკავშირის ყველა იმ კანდიდატებისათვის, რომელთა ანკეტები უნდა დამტკიცოს თბილისის კომიტეტის მიმღებმა კომისიამ.

სახალხო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 24 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მოწვეულია კომუჯრედის კრება. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს, დილის 9 საათზე მოწვეულია სახ. უნ. სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: 1) გვაზავა ნიკოლოზ, 2) თალაკვაძე ისიდორე, 3) ცინცაძე ალექსანდრე, 4) მონიავა იაკობ, 5) გეგენავა სამსონ, 6) ჩიგოგიძე.

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა ელენე დავითის ასული და მიხეილ მახარობლის-ძე, დები თამარი და ეთერი, ძმები შოთა და აკაკი ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას 26 ამ. თვის ნაშუადღევს 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მეთო ❦ თინა სიხარულიძეების

უდროოთ დაკარგვის ორმოცი დღის შესრულების გამო. 1023

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 23 დეკემბერს მე-2 აბონემენტის მე-5 წარმოდგენა

პიკის ქალი

(მორიგი უკანასკნელი გადახდა)

მონაწილეობ.: ბოგოლეპოვა, სკიბიცკაია, ვოლჩანეცკაია, ვიცინგი, ვენაძე, გორელოვი. დირიჟორი ს. სტოლერმანი

პარასკევს, 24 დეკ. 1-ლი სიმფონიური კრება ა. ეიხენვალდის ხელმ.

შაბათს, 25 დეკემბერს ევგენი ონეგინი

ნ. 380

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს გრ. რობაქიძის.

მალშტრემ

დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა

დეკორაციები: ირ. გამრეკელისა და კირ. ზდანევიჩისა.

3—2 ნ. 375

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

აპოლო

არფასტოლ

სოლეი

დარბაზი

(ყოფ. გლობუსი)

0—18 ნ. 287

საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი

საბურ-საფლავი

რეჟისორი ივ. ნ. პერესტიანი.

ოპერატორი ა. დ. დიღმელოვი.

ყველა კინოებში—სიმებიანი ორკესტრი

ანონსი: მორიგი დადგმა; „მის-მენდ".

„კორსარ პიეტრო". „ზნეობრიობის სკოლა".

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ ჟურნალზე

„სოფლის კომუნისტი"

ორგანო ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით . . . . 2 მან.

ექვსი თვით . . . . 1 მან.

სამი თვით . . . . 50 კაპ.

ცალკე ნომერი 20 კაპ.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის, 22

კომპარტიის ცეკა ოთახი № 17

15—1 ნ. 355

ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მ. შავიშვილი

აცხადებს, რომ დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს განჩინების სისრულეში მოსაყვანათ ა. წ. 27 დეკემბერს დილის 12 საათზე ქალ. ოზურგეთში მახარაძის ქ. № 21 პოლიკარპე ინწკირველის ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება უძრავი ქონება. ოდა - სახლი აგებული წაბლის ხისაგან, დახურული კრამიტით, ოთხი თვალი, სადგომით მიწით, დასაკმაყოფილებლად გადამხ. გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორის; აღმას. ფ. 11, 13. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ თანხმად სამ. საპ. კოდ. 311, 12 და 13. შეფასებულია 400 მანეთად, რომელი თანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა. 2—1 ნ. 383

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორგანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1 ქგ. 788

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-მდე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

გამოვიდა და იყიდება

საწელგამის ყველა მაღაზიაში:

ქ. რაჭველიშვილი

საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია

შინაარსი: შესავალი. ფეოდალიზმის წარმოშობა. ფეოდალური მონარქია. ფეოდალური მონარქიის დარღვევა და მისი აღდგენისათვის ბრძოლა. ფეოდალიზმის ლიკვიდაცია

3—1 ნ. 361 ფასი 1 მან. 30 კაპ.

ცნობად

ვინაიდან მუშა-ხელის ბევრი დამქირავებლები: 1) არ ტარდებიან აღრიცხვაში დ | კასის საფინანსო-საღრიცხო განყოფილებაში და 2) არ ადგენენ დ | კასაში დეკლარაციას (ყოველთვიურათ ცნობებს მუშა-მოსამსახურეებზე გაცემულ ხელფასის და დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ)

ამიტომ თბილისის დაზღვევი კასა იუწყება

1) რომ თანახმად მე-3 მუხლისა ს.ს.ს.კ. სახალხო კომ. საბჭოს დადგენილებისა 30 ივლისიდან 1925 წლისა ყველა წარმოება-დაწესებულებები და კერძო დამქირავებლები, რომლებსაც ყავს დაქირავებული მუშა-მოსამსახურეები და არ ჩრიან აღრიცხული თბილისის დამზღვევ კასაში—დაუყონებლივ გატარდეს აღრიცხვაში, თუ ორი კვირის განმავლობაში დღიდან დაქირავებითი შრომის სარგებლობიდან არ იქნებიან აღრიცხული დ | კასაში დამქირავებლები მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

2) დამზღვეველები, რომლებსაც არ წარუდგენიათ გასული დროის დეკლარაცია (საანგარიშო უწყებები ან ცნობები ყოველთვიურათ გაცემულ ხელფასის შესახებ)—ასეთი წარმოდგენილ უნდა იქნას იმ ვადებში, როგორც ეს დაწესებულია. ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით 9 იანვრიდან 1925 წლისა.

წარმოება დაწესებულებების ხელმძღვანელნი და პასუხისმგებელნი პირნი, რომლებიც არ ასრულებენ მე-2 მუხლში აღნიშნულ მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში ადმინისტრატიულ წესით, ესე იგი მთელი საქმე მათ შესახებ გადაეგზავნება შრომის ინსპექციას სათანადო ზომების მისაღებათ.

თბილ. დ | კასის გამგეობის თავმჯდომარე ცომაია.

საფინ. საღრ. განყოფ. გამგე მაშკევიჩი.

ნ. 388. საქმეთა მმართველი ხაზაშვილი.

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა.

ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაზერენიანი) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ს. მ. უ. ს. ცენტრალური ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია

პირველი იანვრიდან 1927 წ. გაიხსნება

ს. მ. უ. ს. ცენტრალური

ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია

ლაბორატორიაში არის განყოფილებანი—ანალიტიური, ტეხნიკური და პრეპარატიული

ლაბორატორია ღებულობს ყოველგვარ ანალიზებს, იძლევა დასკვნას ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსების შესახებ, ამუშავებს მინერალურ და მცენარეულ ნედლი მასალის გადამუშავების მიზანშეწონილ საშუალებებს, ადგენს ახალ ქიმიურ წარმოებათა გეგმარებს.

ლაბორატორია ღებულობს შეკვეთებს სახელმწიფო დაწესებულებათაგან და კერძო პირებისაგან.

ნ. 347 6—1. მისამართი: ანჩისხატის ქ. № 17.

სიღნაღის უბნის სახალხო სასამართ. აღმასრულებელი მავზაროვი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 დეკემბერს ადგილობრივ ბოდბის იორხევ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გიგო ილიასძე ბიბილაშვილის აღწერილი ქონებისა სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი"-ს ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა ა. წ. 26 აპრილის № 23866-ს სია გასაყიდი ქონებისა: ორასოცდაათი (230) სული მსხვილი ცხვარი დაფასებული 1842 მან. ნ. 387

ქ. თბ. მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ დეკემბრის 30-ს დილის 11 საათზე ცაგურის ლიმონათის ქარხანაში ჩერქეზოვის ქ. ! ახლი № 59, ის გაჰყიდის მარკ ლევინის შემდეგ ქონებას, რომელიც შეფასებულია გასაყიდათ 100 მანეთად: 6 ცილინდრი გაზიანი წყლისათვის, ერთი კოლონკა 6 შუშის მილით, შპრიცით და სხვ.

ქ. თბილისის მე-5 უბ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი გეგელაშვილი

აცხადებს, როს ის 29 დეკემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე, მე-11 სამილიციო უბანში, ბოტკოვის ქუჩ. № 216 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მირონა იოსებისძე კბილიშვილის ერთ სართულიან სახლს, რომელიც შესდგება ერთი ოთახიდან თავისი საჭირეულოთი, შეფასებული 400 მანეთად, დასაკმაყოფილებლად იგნატე ეპიტაშვილის ვალისა, თანახმად არეშის სახ. სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 19 მაისის 1926 წ. № 883. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313, 314 და 316 მუხ. სამოქ. სამარ. საპროც. კოდექ. 1020

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 30 დეკ. 1926 წელსა ნაშუადღევის 2 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში რუხაძის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:** გაიყიდება ივანე ლაზარესძე ჭეიშვილის ქვიტკირის და ხის სახლი ოთხი თვალი შუშაბანდით და საჩხერეულო დახურული კრამიტით, აგებული საჭოვე ნაკვეთ მიწაზე, მდებარე იმავე ქუჩაზე, ზომით მიწა 100 კვად. საჟენი—დაფასებული 500 მანეთად, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა სერგო ძოწენიძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ნ. 386

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 30 დეკემბერს 1926 წელს დილის 12 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში ჩოგაძის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:** გაიყიდება ბეგლარ სიმონისძე ბენიძის ქვიტკირის ორ სართულიანი სახლი კიბეებით და აივნებით დახურული კრამიტით, აგებული საჭოვე ნაკვეთ მიწაზე მდებარე იმავე ქუჩაზე, ზომით მიწა დაახლოვებით 200 კვად. საჟ. ეკატერინე კუხალეიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად სახლი დაფასებულია 300 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა: ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 386

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 30 დეკემბერს 1926 წელს დილის 11 საათზე ქ. ქუთაისში ყაზბეგის ქუჩაზე ადგილობ. იოსებ ოქრომჭედლიძე მუშკუდიანის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ხსენებული იოსებ მუშკუდიანის უფლება ნახ. ნაწილი ხის სახლისა, მდებარე ქ. ქუთაისში ყაზბეგის ქ. აგებული საჭოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით მიწა დაახლოვებით 150 კვად. საჟენი—დაფასებული 400 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა—ანტონ ჩანგაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახლის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 386

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინი (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

ექიმი ა. დ. შახბაზიანი

ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ვერლიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირბელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

კარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მუსხლის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.

ლენინის (ყოფილი ოლღას) ქუჩა № 35 854 13—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—6 ს-მდე. ქალების 7—8 ს-მდე.

ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

ექიმი

მ. ს. არჯევანიძე

მადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (გ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 სათ.—საღამოს 4—8 ს.

მ დიცინის დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე. პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ხიდთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთ 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 75—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი

სამშობიარო თავშესაფარი

ს. ივ. არარატოვისა

დიდი ვანქის ქ. № 6.

სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 2—

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი

მეზრაბიანცი

ფილტვების, ძლიერის და გულის სნეულებანი

ცივების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის საკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შუხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. გორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

დაკარგვი პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 9 გაბრიელ ზეპინახისძე-ს ბუზიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 386

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში

პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის

ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12—5

დაკარგვე ს.კ.პ. (ბ) საკანდ. ბარათი № 7092. ალ.კ.კ. მანდატი № 15910. პირადობის მოწმობა № 053021 და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის მოწმობა ბიკტორ არსენის ძე ტრაპაიძის სახელზე, ჩ. გ. 1016

დაკარგვე კავშირის წიგნაკი № 17041 მარო გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. 1017

დაკარგვე პროფკავშირის წიგნაკი № 401 ალექსი ჯანგირაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1018

დაკარგვე გორის რაიონის მუშ. და გლეხ. მილიციის უფროსობის მოწმობა № 763, გაცემული გორის თემღმასკომისაგან, პირადობის მოწმობა № 887, პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 28 და კავშირის წიგნაკი № 367 დავით გიორგის ძე თოთლაძის სახელზე, ჩ. გ. 1018

დაკარგვე პირადი წიგნაკი № 1272 მოცემული ლაის რაისამხედრო მაგიდის გამგის მიერ ლევა ქვაქვალაშ-ძე გოგოხიას სახელზე, ჩ. გ. 1018

დაკარგვე საწევრო წიგნაკი № 17194 მოცემული რაჭის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირიდან მინა ბაქურაძის სახელზე, ჩ. გ. 1018

დაკარგვე საანგარიშო წიგნაკი № 3. ივანე დონჯაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1024

დაკარგვე ცხენთ-აღრიცხვის წიგნაკი № 95 მოცემული ალექსი კაკუტის სახელზე, ჩ. გ. 1026

დაკარგვე ცხენთ საღრიცხვო წიგნაკი № 134 მოცემული გურჯაანის რაიაღმასკ. მაგიდის მიერ სანდრო დიანოზის-ძე მურაკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1026

დაკარგვე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 11061 გიორგი სიმონის-ძე ხახუტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1028

დაკარგვე გან. მუშ. კავშირის წიგნაკი № 6659, ალ.კ.კ. საკანდიდატო ბარათი № 311, მასწავლებლობის მოწმობები, სტუდენტობის მოწმობა, გიორგი დავითის-ძე ჩიხლაძის სახელზე, ჩ. გ. 1027

დაკარგვე აღრიცხვის ფურცელი № 2572 აბრამ დავითის-ძე დავარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1025

დაკარგვე პირადობის მოწმობა, ზუგდიდის „ეპო"-ს საწევრო წიგნაკი ნესხა სამხედრო მაგიდიდან მიღებული, შენობის ნასყიდობა და ცხენის მოწმობა, მ ხელ შოშის-ძე ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 385

დაკარგვე პირადობის მოწმობა არჩილ ლევანის-ძე ნამგალაძეს სახელზე, ჩ. გ. 1021

დაკარგვე პირადობის მოწმობა № 152, სიღარიბის მოწმობა № 1305 და კომკავშირის დროებითი მოწმობა № 453 გრიშა მაქსიმეს-ძე ელკანიძის სახელზე, ჩ. გ. 1022